პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

22 ივლისი **ხუთშაბათი** 2010

№ 170 (13 158) ფასი 60 თეთრი




» გვერდი 4

ჩემპიონთა ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

# ეს ეტაპი უნდა გაგვევლო

## ლიგა საქართველოს გარეშე დარჩა




» გვერდი 2



## დიეგო დარჩა

არგენტინული პრესის ცნობით, **დიეგო მარადონამ** არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში მუშაობის გაგრძელებაზე თანხმობა განაცხადა. ახალი კონტრაქტი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის ბოლომდე იქნება ძალაში.

დიეგო, რომელიც ამჟამად ვენესუელაში იმყოფება, ორშაბათს შეხვდება არგენტინის საფეხბურთო ასოციაციის პრეზიდენტ ხულიო გრონდონას. ამ უკანასკნელმა უკვე მიიღო მარადონას დასტური, თუმცა ოფიციალურად ამის შესახებ მწვრთნელთან შეხვედრის შემდეგ გამოაცხადებს.

*„მარადონას ვესაუბრე და მომავალ ორშაბათს შეხვედრაზე მოვილაპარაკეთ. სულ ეს არის, რისი თქმაც ამ მომენტისთვის შემიძლია“*, - განაცხადა გრონდონამ.



## ჯერარდი არ მიდის

» გვერდი 8



## მთავარია აგვისტოს ფორმაში შევხვდეთ

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

» გვერდი 12

ევროპის ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# დუკლას სწრაფი გოლის იმედი აქვს

ლევან ჯანეზაშვილის რეპორტაჟი ბანსკა ბისტრიცადან

ლევან ჯანეზაშვილის ფოტო




ზესტაფონის ვარჯიში სლოვაკეთში

» გვერდი 3



# დინამო შეტევას გვპირდება

## თურმე გეფლე სტუმრად უკეთ თამაშობს

» გვერდი 3-4

ქართული ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა — მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

# მოვიხიბლეთ: ესაა პიკასოს შვილიშვილი?!

21.07. რუსთავი. ფოლადი.
4 500 მაყურებელი

| | |
|---|---|
| ოლიმპი (საქართველო) | 1 |
| აქტობე (ყაზახეთი) | 1 |

პირველი მატჩი 0:2

1:0 რეხვიაშვილი (29. ბოლქვაძის პასით).
1:1 ტლეშევი (57. კენჟისარიევის პასით).

ოლიმპი: ბედიაშვილი (79. ბათიაშვილი)- ღონღაძე, კვახაძე, ქემოკლიძე, რეხვიაშვილი – გენაძე (53. ჭედია), რაზმაძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე, ჭელიძე (68. დოლიძე), - მოდებაძე.

სათადარიგოები: გიგაური, ხიდეშელი.

აქტობე: სიდელნიკოვი – ბონო (90. ბადლო), სმაკოვი, ბა, კენჟისარიევი, – ესომბა, კარპოვიჩი, გოლოვსკოი (86. ხოხლოვი), ხაირულინი, ავერჩენკო –პერიჩი (46. ტლეშევი).

სათადარიგოები: ბოიჩენკო, დარაბაევი, კურმაშევი, სემიონოვი.

გაფრთხილება: კარპოვიჩი (45), ტლეშევი (60), დობროვოლსკი (60), ხაირულინი (62), გოლოვსკოი (64), ბა (65), ქემოკლიძე (75), ბონო (88).

არბიტრი: ალექსანდე დიაკონუ (რუმინეთი)

განმეორებით შეხვედრას არა მხოლოდ რუსთავი, მთელი ქართული ფეხბურთის სამყარო ელოდა. რა თქმა უნდა, აქ მოწინააღმდეგე არაფერ შუაშია. ქართველი გულშემატკივარი გემოვნებიანია და ბუნებრივია, ყაზახეთის ჩემპიონი, მეორეხარისხოვანი რუსი ვეტერანებით ნაკლებად აინტერესებს. ჩვენთვის საინტერესო იყო, შეძლებდა თუ არა საქართველოს ღარიბი ჩემპიონი (წლიური მილიონდოლარიანი ბიუჯეტით, ესეც გადაჭარბებულია) მდიდარი ყაზახური კლუბის (25 მილიონი დოლარის ბიუჯეტით) დამარცხებას.

მატჩი მეტოქეებმა თითქმის იმავე შემადგენლობებით დაიწყეს, როგორითაც აქტობეში ითამაშეს: „ოლიმპის" მთავარმა მწვრთნელმა **თემურ მახარაძემ** მხოლოდ **გიორგი ჭედია** შეცვალა, ძირითადში **დენის დობროვოლსკი** ათამაშა და კაპიტნის სამკლავურიც ჩააბარა.

დაცვის მარჯვენა ფლანგზე **თემურ ღონღაძე** გაამწესა, მარცხნივ **გიორგი რეხვიაშვილი**, ცენტრში კი **ლექსო კვახაძე-რეზო ქემოკლიძის** დუეტი. ნახევარდაცვის სამკუთხედში საყრდენად **ლუკა რაზმაძე** და **დენის დობროვოლსკი** თამაშობდნენ, მათ წინ **დავით ბოლქვაძე**. მახარაძემ სამი შემტევით ითამაშა: მარჯვნივ **რეზო გენაძე**, მარცხნივ **გიორგი ჭელიძე**, ცენტრფორვარდი კი **ირაკლი მოდებაძე** გახლდათ.

„აქტობეს" მთავარმა მწვრთნელმა **ვლადიმერ მუხანოვმა** მხოლოდ მარცხენა მცველი შეცვალა: **პეტერ ბადლოს** ნაცვლად, დისკვალიფიკაციამოხდილი **ემილ კენჟისარიევი** დააყენა, მარჯვნივ კი **ალენ ბონო**, ცენტრში **სამატ სმაკოვი** და **ჰალიფა ბა**. ნახევარდაცვის ცენტრში **კონსტანტინე გოლოვსკოი, ანდრეი კარპოვიჩი** და **მარატ ხაირულინი** განლაგდნენ. მარჯვენა ფლანგზე იყო **ტიტი ესომბა**, მარცხნივ **ევგენი ავერჩენკო**, ცენტრალურ ფორვარდად კი - **ივან პერიჩი**.

ყოველგვარი შესავლების გარეშე – გუშინდელმა მატჩმა დაგვარწმუნა, რომ საქართველოს ჩემპიონი ვალდებული იყო ეს ეტაპი გაევლო. ცარიელი რეკლამაა, რომ ყაზახური ფეხბურთი ალმავლობას განიცდის, რომ გუნდები გაამლიერეს და ამ „აქტობეთი" „ბუასავით" გვაშინებენ. დიდი ფული დიდ ნიჭს არ ნიშნავს, რაც გუშინ რუსთავში ვიხილეთ: სინამდვილეში „მალიარები" ყოფილან.

მათი ბიუჯეტი საქართველოში არსებულ ყველა 56 გუნდზე რომ გადანაწილდეს, გუშინ „აქტობესგან" ქვა ქვაზე არ დარჩებოდა. საქართველოს სუსტმა და ღარიბმა ჩემპიონმა პირველ ტაიმში არათუ პრობლემები შეუქმნა, მეტოქე იმდენად ანერვიულა, ყაზახები ბურთის მეტოქის ნახევარზე გადატანასაც ვერ ახერხებდა.

ყველაფერი ფანტასტიკურად დაიწყო: „ოლიმპმა" მატჩი ისეთი ტემპითა და შეტევებით დაიწყო, პირველი ტაიმის ბოლომდე საქმე უნდა მოეთავებინა. პირველივე შეტევის შედეგად, **ირაკლი მოდებაძე** მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მცველმა ბურთი კარიდან გამოიტანა.

მე-5 წუთზე მარჯვენა ფლანგიდან გენაძე-ბოლქვაძის წამოწყებული სწრაფი კომბინაციის დაგვირგვინება მეკარესთან პირისპირ დარჩენილ მოდებაძეს შეეძლო, მაგრამ არაზუსტად დაარტყა.

ეს არ იყო მოდებაძის დღე, რაც მე-11 წუთზე კიდევ ერთხელ გამოჩნდა: ამჯერად მეკარესთან პირისპირ **ლუკა რაზმაძემ** გაიყვანა, რომელმაც მეკარე **ანდრეი სიდელნიკოვის** გადაცემა მოედნის ცენტრში ჩაჭრა – ირაკლიმ კვლავ კარს ააცილა!

ვერ ვიტყვით, რომ ამის შემდეგ სტუმრები გამოცოცხლდნენ, რატომღაც, თავად რუსთაველები დაიბნენ. რაც სტუმრებმა ვერ მოახერხეს, კინაღამ ჩვენებმა გააკეთეს: მე-14 წუთზე ერთ-ერთმა რუსთაველმა მცველმა მოულოდნელად ბურთი საკუთარ კარში ძლიერად გააგზავნა, მეკარე **გია ბედიაშვილს** ხელით თამაშის უფლება არ ჰქონდა და თავით სუსტად მოგერიებული ბურთი **ივან პერიჩს** მიუგორდა, მაგრამ მეკარე ფეხებში ჩაუვარდა და ვითარება განმუხტა.

ყაზახები ოდნავ გონს მოეგნენ და კიდევ რამდენიმე კონტრშეტევა განახორციელეს: **მარატ ხაირულინი რეზო ქემოკლიძეს** გასცდა და სახიფათოდ დაარტყა – ბედიაშვილმა ბურთი კუთხურზე მოიგერია. მან მე-17 წუთზე **ემილ კენჟისარიევის** დარტყაც მოიგერია, დამატებაზე კი პერიჩს კვლავ აჯობა და მასპინძლები ისევ გადაარჩინა.

მომენტების მიხედვით, მატჩის სურათზე ზუსტი წარმოდგენა ვერ შეგექმნებათ: რუსთაველები სრულ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ დაცვა მოაშიშვლეს. მოდებაძემ 23-ე წუთზეც ვერ გაიტანა: ამჯერად ძალიან აქტიური თემურ ღონღაძის ჩაწოდების შედეგად.

გოლი იმ დროს გავიდა, როდესაც მასპინძლებმა შეტევების ტალღა ოდნავ შეანელეს: დავით ბოლქვაძემ მარცხენა ფლანგიდან ბურთი საჯარიმოში ჩაკიდა, სადაც გიორგი რეხვიაშვილმა ყველას დაასწრო და თავური დარტყმით ანგარიში გახსნა – 1:0.

შემდეგ ეტაპზე გასვლის იმედი, რომელიც გულშემატკივარს მატჩის დასაწყისიდანვე გაუჩნდა, უფრო.რეალური გახდა.

თუმცა, სწორედ ამის შემდეგ შეაჩერა„ოლიმპმა" შეტევები. ტაიმის დასრულებამდე **სამატ სმაკოვმა** ორი უხეირო საჯარიმო შეასრულა, **გიორგი ჭელიძემ** კი სუსტი შორეული დარტყმით სცადა კარის აღება - ეს იყო და ეს.

მეორე ტაიმის დასაწყისში გულშემატკივარი „ოლიმპის" გაშმაგებული შეტევების მოლოდინში იყო, მაგრამ როგორც ჩანს, შეუთამაშებელმა და ჯერაც მოუმზადებულმა გუნდმა, მთელი ენერგია პირველ ტაიმს შეალია და მეორე ნახევარში გაჩერდა. პრესინგისგან გადაღლილ რუსთაველებს მოძრაობა უჭირდათ, უკან დახევას ველარ ახერხებდნენ და მოედნის ცენტრს სტუმრები დაეუფლნენ. ამიტომ ვერ ვიტყვით, რომ ყაზახებმა რუსთაველებს აჯობეს, მასპინძლები თავად დამარცხდნენ.




სახიფათო მომენტი აქტობეს კართან

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

პირველი სახიფათო სიგნალი 55–ე წუთზე გაისმა. გოლოვსკოიმ ორიოდე მეტრიდან ბურთი სტადიონის ტაბლოს მოარტყა - რუსთაველები აშკარად გადარჩნენ!

63-ე წუთი: ევგენი ავერჩენკოს დარტყმა ძელს მოხვდა, დამატებაზე მურატ ტლეშევმაც ააცილა - კვლავ გადავრჩით!

თუმცა, რუმინელ მთავარ არბიტრ **ალექსანდრე დიაკონუს** 67-ე წუთზე ობიექტური გადაწყვეტილება რომ მიეღო, არავინ იცის, შეხვედრა როგორ წარიმართებოდა: დათო ბოლქვაძემ ძალისმიერ ბრძოლაში ჰალიფა ბას აჯობა და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ბამ შემტევი აშკარად წააქცია მაშინ, როდესაც ეს ბოლო იმედის ჯარიმა გახლდათ - დიაკონუ წამიერად შეყოვნდა, სასტვენი მოძებნა - ყველა თერთმეტმეტრიანის დანიშვნას და ბას გაძევებას ელოდა, მაგრამ თამაში გააგრძელა?!

*„გილოცავთ, საკმაოდ კარგად გიმუშავიათ გუნდში და მსაჯებთან! თქვენი მცველი გასაგდები იყო, 2:0 გახდებოდა და მერე როგორც მოგიგებდით, თავადაც ხვდებით"*, - ეს მწვავე რეპლიკა მატჩის შემდეგ **თემურ მახარაძემ** სტუმარ კოლეგა ვალდიმერ მუხანოვს მიახალა, რაზეც „აქტობეს" მთავარ მწვრთნელს სახე აელეწა.

*„მსაჯი მე ხომ არ ვარ?"* – ყაზახების რუსმა მწვრთნელმა რეპლიკა ისე გაიკვირვა, თითქოს მსაჯთან „მუშაობა" მისთვის უცხო იყო. არადა, რუმინელი მთავარი არბიტრი ყაზახებისგან კარგად დამუშავებული ჩანდა, თორემ ზემოთ ნახსენებ ეპიზოდში „აქტობე" 10 კაცის ამარა დარჩებოდა და პენალტის უფლებას მოვიპოვებდით. ასეთ ეპიზოდებში აშკარად ჩანს, რომ სადავო ეპიზოდებში ვიდეორეფერი საჭიროა – თუმცა, ამ შემთხვევაში სად იყო მსაჯის თვალი, ვერ გეტყვით.

... შეცვლაზე შემოსული **მურატ ტლეშევი** თამაშში აქტიურად ჩაერთო და ბოლო წუთზე, როდესაც ოლიმპელებს სუნთქვა აღარ შეეძლოთ, მარცხენა ფლანგიდან კენჟისარიევის ჩაწოდებული ბურთი კარში ზუსტად გააგზავნა და ფრე 1:1 დააფიქსირა.

ამის შემდეგ სასაცილოდ ჩანდა ყაზახურ ინტერნეტ-გაზეთ „სპორტსში" გამოქვეყნებული მატჩის მიმოხილვა: თურმე, ქართველებმა თამაში გასაოცარი სიმშვიდით დაიწყეს, პირველად გონს ყაზახები მოეგნენ და გოლი კონტრშეტევაზე გაუშვეს. ამის დამწერმა აშკარად სხვა თამაში ნახა. ახლა უკვე გასაგებია, რატომ განსხვავდებოდა პირველი მატჩის შესახებ ქართველი მოთამაშეების მონაყოლი ყაზახურ მედიაში ასახული სურათისგან. როგორც დანიელ დეფოს გმირი იტყოდა - მუგანინიბა!

ჭიქის არ იყოს, გააჩნია, ცხოვრებას ვინ როგორ უყურებს, ვისთვის ნახევრად სავსეა, ვისთვის ნახევრად ცარიელი. ვფიქრობ, რუსთავის „ოლიმპის" ხელმძღვანელობისა თუ დამფინანსებლის ბრალია, გასული წლის შემადგენლობა რომ ვერ შეინარჩუნა და აქედან გამომდინარე, შემდეგ ეტაპზე გასვლის, უეფასგან მეტი ფულის მიღებისა და საქართველოს უკეთ წარმოჩენის შანსი ხელიდან გაუშვეს – გასული სეზონის შემადგენლობით „ოლიმპი' „აქტობეს" აუცილებლად გაივლიდა.

აშკარად გამოჩნდა ისიც, რომ „გაზაფხული-შემოდგომის" სისტემაზე დაფიქრება გვიღირს – ყაზახეთში სეზონი მიმდინარეობს, ჩვენებს კი მოუმზადებლობა ეტყობოდათ.

და მაინც, ვფიქრობ: ქართულ გუნდებს ჩვენი ბიზნესი მეტ ყურადღებას რომ აქცევდეს, ყაზახების მსგავსებს ყოველთვის საკუთარ ადგილს მივუჩენდით, რაც უფულობის, მწირი შემადგენლობისა და კიდევ ათასი მიზეზის გამო გუშინაც ვერ მოვახერხეთ. არადა, შეგვეძლო.

**ვლადიმერ მუხანოვი, „აქტობეს"** მთავარი მწვრთნელი:

- ხელოვნურსაფარიან მოედანზე თამაშს შეუჩვევლები ვართ და სისწრაფესა და გადაწყვეტილების მიღებისას, „ოლიმპმა" თავიდან აშკარად დაგვჩაგრა. მასპინძელთა სტრატეგიამ თავიდან გაამართალა, ფლანგებზეც მშვენივრად თამაშობდნენ და მოედნის ცენტრშიც, ჩვენ კი ვერაფერს ვახერხებდით. პირველ ტაიმში ყველა ქართველი მომეწონა, მათ უბრალოდ, ვერ ვეწეოდით, რამდენჯერ გავიდნენ მეკარესთან პირისპირ და ძალიან გვანერვიულეს. თუმცა, ვიცოდით, რომ „ოლიმპის" ფეხბურთელები მოუმზადებლები იყვნენ და დაიღლებოდნენ. ასეც მოხდა.

**- ორივე გუნდმა ველური ფეხბურთი აჩვენა, დაცვაში უამრავ შეცდომას უშვებდით.**

- ბუნებრივი საფარიდან ხალიჩაზე გადასვლა რთულია და ადაპტაცია გაგვიჭირდა. თუმცა, ეს მთავარი მიზეზი არ ყოფილა. მეორე ტაიმში ვითარებას უკვე ჩვენ ვაკონტროლებდით, თქვენს ფეხბურთელებს კი დაღლა აშკარად დაეტყოთ.

თემურ მახარაძე, **„ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი:**

- იცით, ყველაზე დასანანი რა არის? ყაზახებზე ბევრად ნიჭიერი ბავშვები გვყავს, ბევრად უკეთესი ფეხბურთის ჩვენება შეგვიძლია, მაგრამ ერთი თვის გუნდია. ამას გარდა, მოთამაშეთა მოსამზადებლად, შესათამაშებლად და სასურველ კონდიციებში მისაყვანად დრო არ გვეყო. ან სად გვაქვს მათი მსგავსი პირობები? ყაზახეთში კი გახურებული სეზონია და მეორე ნახევარში ამიტომ გვაჯობეს.

**- მუხანოვთან შეკამათება რატომ მოგივიდათ?**

- სიმართლე ვუთხარი, ურიგო გუნდი და ფეხბურთელები არ გყავთ, მაგრამ მსაჯებსაც ყიდულობთ-მეთქი. დღეს ასპროცენტიანი პენალტი არ დაგვინიშნეს და კაციც უნდა გაეგდოთ, ბოლქვაძე გოლს აგდებდა და 2:0 გახდებოდა. სხვა რა არის, ბოლო იმედის ჯარიმა? მერე ღმერთმა იცის, ვინ მოიგებდა. აქტობეშიც ტყუილი პენალტი დაგვინიშნეს – დათვალეთ, ობიექტური მსაჯობით, რამდენი რამ შეიცვლებოდა? შემდეგ ეტაპზე ამ ერთი თვის გუნდითაც კი გავიდოდით. ნიჭის გარდა, ყველაფრით გვაჯობეს.

**- მეორე ტაიმში ფეხბურთელები რატომ გადაიღალნენ?**

- ხომ გითხარით, მოსამზადებლად დრო არ გვეყო. ვიცოდი, ასე რომ მოხდებოდა და ამიტომ ვუთხარი ბიჭებს, საქმე პირველივე ტაიმში მოემთავრებინათ საქმე. შეგვეძლო კიდეც, „ცალკარა" წავიდა და სამი ნაღდი მომენტი შევქმენით, მაგრამ მომენტები ვერა და ვერ გამოვიყენეთ.

რას ვიზამთ, ბიჭებს მაინც მადლობა გადავუხადე, მოვემზადებით და ეს პერსპექტიული გუნდი თავის რეალურ ძალას ჩემპიონატში მაინც გამოაჩენს.

**მერაბ მამულაშვილი**
რუსთავი-თბილისი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მედია პალიტრის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია



ზესტაფონის ვარჯიში ბანსკა ბისტრიცაში ავტორის ფოტო

დუკლა-ზესტაფონი

# მარკო ქართველებთან ველოსიპედით მივიდა

სამსაათიანი ფრენის შემდეგ, "ზესტაფონი" პოპრადის საერთაშორისო აეროპორტში გუშინ შუაევროპული დროით დილის 11 საათზე ჩარტერული ავიარეისით ჩაფრინდა, დედაქალაქიდან ბანსკა ბისტრიცამდე კი დაახლოებით საათ-ნახევარში ავტობუსით ჩააღწია. პატარა და კოხტა ბანსკა ბისტრიცა ტატრას მთათა სისტემაში მდებარეობს და სლოვაკეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული კურორტია. "დუკლა" კი გუნდს აღმოსავლეთ სლოვაკეთში მდებარე ქალაქის საპატივცემულოდ ჰქვია. ამ ქალაქში მეორე მსოფლიო ომის რამდენიმე საკვანძო ბრძოლა გაიმართა.

ბანსკა ბისტრიცას "SNP-სთედიუმი" 10-ათას გულშემატკივარს იტევს, თუმცა ინდივიდუალური სკამების რაოდენობიდან გამომდინარე, უეფას ოფიციალურ ტურნირებზე იქ მხოლოდ 7 380 მაყურებლის შესვლაა ნებადართული. ბანსკა ბისტრიცას არენა მძლეოსნობისთვისაცაა გათვლილი და მოყვანილობით რუსთავის "ფოლადს" წააგავს. მძლეოსნობა ვახსენეთ და "ზესტაფონის" წვრთნის პარალელურად, სარბენ ბილიკებზე ცნობილი სლოვაკი სამხტომელი **დანა ველდაკოვა** ვარჯიშობდა

როგორც აქაურებმა გვითხრეს, ზესტაფონში დიდი ანგარიშით განცდილი მარცხის მიუხედავად, მისი შევსება მაინც არაა გამორიცხული. ცნობისთვის, სლოვაკეთის ჩემპიონატის პირველ ტურში "დუკლას" საშინაო შეხვედრას 2 500 გულშემატკივარი დაესწრო, ოღონდ ის თამაში სხვა სტადიონზე ჩატარდა. საყვარელი გუნდის შანსებზე საუბრისგან სლოვაკები თავს იკავებენ, მაგრამ მაინც იმედოვნებენ, რომ შემდეგ ეტაპზე "დუკლა" გავა.

"ზესტაფონმა" გუშინ ზუსტად იმ დროს ივარჯიშა, რა დროსაც "დუკლასთან" განმეორებითი დაპირისპირება დაეწყება. შეგახსენებთ, **მურთაზ დაუშვილი** გუნდს სლოვაკეთში დისკვალიფიკაციის გამო არ წამოჰყოლია, აქ ჩამოსული ოცივე ფეხბურთელი კი თავს ჯანმრთელად გრძნობს და გუშინ ყველამ სრული დატვირთვით ივარჯიშა.

"SNP-სთედიუმზე" "ზესტაფონის" წვრთნამ ერთ საათს გასტანა, რის შემდეგაც მოედანზე უკვე "დუკლა" გავიდა. ქართველებმა ფიზმომზადების მწვრთნელ **ივო კატუშიჩის** მეთვალყურეობით მოთელვაც სრულყოფილად ჩაატარეს და შემდეგ ნახევარ მოედანზე ორმხრივ თამაშშიც ჩაერთვნენ.

მასპინძლები მთლად სანაქებოდ ვერ მოიქცნენ – მათ მოგვიანებითღა "გაახსენდათ", რომ სტუმრებისთვის სასმელი წყლის მიწოდება ევალებოდათ და ქართველ ფეხბურთელებს ჯერ გაზიანი წყალი მიუტანეს, რისი დალევაც არ იყო რეკომენდებული, "ზესტაფონის" წევრებს წყურვილის ჩვეულებრივი წყლით მოკვლის საშუალება მხოლოდ შუა ვარჯიშისას მიეცათ.

არ გამართლდა ჩვენი ვარაუდი და მთიან ბანსკა ბისტრიცაში თითქმის იგივე სიცხეა, როგორიც თბილისში. ამას დავუმატოთ სიმაღლეზე გაძნელებული სუნთქვა და "ზესტაფონის" ფეხბურთელებს გუშინ შესაძლოა, თავი კომფორტულად არ უგრძვნიათ, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ გუშინდელი ვარჯიში მსუბუქი იყო და მატჩამდეც საკმაო დროა ძალების აღდგენისთვის, იმედი უნდა გვქონდეს, რომ "დუკლა" "ზესტაფონს" ფიზიკურ მომზადებაში ვერ დაჩაგრავს. **გია გეგუჩაძემ** ვარჯიშის დაწყებამდე ფეხბურთელებს ძალების მოკრებისა და ვარჯიშზე ბოლომდე დახარჯვისკენ მოუწოდა. ვფიქრობთ, მოთამაშეებმა მწვრთნელის დავალება შეასრულეს, თითოეული მათგანი საკმაოდ ენერგიული და მონდომებული იყო.

"ზესტაფონის" ვარჯიშს თავიდან ბოლომდე ადევნა თვალი "დუკლას" მთავარმა მწვრთნელმა **კაროლ მარკომ**, რომელიც სტადიონზე ველოსიპედით მივიდა. "დუკლას" ვარჯიშმა საკმაოდ ხალისიან ატმოსფეროში ჩაიარა, მარკო თავის ფეხბურთელებს ომახიანად ამხნევებდა. "ზესტაფონისა" და "დუკლას" ვარჯიშებს ოციოდე ადგილობრივი ქომაგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს, თუმცა ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ ქალაქი დღევანდელი თამაშის მოლოდინით ცხოვრობს. მხოლოდ ერთი-ორგან თუ წავაწყდით "დუკლა"-"ზესტაფონის" წინასამატჩო აფიშას.

*"ბუნებრივია, 0:3-ის გაბათილება ურთულესი ამოცანაა, მაგრამ ბოლომდე ვიბრძოლებთ და იმ მცირე შანსის გამოყენებას შევეცდებით, რომელიც ჯერ კიდევ შემოგვრჩა. თუ სწრაფი გოლის გატანა შევძელით, ჩვენი შანსი გაცილებით რეალური გახდება"*, - გვითხრა მარკომ.

ქართველებისა და სლოვაკების ვარჯიშს რამდენიმე ადგილობრივი ჟურნალისტი დაესწრო, რომლებიც ყველაზე მეტად, გია გეგუჩაძისა და პირველ შეხვედრაში "დუკლას" კარში ორი გოლის გამტანი **ჯაბა დვალის** კომენტარებით დაინტერესდნენ. ბუნებრივია, მათი მოსაზრებები ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

**გია გეგუჩაძე:** *"გუნდში საბრძოლო განწყობაა, ყველანი კარგად ვაცნობიერებთ, რომ შემდეგი ეტაპისკენ გადამწყვეტი ნაბიჯი ჯერ არ გადაგვიდგამს. იოლი არაა თვითმფრინავის შემდეგ, მგზავრობის ავტობუსით გაგრძელება, მაგრამ გუნდი აკლიმატიზაციის გავლას აუცილებლად მოასწრებს. ველი დიდ ბრძოლას, "ზესტაფონი" კი თავის ჩვეულ სტილში, ლაღად ითამაშებს. ჩვენი ფეხბურთელებისთვის ეს შეხვედრა ახალი გამოცდილება იქნება".*

**ჯაბა დვალი:** *"ბევრს შეიძლება ეგონოს, რომ "დუკლა" სუსტი გუნდია, მაგრამ იმის მიუხედავად, რომ ზესტაფონში სოლიდური ანგარიშით გავიმარჯვეთ, ეს ასე ნამდვილად არაა. საკუთარ თავზე საუბარი ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, კარგ ფორმაში შევედი და მზად ვარ, "ზესტაფონს" კიდევ დავეხმარო გოლებით. თუმცა რაღა თქმა უნდა, მთავარი გუნდური წარმატებაა".*

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ "დუკლა"-"ზესტაფონის" განმეორებითი დაპირისპირება თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება. სამწუხაროდ, როგორც მასპინძლებმა გვითხრეს, მატჩის არც ტელე და არც ინტერნეტტრანსლაცია დაგეგმილი არაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**
ბანსკა ბისტრიცადან

დინამო-გეფლე

## კახა კაჭარავა:
# ყველაზე კარგი თავდაცვა შეტევაა
## ფოდა მეტოქეს თბილისში ნახავს

შვედების ვარჯიშის შემდეგ ეროვნულ სტადიონზე თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები გამოჩნდნენ. **კახა კაჭარავამაც** ჩვეულებრივი ვარჯიში ჩაატარა. დინამოელთა ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ერთადერთი, **ლაშა ჩადუნელს** აწუხებს ტრავმა და მისი თამაშის საკითხი ჯერჯერობით ღიად არის.

**გიორგი ლორია, ბექა შეყრილაძე, ალექსანდრე კოშკაძე, მათე ვანაძე, გიორგი კახელიშვილი, ლევან ხმალაძე, გულვერდ თომაშვილი, ედნილსონი, რობერტინიო, ჟუისი, ლევან კაკუბავა, გიორგი თექთურმანიძე, ნიკა ფირცხალავა, ირაკლი სიხარულიძე, ზვიად მეტრეველი, გიორგი გველესიანი, გიგა წენგუაშვილი, გიორგი გავაშელიშვილი, გიორგი მამუჩიშვილი, ირაკლი ლექვთაძე, ლაშა ჩადუნელი, ნუკრი მანჩხავა.** წვრთნაში ეს 22 ფეხბურთელი მონაწილეობდა. თუმცა, დღეს შვედების წინააღმდეგ **ნუკრი მანჩხავა** ვერ ითამაშებს, რადგან გუნდში მისი ჩარიცხვის საკითხი, ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის.

ვარჯიშის შემდეგ „დინამოს" თავკაც კახა კაჭარავას რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

- მართალია, სტუმრად 2:1 მოვიგეთ, მაგრამ ამით არაფერი დასრულებულა. მომდევნო ეტაპზე გასვლისთვის, ჩვენი გულშემატკივრის წინაშე ღირსეულად უნდა ვითამაშოთ.

**- გუნდში თუ არის სათანადო მობილიზება?**

- დიახ, მობილიზება და მოტივაცია ნამდვილად არ გვაკლია. ჩვენი გუნდის რამდენიმე ფეხბურთელს შანსი ეძლევა ევროპის ლიგაზე მესამე რაუნდში პირველად ითამაშოს. ამ შანსის გამოყენებისთვის კი ყველამ მაქსიმუმი უნდა გაიღოს.

**- „გეფლეს" ახლა უკეთ იცნობთ. მეტოქეზე რას იტყოდით?**

- ფლანგურ შეტევებსა და საჯარიმოში მაღალი ბურთების ჩაწოდებებზე ორიენტირებული გუნდია. „სტანდარტულებს" დიდ ყურადღებას აქცევენ.

**- მეტოქეს ტანმაღალი გუნდი ჰყავს. შესაბამისად, „მეორე სართულზე" ყურადღებით გვმართებს თამაში...**

- შვედებს ტანმაღალი ფეხბურთელები ჰყავთ. თუმცა შვედეთში კარგად ვითამაშეთ და ნამდვილად ვერ ვიტყოდი, რომ საშინაო შეხვედრაში „გეფლე" „მეორე სართულზე" ბატონობდა.

**- სტუმრად 2:1 მოვიგეთ და შანსებს როგორ შეაფასებდით?**

- შანსი ჩვენ უკეთესი გვაქვს, მაგრამ მეტოქეც არ არის უშანსოდ. ვიცი, შვედები ბოლომდე იბრძოლებენ.

**- „გეფლეს" თავკაცმა გვითხრა, რომ 2 ფორვარდს გავამწესებო...**

- ეს მისი ნებაა. ჩვენ ისევე ვითამაშებთ, როგორც სხვა შეხვედრებში.

**- სტუმრად მოგებული მატჩის შემდეგ, ზოგი გუნდი ანგარიშის შენარჩუნებას შეეცდებოდა...**

- ყველაზე კარგი თავდაცვა, შეტევაა... მე ასე ვფიქრობ.

კაჭარავას შემდეგ **ლევან ხმალაძის** აზრითაც დავინტერესდით.

- „გეფლე" სტუმრად 2:1 დავამარცხეთ და საპასუხო მატჩისთვის კარგი განწყობით ვემზადებით. ფორა მართლაც კარგი გვაქვს, მაგრამ ეს მოდუნების საშუალებას ნამდვილად არ გვაძლევს. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ შვედები თბილისშიც დავამარცხოთ და შემდეგ ეტაპზე რიხიანად გავიდეთ.

**- „გეფლე" სტილში თამაშობს, რა პლუსები აქვს?**

- ფიზიკურად კარგად მომზადებული, ძალისმიერი გუნდია, რომელიც ფლანგებზე აქტიურობითა და გუნდური თამაშით გამოირჩევა. ვფიქრობ, მეტოქის პლუსი სათამაშო დისციპლინა და გუნდურად თამაშია.

**- ტექნიკური ფეხბურთელებიც ჰყოლიათ...**

- დაბალანსებული გუნდია, ნახევარდაცვაში 2-3 ტექნიკური ფეხბურთელიც ჰყავთ. უმთავრესად ფლანგებიდან უტევენ და საჯარიმოში მაღალი ჩაწოდებებით ცდილობენ, მეტოქის კარის დალაშქვრას.

**- თბილისში მყოფ შვედ კოლეგა მარტინ ანდერსონის მტკიცებით, მარჯვენა ნახევარმცველი იონას ლანტო „გეფლეში" ყველაზე ტექნიკურია და მწვავე იერიშებსაც ხშირად მიმართავს. მარცხენა ფრთაზე, სწორედ ლანტოს წინააღმდეგ მოგიწევთ თამაში...**

- 17 ნომერი? კი სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელია., მაგრამ მისი განეიტრალება შეუძლებელი ნამდვილად არ არის. თუ ჩემს ფლანგზე იქნება, ლანტო უნდა გავანეიტრალო.

დაბოლოს, დღეს, „დინამო"-"გეფლეს" მატჩი ეროვნულ სტადიონზე 20:45 საათზე დაიწყება. მატჩზე დასასწრები ბილეთის ფასი 5 და 7 ლარია.



დინამოს ვარჯიში ეროვნულზე ავტორის ფოტო

შეხვედრას ბულგარელი მსაჯები მოემსახურებიან, არბიტრი **ნიკოლაი იორდანოვი** იქნება.

■ ■ ■

უკვე გარკვეულია, რომ ამ წყვილში გამარჯვებული მე-3 რაუნდში ავსტრიულ „შტურმს" ეთამაშება. ჩვენი ინფორმაციით, გრაცელთა გუნდის თავკაცი **ფრანკო ფოდა** დღეს სპეცრეისით ჩამოფრინდება თბილისში და ეროვნულ სტადიონზე გასამართ ამ მატჩს დაესწრება... ცნობისათვის, გუშინ „შტურმმა" ლონდონის „არსენალთან" ამხანაგური შეხვედრა გამართა და 0:3 დამარცხდა.

**დავით ცაბაძე**

დინამო-გეფლე. მეტოქე

## პერ ოლსონი:
# გეფლე სტუმრად უკეთ თამაშობს
## შვედებს ორი ფორვარდი ეყოლებათ და დინამოსგან შემტევ ფეხბურთს ელიან

შინ „დინამოსთან" 1:2 წაგების შემდეგ, შვედური „გეფლე" გუშინ გვეწვია. სასტუმრო „რადისონში" დაბინავებულმა ჩრდილოელებმა, გუშინ ეროვნულ სტადიონზე მატჩისწინა ბოლო ვარჯიში გამართეს. „გეფლეს" თავკაცმა **პერ ოლსონმა** საქართველოში 18 ფეხბურთელი ჩამოიყვანა. შვედებს არცთუ მცირე დანაკლისი აქვთ: გუნდის მთავარი მეგოლე **ალექსანდრ გერნდტი** „ჰელსინგბორგში" გაასხვისეს. **ომარ ჯავო** და „დინამოს" კარში ერთადერთი გოლის ავტორი **ჰანს ბერგრენი** ტრავმირებულები არიან.

გუშინ სალამოს შვედებმა ეროვნულ სტადიონზე, საათზე ოდნავ მეტხანს ივარჯიშეს. ოლსონმა ჩვეულებრივი, მსუბუქი წვრთნა ჩაატარა, რომელიც კარში დარტყმებით დაასრულა. აშკარად ჩანდა, რომ „გეფლეს" ფეხბურთელები კარში ძლიერად ურტყამენ, უმეტეს შემთხვევაში სიზუსტეც არ ღალატობთ და ამ მხრივ, „დინამოს" კონტრზომების მიღება მოუწევს.

ვარჯიშის დასრულების შემდეგ „გეფლეს" თავკაც პერ ოლსონს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

**- „დინამოსთან" საპასუხო მატჩს რა განწყობით ხვდებით?**

- სამწუხაროდ, ტრავმირებულები გვყავს და კარგ სიტუაციაში არ ვიმყოფებით. მიუხედავად ამისა, მიმაჩნია, რომ ჩვენი წილი შანსი გვაქვს და მისი გამოყენებისთვის ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- მეტოქეს როგორ დაახასიათებდით?**

- ძნელია მხოლოდ ერთი თამაშით რომელიმე გუნდის რეალური პოტენციალი შეაფასო. ვფიქრობ, ახალგაზრდული მოძრავი გუნდია, ტექნიკურ ფეხბურთს თამაშობს. „დინამოს" თავისი პლუს-მინუსები აქვს. ყველანაირად შევეცდებით, მეტოქის მინუსებით ვიხეიროთ.

**- პირველ მატჩში „დინამომ" რით დაგამახსოვრათ თავი?**

>> მე-4 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ევროპის ლიგა II საკვალიფიკაციო ეტაპი



ეროვნულზე გეფლემაც ივარჯიშა

ავტრის ფოტო

დინამო-გეფლე. მეტოქე

# პერ ოლსონი: გეფლე სტუმრად უკეთ თამაშობს

## შვედებს ორი ფორვარდი ეყოლებათ და დინამოსგან შემტევ ფეხბურთს ელიან

« მე-3 გვერდიდან

- შინ რთული თამაში გვქონდა, „დინამომ" ბევრი იმოძრავა, ბოლომდე იბრძოლა და შედეგსაც მიაღწია. მეტოქეს ყველა რგოლში ჰყავს გამორჩეული ფეხბურთელები, რომელთაც შეუძლიათ თამაშის წარმართვა და საბოლოო შედეგზე ზეგავლენა. ვფიქრობ, „დინამომ" შინ ბოლომდე ბრძოლითა და ინდივიდუალური ოსტატობის წყალობით მოგვიგო.

**- მოწინააღმდეგე გუნდიდან რომელ ფეხბურთელებს გამოარჩევდით?**

- უპირველესად მათეს (ვაწაძე), კახელიშვილს, თექთურმანიძეს...

**- მეორე რაუნდის წინ „დინამო" 2:1-ს უგებს და შინ თამაშობს, შანსებს როგორ გაანაწილებდით?**

- ვფიქრობ, 60% „დინამოსია", დანარჩენი კი ჩვენი. თუმცა 40% ცოტა ნამდვილად არ არის... აი, შინ გოლი რომ ვერ გაგვეტანა, მაშინ ჩვენი შანსი მიზერული იქნებოდა.

**- შინ დამარცხდით, ტრავმების გამო დანაკლისი გაქვთ, თბილისში 18 ფეხბურთელით ჩამოხვედით, „დინამოსთან" საპასუხო მატჩამდე გუნდის მთავარი მეგოლე „ჰელსინგბორგს" დაუთმეთ... მომდევნო ეტაპზე გასვლაზე ხელი ხომ არ აგიღიათ?**

- არა, რატომ? ტრავმებისგან დაზღვეული არავინაა. რაც შეეხება ტრანსფერს, ვითარების მიხედვით, სხვა გამოსავალი არ გვქონდა... ნურავინ იფიქრებს, რომ პესიმიზმი შემოგვეპარა. ჩვენს გუნდში სრული ოპტიმიზმი და საბრძოლო განწყობაა.

**- თქვენი ოპტიმიზმი რით არის განპირობებული?**

- ჩვენი კოზირები გვაქვს. სხვა თუ არაფერი, „გეფლე" სტუმრად უკეთ თამაშობს, ვიდრე შინ. ეს სპეციალისტების შეფასებაა და ნაციონალურ პირველობაზე ნაჩვენები შედეგებიც ამაზე მეტყველებს. სტუმრად უფრო მეტი ქულა გვაქვს მოპოვებული...

**- თბილისურ კლიმატზე რას იტყოდით?**

- აქ გაცილებით მაღალი ტემპერატურაა, ვიდრე ჩვენთან შვედეთში. კლიმატი და აქაური გარემო, მეტოქის წისქვილზე ასხამს წყალს, მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ.

**- ამ წყვილში მოგებული მეტოქე „შტურმის" თავკაცი ფრანკო ფოდა თბილისში დაზვერავს მოწინააღმდეგეს. ავსტრიელები მეტოქედ „დინამოს" ელიან...**

- პირველი მატჩის შედეგიდან გამომდინარე, ფავორიტი „დინამოა", მაგრამ ვიმედოვნებ ჩვენ მოგვიწევს „შტურმთან" თამაში.

**- როგორც გავიგე თბილისში 4-4-2 სქემით აპირებთ თამაშს?**

- ჩვენ სულ ამ სქემით ვთამაშობთ და ამჯერადაც არ შევცვლით ტაქტიკას.

**- ბუნებრივია, ორი ფორვარდი სწრაფ გოლზე იქნება აქცენტირებული. ასეა?**

- ჩვენ მინიმუმ ორი გოლის გატანა გვინდა. შესაბამისად, გვინდა რაც შეიძლება მალე გავიტანოთ ორი ბურთი.

**- მეტოქესგან შემტევ ფეხბურთს ელით, თუ დაცვიდან თამაშს?**

- „დინამო" შინ თამაშობს და ვფიქრობ შემტევ სტილში ითამაშებს.

**- თბილისურ მატჩში რა ფაქტორი იქნება გადამწყვეტი?**

- ჩემი აზრით, პირველი გოლის ფაქტორი მეტად მნიშვნელოვანი იქნება. თუმცა რომელ კარშიც არ უნდა გავიდეს პირველი გოლი, ჩემი გუნდი ბოლომდე იბრძოლებს.

**დავით ცაბაძე**

ალიარება

# მარცვალაძე წრის სიმბოლურში

რუსეთის პირველ დივიზიონში მოასპარეზე ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ" მიმდინარე სეზონის პირველი წრე მე-3 ადგილზე დაასრულა. ვოლგისპირელთა გუნდის ამ შედეგიან ასპარეზობაში ლომის წილი შეიტანა „ვოლგას" ქართველმა თავდამსხმელმა **ოთარ მარცვალაძემ**. ნაკრების ფორვარდი 18 შეხვედრაში გატანილი 9 გოლით შეეწია გუნდს. მარცვალაძის ეს შედეგიანობა მასმედიასაც არ დარჩა შეუმჩნეველი. ვებგვერდმა onedivision.ru-მ ის პირველი წრის სიმბოლური ნაკრებში დაასახელა.

ბოლოს, შეგახსენებთ, რომ ნიჟნინოვგოროდელთა გუნდში მარცვალაძის გარდა კიდევ სამი ქართველი ფეხბურთელია - მცველები **ედიკ საჯაია** და **გიორგი ნავალოვსკი**, ნახევარმცველი **გოჩა ხოჯავა**. იმასაც დავამატებთ, რომ ედიკ საჯაია, რომელმაც ბოლო მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა, ახლა უკეთ გრძნობს თავს და იმედოვნებენ, რომ თვის ბოლოსთვის მწყობრში ჩადგება. „ვოლგა" სეზონს 30 ივლისს განაახლებს. ჩვენებურთა გუნდი ვოლგისპირულ დერბიში „როტორს" სტუმრად ეთამაშება.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპი

# რატომ შეელია ოლიმპი ფორვარდს?

ფოთის "კოლხეთის" მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** ახალწვეულით კმაყოფილია – "ოლიმპის" თავდამსხმელი **რეზო ჯიქია** ახალი სეზონიდან კოლხებისთვის ითამაშებს. ჯიქია ხომ გასულ სეზონში საქართველოს ჩემპიონ "ოლიმპის" ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა გახლდათ.

ამ დროს, ბევრისთვის გაუგებარია რეზო ჯიქიას რუსთავური კლუბიდან წასვლის მიზეზი. იმ დროს, როდესაც კლუბს უმწვავესი საკადრო პრობლემა აქვს, ერთ-ერთი ლიდერის გაშვება უცნაურად ჩანდა.

27 წლის თავდამსხმელი (რომელმაც სხვათა შორის, ქართული კარგად მხოლოდ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ისწავლა) გასული სეზონის პირველ ეტაპზე დაშავდა და მეორე წრე არ ჩაუტარებია. რუსთაველთა ხელმძღვანელები გამოცდილი ფეხბურთელის მომჯობინებას დიდხანს ელოდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპამდე მომჯობინდებოდა - მისი გვარი უეფაში წარდგენილ სალიგო განაცხადშიც შეიტანეს.

"ოლიმპის" ხელმძღვანელთა იმედები არ გამართლდა, რეზო დღემდე ვერ მომჯობინდა, ინდივიდუალურ ვარჯიშებს ვერ გასცდა და მისი თამაში "ოლიმპის" მეორე ეტაპზე გასვლის შემთხვევაშიც გამოირიცხა.

*"...ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ჯიქიასთან კონტრაქტის გაწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადავწყვიტეთ. რეზო ძალიან კარგი ფეხბურთელია, გასულ სეზონში უდიდესი სამსახური გაგვიწია და წლეულსაც მისი დიდი იმედი გვქონდა. სამწუხაროდ, აგვისტოს ბოლომდე ველარ დაგვეხმარებოდა და ასეთი გადაწყვეტილება მივიღეთ"*, - გვითხრა "ოლიმპის" პრესატაშე **მიხეილ ჯორბენაძემ**.

ასე რომ, ჯიქია გასული სეზონის შემადგენლობის მეთხუთმეტე ფეხბურთელია, რომელმაც "ოლიმპი" დატოვა. ძველებიდან რუსთავულ კლუბს მხოლოდ ექვსი მოთამაშე შერჩა: **თემურ ლონლაძე, დავით გიგაური, გიორგი რეხვიაშვილი, დენის დობროვოლსკი, გიორგი ხიდეშელი და გიორგი ჭედია.**

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონი



ლეხი-ინტერი. მატჩის კულმინაცია. კოტოროვსკი ლომაიას პენალტს იგერიებს

# ლომაიას დრამა პოზნანში

მიუხედავად იმისა, რომ ბაქოს „ინტერს" შინ 0:1 ჰქონდა წაგებული ჩემპიონთა ლიგის II საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონეთის ჩემპიონ „ლეხთან", **კახა ცხადაძის** გუნდმა ლამის სასწაული მოახდინა. „ინტერმა" 84-ე წუთზე კარლსონსის გოლის წყალობით 1:0 მოიგო და თამაში დამატებით დროში გადავიდა, რომელიც 0:0 დასრულდა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. ცხადაძემ სასტარტოში **გიორგი ლომაია, კახაბერ მჟავანაძე** (71-ე წუთზე შეცვალეს), **ილია კანდელაკი** და **დავით ოდიკაძე** ათამაშა, **ვალერი აბრამიძე** კი სათადარიგო იყო.

გიორგი ლომაია ერთ-ერთი საუკეთესო იყო მატჩში. პენალტების სერიაშიც საქართველოს ნაკრების ყოფილმა გოლკიპერმა 2 პენალტი აილო, თუმცა სერია 3:3 დასრულდა და გამარჯვებულის გამოსავლენად პირველ აცილებულ პენალტამდე გაგრძელდა. სამწუხაროდ, ფეხი სწორედ ლომაიას დაუცდა, რომლის დარტყმული პოლონელმა ვიზავიმ მოიგერია, „ლეხმა" სერია 9:8 მოიგო და ბრძოლა გააგრძელა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ანანიძის პირველი დუბლი პრემიერლიგაში

## კარპინი: ჯანო ყველგან მომეწონა

გუშინ რუსული პრემიერლიგის მე-11 ტურის გამოტოვებულ მატჩში „ლუჟნიკიზე" შეკრებილმა მაყურებელმა ერთბაშად 8 გოლი იხილა, „სპარტაკმა" „სიბირს" „ჰოკეის ანგარიშით", 5:3 მოუგო და რაც ყველაზე მთავარია, 17 წლის **ჯანო ანანიძემ** კარიერაში პირველი დუბლი შეასრულა რუსეთის ჩემპიონატში. ჩვენებურმა ნამდვილი ბენეფისი მოიწყო. 23-ე წუთზე ბრაზილიელმა **არიმ** ქართველს ბრწყინვალე პასი მისცა, მას შეეძლო საჯარიმოს კუთხიდან მეკარესთან პირისპირ გასვლამ, მაგრამ ჯანომ სხვანაირად განსაჯა, ცენტრისკენ გადაინაცვლა და **კოვალევსკის** შორეულ კუთხეში გაუტანა. 67-ე წუთზე ჯანო საჯარიმოს ხაზის გაყოლებაზე შეიჭრა მეკარესთან პირისპირ, ბრწყინვალედ „მოტეხა" მცველი და კოვალევსკის გაუტანა. ორივე გოლი ერთმანეთზე უკეთესი იყო, 77-ე წუთზე ანანიძეს ჰეთ თრიკი უნდა შეესრულებინა, მაგრამ ამჯერად მას აჯობა პოლონელმა გოლკიპერმა. მე-80 წუთზე დაღლილმა ქართველმა თავად ითხოვა შეცვლა. *„ჯანოს ბუნებრივი პოზიცია ცენტრშია, თუმცა დღეს მან ყველგან დიდებულად ითამაშა, მარცხნივაც მომეწონა და ცენტრშიც"*, - განაცხადა ვალერი კარპინმა.



ჯანო ანანიძე

„ჩემპიონატმა" ჯანო ანანიძის თამაში 7 ბალით შეაფასა. უკეთესი შეფასება მხოლოდ **ალექსმა** და არიმ (7,5 - 7,5) დაიმსახურეს. ამ ჩემპიონატში ანანიძემ პირველად შეძლო გოლის გატანა. „სპარტაკი" 19 ქულით მე-7 ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



კობა შალამბერიძე

# შალამბერიძე პოლონიას მიუახლოვდა

გოლი და საგოლე პასი, ასეთია ბიტომის „პოლონიაში" ტესტირებაზე მყოფი შემტევი ნახევარმცველის, **კობა შალამბერიძის** მონაგარი ბოლოს ჩატარებულ ამხანაგურ შეხვედრაში. გერმანიაში, მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „პოლონიამ" მორიგი საკონტროლო შეხვედრა საუდის არაბეთის გუნდთან, „ქადიშაიასთან" გამართა და 4:1 მოიგო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ წარმატებაში 25 წლის კობა შალამბერიძემ დიდი წვლილი შეიტანა. იგი სასტარტო შემადგენლობაში არ იყო, მეორე ტაიმი კი სრულად ითამაშა და გოლისა და საგოლე პასისთვის ეს დროც იკმარა. შალამბერიძე იმდენად მონდომებული შევიდა მოედანზე, რომ ორიოდე წუთში დალაშქრა არაბების კარი. 47-ე წუთზე ჩვენებურმა პოლონელთა სხვაობა კიდევ უფრო სოლიდური გახადა, 3:0. არაბებმა მე-80 წუთზე სხვაობა ორამდე შეამცირეს, მაგრამ 4 წუთში **იარეჩკიმ** კობას გამოზომილი პასით გაიტანა და სტატუს-კვო აღადგინა.

დავძენთ, რომ „პოლონიაში" კობა შალამბერიძის გარდა იაპონელი **იუ შიმასაკიც** იყო ტესტირებაზე. როგორც გავიგეთ, პოლონელები შიმასაკის გამოემშვიდობნენ, შალამბერიძე კი მოსწონთ. კობამ წინა საკონტროლო მატჩიც კარგად ჩაატარა და წესით ბიტომელებმა ჩვენებურს პოლონეთში დაბრუნებისთანავე კონტრაქტი უნდა გაუფორმონ.

**დავით ცაბაძე**

# ადამიას გოლი უნდა

ევროპის ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჩრდილოირლანდიურ „პორტდაუნთან" სტუმრად მოგებული მატჩის (2:1) შემდეგ, **გიორგი ადამია** და მისი გუნდი „ყარაბახი" ჩრდილოელებს საპასუხო შეხვედრაში დღეს უმასპინძლებენ. ამ მატჩის წინ აზერბაიჯანული პრესა ქართველი თავდამსხმელის აზრით დაინტერესდა. ვებგვერდ extratime.az-თან საუბარში გიორგი ადამიას „პორტდაუნთან" განვლილ და დღეს გასამართ მატჩზე დაეკითხნენ.

*„პორტდაუნი" ზუსტად ისეთივე გუნდია, როგორსაც ველოდით. ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, დაცვაში ყურადღებით თამაშობს და კონტრიერიშებზეა ორიენტირებული. სტუმრად 2:1 მოვიგეთ და მომდევნო ეტაპზე გასასვლელად კარგი ფორა გვაქვს. თუმცა, საპასუხო შეხვედრაში ფრესა და ძალების დაზოგვაზე კი არ უნდა ვიფიქროთ, არამედ „პორტდაუნი" კიდევ ერთხელ უნდა დავამარცხოთ.*

*გასვლით შეხვედრაში ძალიან მინდოდა ბურთის გატანა. მინდოდა ეს გოლი თანაგუნდელისა და მეგობრის, რაშიდ სადიგოვის ახალშეძენილი შვილისთვის მიმეძღვნა, მაგრამ ვერ მოვახერხე. არადა, ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად კარგად ვარ მომზადებული, მაგრამ რაღაც არ გამომდის, გოლი მაინც ვერ გავიტანე. ყველანაირად შევეცდები „პორტდაუნთან" ეს ბაქოში მაინც მოვახერხო"*, - აღნიშნა „ყარაბახის" ფორვარდმა გიორგი ადამიამ.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# მამუკა ლონლაძეც დაუგავაში

„ბორჯომისა" და ცხინვალის „სპარტაკის" ყოფილი თავდამსხმელი მამუკა ლონლაძე კარიერას ლატვიაში გააგრძელებს. 24 წლის თავდამსხმელი (მეტსახელად „კანუ") ვირსლიგის (უმაღლესი ლიგის) „დაუგავაში" ჩაირიცხა, რომლის მთავარი მწვრთნელიც ქართველი სპეციალისტი თამაზ პერტია გახლავთ.

რამდენიმე დღის წინ, ფოთის „კოლხეთის" პრეზიდენტმა თემურ ბარქაიამ „ლელოსთან" საუბრისას იმედი გამოთქვა, რომ ლონლაძეს დაიმატებდა. მანამდე ქუთაისის „ტორპედოში" ჩარიცხვაზე იყო ლაპარაკი და კლუბის ინტერესი თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა. მამუკა საქართველოში თამაშს აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ მისი გეგმები შეიცვალა - ტანმაღალი თავდამსხმელი ლატვიაში წავიდა.

მამუკას გუშინ დავუკავშირდით და მცირე ინტერვიუ ჩამოვართვით.

**- მამუკა, გვეგონა საქართველოს პირველობაზე გიხილავდით, შენ კი ლატვიაში აღმოჩნდი.**

- ლატვიაში დაახლოებით ორი კვირის წინ ჩამოვედი. „დაუგავას" მთავარი მწვრთნელი თამაზ პერტია ჩემით დაინტერესდა და გასინჯვაზე მიმიწვია. გუნდთან ერთად, ათი დღე შეკრება გავიარე, დამაკვირდა და დამტოვა.

**- კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

- დიახ, სამი დღეა, რაც კონტრაქტი ერთი პლუს ნახევარი წლით გაფორმდა.

**- ბოლო ორი წელიწადია ლატვიურ კლუბებს ფინანსურად გაუჭირდათ – ყოველ შემთხვევაში, ბევრი ქართველი ამის გამო წამოვიდა.**

- შესაძლოა, აქაური კლუბები კრიზისისგან ადრე მართლაც დაზარალდნენ, მაგრამ მე დალაგებული ვითარება დამხვდა და ყველაფრით კმაყოფილი ვარ. ლატვია საკმაოდ განვითარებული ქვეყანაა, მაგრამ მაინც ვერ წარმოვიდგენდი, ასეთი შეძლებული და მოწესრიგებული კლუბები თუ დამხვდებოდა.

**- ქართული კლუბებისგან საინტერესო წინადადება არ მიგიღია?**

- კარგი წინადადებები იყო, მაგრამ უცხოეთში თამაში მსურდა და ამან განაპირობა არჩევანი.

**- როგორც ვიცით, ქუთაისის „ტორპედო" და ფოთის „კოლხეთი" გიწვევდათ.**

- ქუთაისის „ტორპედოზე" ხმა ჩემამდეც მოვიდა, მაგრამ კონკრეტული წინადადება არ შემოუთავაზებიათ, როგორც ჩანს, სერიოზული ინტერესიც არ ჰქონიათ.

რაც შეეხება ფოთის „კოლხეთს", კარგი კონტრაქტი შემომთავაზეს და გადასვლას ვაპირებდი, მაგრამ ლატვიაში წასვლის შანსი გამიჩნდა და ხელიდან არ გავუშვი. „დაუგავამ" ისეთი პირობები შემომთავაზა, უარის თქმა სისულელე იქნებოდა. მწვრთნელი ქართველი კაცია, მენდობა, გუნდში ქართველი ბიჭებიც თამაშობენ და ამ ფაქტორმა ყველა სხვა გადაწონა.

შეგახსენებთ, რომ 24 წლის „კანუ" (მამუკა ლონლაძის ზეტმეტსახელია) ქუთაისის „ტორპედოში", ცხინვალის „სპარტაკსა" და „ბორჯომში" თამაშობდა, გასულ წელს კი უზბეკეთის უმაღლესი ლიგის „შურტანში" გადავიდა. გუნდის ძირითადში დამკვიდრება კი მოახერხა, მაგრამ უმძიმესი მონამვლის შემდეგ, თებერვალში კლუბი დატოვა და კარგა ხანი მკურნალობდა.

ლონლაძე „დაუგავაში" ჩარიცხული მესამე ქართველი ფეხბურთელია – მანამდე კონტრაქტები ცენტრალურმა მცველმა, 22 წლის **გიორგი ჩიხრაძემ** და პლეიმეიკერმა, 19 წლის **ჯემალ ჯალიაშვილმა** გააფორმეს. პერტიაზე უკვე მოგახსენეთ. ამას გარდა, „დაუგავას" საფეხბურთო სკოლას **შოთა მახარაძე** ხელმძღვანელობს, რომელიც მალე პერტიას ასისტენტად იმუშავებს.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო უეფას თასზე

# ...მუდამ ფავორიტები ვიყავით!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში ევროტურნირების ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე, ჩემპიონთა ლიგაზე ქართული გუნდების ასპარეზობაზე დავწერეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ თასების თასისა და უეფას თასისგან განსხვავებით, ჩემპიონთა ლიგაზე (იმავე ჩემპიონთა თასზე) ქართული გუნდები არასდროს გასულან მესამე ეტაპზე. დღეს, უეფას თასზე ჩვენი გუნდების „მონაგარი" გვინდა შემოგთავაზოთ, ოღონდ, ამჯერად საუბარი მხოლოდ თბილისის „დინამოზე" გვექნება, — ევროტურნირებზე მოასპარეზე ქართული გუნდებიდან ყველაზე „სტაჟიან" წევრზე...

ისე როგორც გუშინ, უეფას თასზე „დინამოს" ასპარეზობა ორ ეტაპად უნდა დავყოთ და ჯერ იმ პერიოდზე ვილაპარაკოთ, როცა იმ დროისთვის ყველა ქართველისათვის უპირველესი გუნდი საბჭოთა კავშირის სახელით მონაწილეობდა. სხვათა შორის, წინდაწინვე უნდა ითქვას, რომ იმ პერიოდში უეფას თასზე ჩატარებულ შეხვედრებში „დინამოს" დადებითი ბალანსი აქვს: 26 მატჩში 13 მოიგო, 5 ფრედ დაასრულა და 8 წააგო (ბურთების სხვაობა 39-31).

უეფას თასზე და საერთოდ, ევროტურნირებზე „დინამოს" დებიუტი 1972 წლის 13 სექტემბერს ჰქონდა. **გავრილ კაჩალინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ" უეფას თასის 1/32 ფინალში წარმატებული სტარტი აიღო: ევროტურნირებზე სადებიუტო შეხვედრაში ჰოლანდიური „ტვენტე" დაამარცხა (3:2). იმ მართლაც ისტორიულ მატჩში დინამოელთაგან ორი გოლი **გივი ნოდიამ** გაიტანა, ერთიც **დავით ყიფიანმა**. სამწუხაროდ, ორი კვირის მერე ჩატარებულ განმეორებით შეხვედრაში „დინამომ" 0:2 წააგო და ევროტურნირებზე სადებიუტო ასპარეზობა ასე ადრეულ ეტაპზე დაასრულა. სამაგიეროდ, ბევრად უფრო წარმატებული გამოდგა მომდევნო სეზონი: **ალექსანდრე კოტრიკაძის** ხელმძღვანელობით „დინამომ" უეფას თასის მერვედფინალს მიაღწია! 1/32 ფინალში „დინამომ" ორი მატჩის ჯამში ბულგარულ „სლავიას" აჯობა (4:1, 0:2), 1/16 ფინალში კი საკმაოდ იოლად გაუსწორდა იუგოსლავიის ოფკ-ს (3:0, 5:1). აი, მერვედფინალში კი „დინამოს" საკმაოდ ძლიერი მეტოქე ელოდა – ინგლისური „ტოტენჰემ ჰოთსპური", რომლის ლიდერიც 1966 წლის მსოფლიოს ჩემპიონი **მარტინ პიტერსი** გახლდათ. თბილისური მატჩი ფრედ (1:1) დამთავრდა (დინამოელთაგან გოლი **კახი ასათიანმა** გაიტანა), აი, ლონდონში კი სრული ფიასკო გველოდა: „ტოტენჰემმა" ქართულ გუნდს დიდი ანგარიშით, 5:1 მოუგო...

ამის შემდეგ ოთხი წელი გავიდა, ვიდრე „დინამო" კვლავ იასპარეზებდა უეფას თასზე. თანაც, ქართულ ფეხბურთში **ნოდარ ახალკაცის** ეპოქა უკვე დაწყებული იყო და 1977 წლის 14 სექტემბერს „დინამომ" თავის ისტორიაში კიდევ ერთი ლამაზი ფურცელი ჩაწერა! დღევანდელი გადასახედიდან, ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად ჩანს მაგრამ, რეალობას ვერსად გავექცევით: 1/32 ფინალში „დინამომ" სტუმრად მილანის „ინტერი" დაამარცხა! გამარჯვების მომტანი ის ერთადერთი გოლი კი დავით ყიფიანმა გაიტანა, როცა მასპინძელთა და, საერთოდ, იტალიური ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდას **ფაკეტის** მოედნის ცენტრთან ბურთი „მოპარა" და საშუალო მანძილიდან მეტოქის კარში ზუსტადაც დაარტყა. განმეორებითი მატჩი ნულოვანი ფრით დასრულდა; 1/16 ფინალში კი „დინამომ" უპრობლემოდ გადალახა დანიური „ბკ კოპენჰაგენის" ბარიერი (4:1, 2:0). აღსანიშნავია, რომ ამ ორ მატჩში თავი გამოიჩინა **რევაზ ჩელებაძემ,** მეტოქის კარში სამი გოლი რომ გაიტანა; ამას გარდა, ევროტურნირებზე პირველი გოლები გაიტანეს **ალექსანდრე ჩივაძემ** და **რამაზ შენგელიამ** (სხვათა შორის, „კოპენჰაგენის" შემადგენლობაში **ფინ ლაუდრუპი** თამაშობდა – 90-იანი წლების მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავების, **მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპების** მამა). აი, მერვედფინალში კი „დინამო" აშკარა უსამართლობის მსხვერპლი გახდა: თბილისში შვეიცარიულ „გრასჰოპერსს" რამაზ შენგელიას ერთადერთი გოლით ვაჯობეთ, მაგრამ ციურიხში ჩატარებულ განმეორებით მატჩში ფრანგმა არბიტრმა **კიტაბჯანმა** საშინელი მიკერძოებით იმსაჯა. ყოველ შემთხვევაში, „დინამო" ასეთი დიდი ანგარიშით (0:4) წაგებას ნამდვილად არ იმსახურებდა.



1987 წლის 9 დეკემბერი. დინამო-ვერდერი რამაზ შენგელიასა (მარცხნივ) და რუნე ბრატსტეტის ორთაბრძოლა



დავით ყიფიანი

ამის შემდეგ ისე მოხდა, რომ ზედიზედ ორჯერ უეფას თასზე პირველივე წრეში მეტოქედ იტალიური „ნაპოლი" გვხვდებოდა! 1978 წელს „დინამომ" შეძლო და ეს ძლიერი მეტოქე გზიდან ჩამოიცილა: თბილისში, დავით ყიფიანის და რამაზ შენგელიას ორი უპასუხო გოლით გავიმარჯვეთ, ნეაპოლში კი მატჩი ფრედ (1:1) დასრულდა. სხვათა შორის, სწორედ ამ განმეორებით შეხვედრას უკავშირდება ცნობილი ისტორია. **ვიტალი დარასელიამ** იტალიაში ყოფნისას შეიტყო, ვაჟი რომ შეეძინა და „დინამოს" ნახევარმცველს თანაგუნდელებისთვის უთქვამს – მეტოქის კარში გოლს ვინც გაიტანს, ჩემს ბიჭს იმის სახელს დავარქმევო! ჰოდა, ისე მოხდა, რომ ერთ ეპიზოდში, **ვახტანგ ქორიძის** ძლიერი დარტყმის მერე „ნაპოლის" მეკარემ ბურთი მოიგერია და დამატებაზეც ყველას... ვიტალი დარასელიამ დაასწრო! სიტყვა სიტყვა იყო: დარასელიების ოჯახში 1978 წლის 27 სექტემბერს დაბადებულ ახალშობილს ვიტალი დაარქვეს; გავა წლები და უეფას თასზე თბილისის „დინამოს" მაისურით იასპარეზებს და მეტოქეთა კარში ერთი-მეორეზე ეფექტურ გოლებს... **ვიტალი დარასელია-უმცროსი** გაიტანს!

...ისევ 1978-79 წლების სეზონს დავუბრუნდეთ, როცა „დინამომ" ევროტურნირებზე ასპარეზობა 1/16 ფინალში შეწყვიტა. ჩვენი მეტოქე დასავლეთ ბერლინის „ჰერტა" იყო და სტუმრად 0:2 დავმარცხდით, ხოლო თბილისში რამაზ შენგელიას მართლაც დიდოსტატური გოლი საკმარისი არ აღმოჩნდა. ამის შემდეგ „დინამოს" უეფას თასზე სამწლიანი და, ამასთან, „საპატიო" პაუზა ჰქონდა: გუნდმა ჯერ ჩემპიონთა თასზე იასპარეზა, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ – თასების მფლობელთა თასზე. ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად მოეხსენებათ, თუ რა ზღაპრული მატჩები ჩაატარა ჩვენმა უპირველესმა გუნდმა იმ სამივე გათამაშებაში. აქედან გამომდინარე, 1982 წლის შემოდგომაზე „დინამოს" პირველსავე ეტაპზე გამოვარდნა, მართლაც კატასტროფულ შედეგად მიგვაჩნდა. ჰო, მართლაც უცნაურად მოჩანს დღევანდელი გადასახედიდან: ქართველი გულშემატკივარი იმაზე იყო აღშფოთებული, იტალიურმა „ნაპოლიმ" როგორ გვაჯობაო!.. არადა, უნდა ვაღიაროთ, რომ „დინამოში", ფაქტობრივად, უკვე დაწყებული იყო იმ მართლაც, „დიდი გუნდის" ნელ-ნელა კი არა, აშკარად „ჩქარი ტემპებით" დაშლა; ანუ, ლოგიკასთან ახლოც იყო, როცა „ნაპოლიმ" ორი მატჩის ჯამში (1:2, 1:0) გვაჯობა. ნეაპოლურ გუნდში ორი ჩინებული ლეგიონერი თამაშობდა – ვეტერანი ჰოლანდიელი მცველი **რუუდ კროლი** და ახალგაზრდა არგენტინელი ფორვარდი **რამონ დიასი**; თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ განმეორებით შეხვედრაში მსაჯობა აშკარად ტენდენციური იყო: ნეაპოლურ მატჩში ალექსანდრე ჩივაძემ შორეული საჯარიმო დარტყმით ეფექტური გოლი გაიტანა, მაგრამ არბიტრმა, გაურკვეველი მიზეზებით, სტანდარტულის ხელახლა შესრულება მოითხოვა და მასპინძელთა კარში გატანილი ათასპროცენტიანი გოლი არ ჩაგვითვალა...

ამის შემდეგ „დინამოში" ხანგრძლივი კრიზისი დაიწყო და ზედიზედ ოთხი წლის განმავლობაში ევროტურნირები უჩვენოდ ტარდებოდა და აი, 1986 წლის სეზონის მიხედვით, მომავალ წელს უეფას თასზე მონაწილების უფლებაც მივიღეთ. ოღონდ, იმ ერთ წელიწადში „დინამოში" უამრავი საკადრო ცვლილება მოხდა: ოთხი მთავარი მწვრთნელიც გამოიცვალა, რომ აღარაფერი ვთქვათ ფეხბურთელების წასვლა-მოსვლაზე. ამიტომაც იყო, რომ ქართველი გულშემატკივარი საკმაოდ სკეპტიკურად უცქერდა 1987 წლის შემოდგომაზე „დინამოს" შანსებს. თუმცა, ბევრისთვის მოულოდნელად, **გერმან ზონინის** ხელმძღვანელობით მოასპარეზე „დინამომ" უეფას თასზე მართლაც ჩინებულად იასპარეზა! 1/32 ფინალში პირველი მატჩი ბულგარეთში, სოფიის „ლოკომოტივთან" 1:3 წავაგეთ: განმეორებით შეხვედრაში, მატჩის დასაწყისშივე **გელა კეტაშვილმა** პენალტი ვერ გაიტანა, მაგრამ „დინამომ" მაინც შეძლო თავისთვის სასურველი შედეგის მიღწევა და მეტოქის კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანა. განსაკუთრებით ეფექტური კი **გია გურულის** მიერ 40 მეტრიდან გატანილი გოლი იყო, — ბურთი მეტად უცნაური ტრაექტორიით მეტოქის კარის „ცხრიანში" რომ შეფრინდა. ამას მოჰყვა 1/16 ფინალში რუმინული „ვიქტორიას" ძლევა (2:1, 0:0) და მერვედფინალში მეტოქედ გერმანული „ვერდერი" გველოდა; გუნდი, რომელსაც **ოტო რეჰაგელი** წვრთნიდა და რომელმაც ჩვენამდე მართლაც რომ აბუჩად აიგდო მოსკოვის „სპარტაკი" — „ვერდერმა" პირველი მატჩი 1:4 წააგო, მაგრამ საკუთარ მოედანზე 6:2 დაამარცხა! აი, „დინამო" კი მართლაც ღირსეულად ეპაექრა ამ წყვილის უპირობო ფავორიტ გერმანულ გრანდს: ბრემენში მინიმალური სხვაობით (1:2) წავაგეთ და სხვათა შორის, ეს იყო შენგელიას უკანასკნელი გოლი ევროტურნირებზე...

1987 წლის 9 დეკემბერს თბილისის „დინამომ" ევროტურნირებზე უკანასკნელი მატჩი ჩაატარა... როგორც საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა. სამწუხაროდ, „ვერდერის" ძლევა ვერ მოხერხდა, მაგრამ ასეთი დონის გუნდთან ფრეც (1:1) არ იყო ურიგო შედეგი (დინამოელთაგან გოლი **თენგიზ სულაქველიძემ** გაიტანა).

აი, ამის შემდეგ კი თბილისის „დინამო" ევროტურნირებზე უკვე დამოუკიდებელი საქართველოს სახელით ასპარეზობდა, თუმცა ამ თემაზე „ლელოს" ხვალინდელ ნომერში ვისაუბროთ. მანამდე კი „დინამოს" ის ფეხბურთელები ჩამოთვალოთ, 1973-1989 წლებში უეფას თასზე მეტოქეთა კარში გოლები რომ გაჰქონდათ: **რამაზ შენგელია – 8, დავით ყიფიანი – 7, გივი ნოდია – 5, რევაზ ჩელებაძე – 3, ალექსანდრე ჩივაძე, თენგიზ სულაქველიძე, ლევან ნოდია – ყველა 2-2, გოჩა გავაშელი, მანუჩარ მაჩაიძე, ვახტანგ ჭელიძე, ზურაბ წერეთელი, კახი ასათიანი, ზორბეგ ებრალიძე, ვიტალი დარასელია, ნოდარ ხიზანიშვილი, სოსო ჭედია, გია გურული** – ყველა თითო-თითო.

**გია ტუხაშვილი**

(გაგრძელება ხვალინდელ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



ესპანეთი | ტრანსფერები


ფილიპე ლუიში


დამია

# ატლეტიკოში, საზარელი ტრავმის შემდეგ

## ესპანეთი ნიჭიერი სამხრეთამერიკელებით ივსება

ესპანეთში სატრანსფერო სეზონი ნელნელა შედის ეშხში. ყოველდღიურად ერთი მნიშვნელოვანი ტრანსფერის ამბავს მაინც ვიგებთ. გუშინ „დეპორტივო" და „ატლეტიკო" ბრაზილიელი მცველის, **ფილიპე ლუიშის** ტრანსფერზე შეთანხმდნენ. ფეხბურთელი, რომელიც ზამთარში დაინვალიდებას ბეწვზე გადაურჩა, კარიერას მადრიდულ კლუბში განაგრძობს. დღეს-ხვალ ფილიპე ლუიში სრულ სამედიცინო შემოწმებას გაივლის და „ატლეტიკოსთან" ოთხწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს. გალისიური კლუბი მის სანაცვლოდ 12 მილიონ ევროს მიიღებს. ეს ტრანსფერი „დეპორტივოს" სეგუნდა დივიზიონში დაქვეითებისგან იხსნის, რადგან კლუბს ნახევარმცველ **სერხიო გონსალესის** ვალი მართებს (4 მილიონ ევრომდე). თუკი „დეპორტივო" ვალს 2 აგვისტომდე არ გაისტუმრებს, კლუბი შეიძლება დააქვეითონ.

სხვათა შორის, სამედიცინო შემოწმებაზე ბევრი რამაა დამოკიდებული, მადრიდში ყველას აინტერესებს მოირჩინა თუ არა ბოლომდე ფილიპე ლუიშმა მარჯვენა ფეხის ტრავმა, რომელიც მან 23 იანვარს „ბილბაოსთან" თამაშში მიიღო. იმ მომენტში, როცა ფეხბურთელმა ბასკებს გოლი გაუტანა, მეტოქის გოლკიპერი **გორკა ირაისოსი** ცუდად დაეცა მას ფეხზე. დაზიანება უსერიოზულესი იყო, კადრები კი საზარელი სანახავი. ბევრი შეშინდა, რომ ფილიპეს ფეხი სულ არ მოსწყვეტოდა, გალისიელთა ბანაკი პანიკამ მოიცვა. მიუხედავად ამისა, ბრაზილიელმა, რომელსაც მარცხენა ფლანგზე თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში დაცვასა და ნახევარდაცვაში, გამოჯანმრთელება შეძლო და ბოლო ტურებში ითამაშა კიდეც. თუმცა ამ ტრავმის გამო მან დაკარგა ადგილი ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებში და მუნდიალის გარეშე დარჩა.

შარშან ფილიპე ძალიან ახლოს იყო „ბარსელონაში" გადასვლასთან, მაგრამ ბოლო მომენტში „დეპორტივომ" 20 მილიონი ევრო მოსთხოვა კატალონიურ კლუბს და **ჟოან ლაპორტამ** გალისიელთა პრეზიდენტი **აუგუსტო ლენდოირო** პირში ჩალაგამოვლებული დატოვა - მაშინ „ბარსელონამ" „ინტერიდან" **მაქსველი** შეიძინა.

ფილიპე ლუიშ კაშმირსკი 24 წლისაა, პროფესიული კარიერა მან „ფიგუერენსეში" დაიწყო, საიდანაც 2004 წელს იჯარით ამსტერდამის „აიაქსში" გადავიდა. შემდეგ წელს ფილიპე „სამეფო კლუბმა" აიყვანა, თუმცა უმთავრესად B გუნდში ათამაშა. ახალ სეზონში მან კლუბი კვლავ გამოიცვალა და კვლავ იჯარით გაატარა ორი სეზონი „დეპორტივოში". მას შემდეგ, რაც **ხოან კაპდევილა** „ვილიარეალში" გადავიდა, ბრაზილიელმა „დეპორის" სასტარტო შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი. 2008 წლის ზაფხულში კი „დეპორტივომ" სამხრეთამერიკელებს 2,2 მილიონი ევრო გადაუხადა და ფილიპეს ხუთწლიანი ხელშეკრულება გაუფორმა. მისი მამა პოლონური წარმოშობისაა (**მოიზეს კაშმირსკი**), ამიტომ ფილიპეს შეეძლო პოლონეთის ნაკრებში თამაში, მაგრამ შარშან ზაფხულში დუნგამ ის ტრავმირებული **მარსელოს** ნაცვლად გამოიძახა ბრაზილიის ნაკრებში. დუნგა ფილიპეს მუნდიალის გაფართოებულ სიაში მოიაზრებდა ტრავმამდე...

პრიმერა დივიზიონის „ოსასუნამ" შევსება ქვედა ლიგის „ბეტისიდან" მიიღო. მას შემდეგ, რაც ანდალუსიურმა კლუბმა ვერ შეძლო პრიმერაში დაბრუნება, გუნდის 28 წლის მცველმა **დამიამ** ხელშეკრულება აღარ გააგრძელა და თავისუფალი აგენტის სტატუსით ნავარულ კლუბში წავიდა. მარჯვენა მცველი კლუბის შეკრებაზე, ხერეს დე ლა ფრონტერაზე შეუერთდება ახალ თანაგუნდელებს. „ოსასუნა" დამიას პრეზენტაციას პამპლონაში დაბრუნების შემდეგ მოაწყობს. მცველი ნავარელთა მეოთხე შენაძენია ამ ზაფხულს. ფეხბურთელმა „ოსასუნასთან" 3-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა. აქამდე „ოსასუნამ" **დეიან ლეკიჩი, ასეირ რიესგო** და **ფერნანდო სორიანო** შეიძინა. დამიამ გუნდში საფრანგეთში გადაბარგებული **სესარ ასპილიკუეტა** უნდა შეცვალოს.

დამია აბელა პერესი კატალონიელია, მას შეუძლია ნახევარდაცვის მარჯვენა ფლანგზე თამაში. 2004 წელს დამია „ბარსელონამ" შეიძინა, თუმცა ორი სეზონის განმავლობაში მან ძირითად გუნდში მხოლოდ 9 მატჩი ჩაატარა და 2006 წელს „ბარსამ" მცველი „რასინგში" გაანათხოვრა. ბოლო ოთხი სეზონი მან „ბეტისში" გაატარა და კლუბთან ერთად დაემშვიდობა პრიმერას.

ებრაელმა გოლკიპერმა **დუდუ ავატემ** „მალიორკასთან" კონტრაქტი 2013 წლის ივნისამდე გააგრძელა. ავატემ **გრეგორიო მანსანოს** მოწადინებით შეძლო ბალეარული კლუბის ძირითადი მეკარის სტატუსის მოპოვება, მას შემდეგ, რაც არგენტინელ **ხერმან ლუქსს** აჯობა კონკურენციაში. გასულ სეზონში ავატემ 38-დან 37 მატჩში დაიცვა „მალიორკას" კარი და დიდად განაპირობა კლუბის შარშანდელი წარმატება. სამშაბათს „სარაგოსამ" ოფიციალურად გაუფორმა 2-წლიანი კონტრაქტი ვეტერან არგენტინელ მეკარე **ლეო ფრანკოს**. ორწლიანი თურქული ვოიაჟის შემდეგ ის კვლავ პრიმერა დივიზიონს დაუბრუნდა, სადაც „მალიორკაში" და „ატლეტიკოში" უთამაშია. საინტერესო შენაძენი გააკეთა „მალაგამ", რომელიც ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველით გაძლიერდა - 25 წლის **სანდრო სილვა** ევროპაში „პალმეირასიდან" გადმოვიდა. „მალაგამ" 3,5 მილიონ ევროდ იყიდა კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი, 20 წლის ვენესუელელი ფორვარდი **ხოსე სალომონ რონდონი**. 190 სმ სიმაღლის რონდონი აქამდე კანარულ „ლას პალმასში" თამაშობდა.

### ესპანური ტრანსფერები

(15 ივლისიდან დღემდე)

| ფეხბურთელი | საიდან | სად | თანხა |
|---|---|---|---|
| ხავი ლოპესი | მალაგა | პონფერადინა | იჯარა |
| გრეგორი ბერანჟერი (საფ) | ესპანიოლი | ტენერიფე | თავ. აგ. |
| პედრო ლეონი | ხეტაფე | რეალი | 10 მლნ. |
| გილერმე ოლივეირა (ბრა) | ალმერია | ვალიადოლიდი | იჯარა |
| ფერნანდო მარკესი | ესპანიოლი | პარმა | თავ. აგ. |
| ფერნანდო ვარელა | მალიორკა | კასიმპაშა (თურ) | თავ. აგ. |
| ხოსე კულებრასი | ტენერიფე | ნუმანსია | თავ. აგ. |
| ადრიანო კორეია (ბრა) | სევილია | ბარსელონა | 10 მლნ. |
| მიგელ პალიარდო | ხეტაფე | ლევანტე | იჯარა |
| ემილიანო არმენტეროსი (არ) | სევილია | რაიო | იჯარა |
| ხავიერ მალაგუენო (არგ) | ხუარესი (მექ) | მალაგა | 2 მლნ. |
| მიჩელი | ხერესი | გვადალახარა | თავ. აგ. |
| ხოსე ანხელ კრესპო | სევილია | პადოვა (იტ) | თავ. აგ. |
| რუბენ პულიდო | სარაგოსა | ესკიშეჰირი (თურ) | თავ. აგ. |
| დავიდ როდრიგესი | ალმერია | სელტა | თავ. აგ. |
| ინიგო სარასოლა | სოსიედადი | უნიონი | იჯარა |
| მიგელ ანხელ ლუკე | ბარსელონა ბ | ალმერია | თავ. აგ. |
| მათიას ფრიცლერი (არგ) | ლანუსი | ერკულესი | იჯარა |
| სანდრო სილვა (ბრა) | პალმეირასი | მალაგა | თავ. აგ. |
| სერხიო დიასი | ერკულესი | ხიმნასტიკი | თავ. აგ. |
| სალომონ რონდონი (ვენ) | ლას პალმასი | მალაგა | 3,5 მლნ. |
| ხორხე პინა | ლევანტე | ალბასეტე | თავ. აგ. |
| დავიდ ბელენგერი | ხეტაფე | ბეტისი | თავ. აგ. |
| ფილიპე ლუიში (ბრა) | დეპორტივო | ატლეტიკო | 12 მლნ. |
| დამია | ბეტისი | ოსასუნა | თავ. აგ. |
| რიჩი | ტენერიფე | მურსია | თავ. აგ. |

ინტერვიუ | ადრიანო კორეია

# პრეზიდენტის უპასუხო ზარი და ნაკრებში მოხვედრის შანსი

**„ბარსელონას" ახალწვეულმა ადრიანო კორეიამ პირველი ინტერვიუ მისცა კლუბის ოფიციალურ საიტს.**

**- როგორ გრძნობთ თავს ახალ ამპლუაში?**

- ძალიან კარგად, დიდებულად. ახალი თანაგუნდელები გავიცანი და თავს ნამდვილ ბარსელონელად მივიჩნევ.

**- „სევილიას" რიგებში თქვენი სადებიუტო მატჩიც „ბარსას" წინააღმდეგ იყო და ბოლოც.**

- სხვათა შორის ამას არც დავკვირვებივარ. ახლა უკვე აქ ვარ და ბედნიერი ვარ ახალი როლით. ყველაფერს გავიღებ „ბარსას" წარმატებისთვის.

**- ახლა კი თქვენი დებიუტი „ბარსელონაში" „სანჩეს პისხუანზე" იქნება ესპანეთის სუპერთასზე, როგორ ფიქრობთ, როგორ დახვედრას მოგიწყობენ ადგილობრივი გულშემატკივრები?**

- ვფიქრობ, „სევილიას" ფანები გულთბილად დამხვდებიან. ხუთი წელი თავდაუზოგავად ვიშრომე ამ კლუბისათვის და ჩემი სახელიც ჩავწერე მის ისტორიაში.

**- ხოსე მარია დელ ნიდოსთან მოლაპარაკება არც ისე იოლია, როგორ დაითანხმეთ ტრანსფერზე?**

- „ბარსელონასა" და „სევილიას" შორის კარგმა ურთიერთობამ ტრანსფერი გააიოლა. დელ ნიდომ კარგად იცოდა, რომ „ბარსელონაში" თამაშზე ვოცნებობდი და ხელი არ შემიშალა.

**- როდის გაიგეთ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ?**

- „სევილიას" ახალი დაწყებული ჰქონდა შეკრება, ჩვენ ლა როტაში ვიყავით დაბანაკებული. ვარჯიში რომ დავასრულე მობილურზე პრეზიდენტის ზარი ვნახე დაფიქსირებული. ასეთი რამ, როგორც წესი, არ ხდება ხოლმე, გადავურეკე, მაგრამ დაკავებული იყო. შემდეგ ჩემს აგენტს დავუკავშირდი და მისგან შევიტყვე ეს სიახლე.

**- და როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

- ოცნება ამიხდა და როგორი რეაქცია მექნებოდა? ცხადია, ძალიან გამიხარდა.

**- ვის დაურეკეთ პირველად ახალი ამბის მოსაყოლად?**

- ჩემს მეუღლეს და ვაჟს. ერთი წლის წინ, შვილს ვკითხე, თუ რომელ გუნდში ისურვებდა ჩემს გადასვლას, მისი პასუხი იყო - „ბარსა". ასე რომ, მას ძალიან გაუხარდა.

**- ფიქრობთ, რომ თქვენი ანდალუსიური კარიერა ლოგიკურად დასრულდა?**

- დიახ. ამ გუნდისთვის ბევრი გავიღე და ბევრი ტიტულიც მოვიპოვე. „სევილიას" კმაყოფილი ვტოვებ.

**- რა მოგცათ „სევილიაში" გატარებულმა კარიერამ?**

- ამ კლუბში 19 წლის ბიჭი მოვხვდი, მას მერე ნამდვილ პროფესიონალად ჩამოვყალიბდი, ტაქტიკურ-ტექნიკურად დავიხვეწე და ფსიქოლოგიურად მოვმაგრდი.

**- რა გითხრათ თქვენმა მეგობარმა დანი ალვეშმა „ბარსაზე"?**

- რომ ეს საოცარი გუნდია, სადაც ყოველი დღე დღესასწაულია, როგორც მოედანზე ისე მის გარეთ.

**- რა გითხრათ პეპ გვარდიოლამ?**

- რომ რაც შეიძლება მალე შევეწყო ახალ კლუბს და ჩემი პოტენციალი სრულად გამოვავლინო.

**- თქვენ უნივერსალი ხართ. ფიქრობთ, რომ ეს „ბარსელონას" ძირითადში მოსახვედრად დაგეხმარებათ?**

- რა თქმა უნდა. მზად ვარ, ვითამაშო ნებისმიერ პოზიციაზე და დავიხარჯო ბოლომდე.

**- მაგრამ ალბათ არის თქვენთვის ერთი, საყვარელი პოზიცია?**

- მარცხენა მცველობა.

**- მაგრამ თქვენ ხომ მემარჯვენე ხართ?**

- ორივე ფეხით თანაბრად ვთამაშობ, რაც მამაჩემის დამსახურებაა. ის ბავშვობიდან მიხსნიდა, რომ თუ ორივე ფეხით ერთნაირად ვითამაშებდი, ფეხბურთში ბევრს მივაღწევდი. მამა მართალი იყო...

**- ალბათ ძალიან რთული იყო თქვენთვის, როცა მუნდიალს მიღმა დარჩით...**

- ძალიან მძიმედ გადავიტანე. ხშირმა ტრავმებმა ბრაზილიის ნაკრებში ადგილი დამაკარგვინა. „ბარსელონაში" თამაში ახალ შანსს მომცემს, ამაში დარწმუნებული ვარ.

**- როგორ შეაფასებთ ესპანეთის ნაკრების თამაშს მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

- თავიდანვე ფავორიტად ესპანეთი მიმაჩნდა. „ფურია როხამ" დამსახურებულად მოიგო მუნდიალი. მსოფლიოს საუკეთესო ლიგის მქონე ქვეყანას ხომ უნდა მოეგო ოდესმე ჩემპიონატი.

**- რა უყვარს ადრიანოს ფეხბურთის გარდა?**

- უბრალო ადამიანი ვარ, სახლში ყოფნა მიყვარს ოჯახთან და მეგობრებთან. მინდა მალე შევეგუო ქალაქს და კატალონიური ვისწავლო.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**


ადრიანო ბარსელონას მაისურით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანიის ნაკრები

# ლიოვი ბალაკს მოხსნის?

## ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ბუნდესკაპიტანი ფილიპ ლამი იქნება



წაართმევს იოახიმ ლიოვი მიხაელ ბალაკს კაპიტნის სამკლავურს?

როცა **მიხაელ ბალაკმა და ტორსტენ ფრინგსმა იოახიმ ლიოვის** წინააღმდეგ გაილაშქრეს (წელიწადნახევრის წინ), გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ფრინგსი მაშინვე დასაჯა, ბალაკის მიმართ კი მხოლოდ საყვედურით შემოიფარგლა. ლიოვი ვერ იტანს, როცა ფეხბურთელი, მით უმეტეს ფეხბურთელები მას საჯაროდ აკრიტიკებენ. იოგიმ ფრინგსი ნაკრებს მალევე ჩამოაშორა, ბალაკთან მიმართებაში კი ასეთი რამ ვერ გაბედა. რაც უნდა ყოფილიყო, მიხაელი გერმანიის ნაკრების დამსახურებული კაპიტანი იყო და თანაც, წლების განმავლობაში შეუცვლელი. გერმანიის ნაკრებზე ლაპარაკი ბალაკით იწყებოდა და ბალაკით მთავრდებოდა. ექსპერტები მუდმივად გაიძახოდნენ, რომ **ოლივერ კანის** წასვლის შემდეგ ბუნდესგუნდის ერთადერთი სუპერვარსკვლავი სწორედ მიხაელი იყო. შესაბამისად, გასაკვირი ნამდვილად არ არის ის, რომ მაგალითად, ფრინგსისგან განსხვავებით, ლიოვმა ბალაკის „ძეგლის დემონტაჟი" ვერ გაბედა.

კიდევ უფრო ადრე, კერძოდ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შემდეგ მიხაელი გერმანიის ნაკრების მენეჯერს, ლიოვის მარჯვენა ხელს, **ოლივერ ბირჰოფს** დაუპირისპირდა და კერძოდ იმის გამო, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალში მარცხის მიუხედავად, ბირჰოფი პიარ-აქციებს გეგმავდა. ფინალური, მატჩის დასრულების შემდეგ ბალაკი ყველას თვალწინ ეჩხუბა ბირჰოფს, რადროს სამადლობელი ბანერებით სიარულია, ამ წამს ევროპის ჩემპიონატის ფინალი წავაგეთო. მერე კი, როცა ბუნდესგუნდი ბერლინში დაბრუნდა და ფანებთან „ტაშ-ფანდური" მოაწყო, ბალაკმა კიდევ ერთხელ გაჰკრა კბილი ბირჰოფს - წაგებული ფინალის შემდეგ რა გვეზეიმებოდაო და მან ის ზეიმი დაწყებიდან ზუსტად 15 წუთში დატოვა. ვფიქრობთ, განზოგადებას აღარ საჭიროებს ის ფაქტი, რომ ბირჰოფი ლიოვის მარჯვენა ხელი და საუკეთესო მეგობარია.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე 3 კვირით ადრე, ბალაკმა უმძიმესი ტრავმა მიიღო და სამხრეთ აფრიკაში ვერ გაემგზავრა. ლიოვი, რა თქმა უნდა, დამწუხრებული სახით ლაპარაკობდა, რომ გერმანიის ნაკრებს ბალაკის დაშავების სახით ძალიან ცუდი რამ დაემართა, მაგრამ კულისებში ხშირად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ იოგის ბალაკის ტრავმა მაინცდამაინც არ სწყენია. მოგვიანებით, კერძოდ, შუა მუნდიალის დროს, განელმა **კევინ-პრინს ბოატენგმა** გერმანულ ჟურნალ „შპორტბილდს" განუცხადა, არ დაიჯერებთ და ბუნდესგუნდის არაერთმა ფეხბურთელმა გადამიხადა მადლობა იმისათვის, რომ ბალაკი დავამტვრიეო. ბირჰოფმა ბოატენგის ამ განცხადებას, რა თქმა უნდა, აბსურდი უწოდა...

დაბოლოს, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩის წინ, გერმანიის ნაკრების დროებითი კაპიტანი **ფილიპ ლამი** გამოდის და ამბობს, მიხაელ ბალაკს კაპიტნის სამკლავურს აღარ დავუთმობო. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ლიოვი ფეხბურთში და სამწვრთნელო საქმიანობაში დემოკტრატიის დიდი მოტრფიალე არ არის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ლამს ეს განცხადება ლიოვის გარეშე არ გაუკეთებია.

გუშინ ლიოვმა, ბირჰოფმა, ლიოვის ასისტენტმა **ფლიკმა** და მეკარეების მწვრთნელმა **კიოპკემ** კონტრაქტები ორ-ორი წლით გააგრძელეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი მომავალი უკვე გარკვეულია - გერმანიის ნაკრებს ლიოვი კიდევ ორი წლით უთავკაცებს. და ყველასათვის მოულოდნელად, კითხვაზე, რა ელის ბალაკს ან რა კომენტარს გააკეთებდა ბუნდესმწვრთნელი ლამის იმ განცხადებებზე, იოგიმ ასეთი პასუხი გასცა: *„ყველაფერი უახლოეს მომავალში გაირკვევა!"*

ანუ: გარკვეული არაფერია! ყველა ლოგიკის თანახმად, ლიოვს უნდა ეთქვა, რომ ბუნდესგუნდის კაპიტანი ბალაკია და ლამი სამკლავურს მხოლოდ დროებით და იმის გამო ატარებდა, რომ მიხაელი ტრავმირებული იყო. სწორედ ასეთი განცხადება გააკეთა ბასტიან შვაინშტაიგერმა, თუმცა ლიოვმა თემა ღიად დატოვა.

ეს თითქოს ლოგიკური დასასრულია იმ ჯაჭვისა, რომელიც ლიოვმა და ბირჰოფმა მას მერე შექმნეს, რაც ბალაკმა ფრინგსთან ერთად ბუნდესგუნდის სამწვრთნელო შტაბის წინააღმდეგ გაილაშქრა.

ამრიგად, გერმანიის ნაკრებში 33 წლის მიხაელ ბალაკის მომავალი უკვე დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა. თუ მას კაპიტნის სამკლავურს ჩამოართმევენ, მიხაელი გუნდში ალბათ არ დარჩება და სანაკრებო კარიერას დასრულებულად გამოაცხადებს.

ლიოვი კი, გუშინწინდელ პრესკონფერენციაზე ბალაკის შესახებ უკვე წარსულში საუბრობდა. იოგიმ თქვა, მიხაელ ბალაკი დღემდე დამსახურებული ფეხბურთელი იყოო. ლიოვს მიხაელთან უსაუბრია, მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტრავმის შემდეგ მალე ჩადგეს ფორმაში და ვნახოთ, იქნება თუ არა მზად იმისათვის, რომ 11 აგვისტოს, დანიასთან ითამაშოსო.

კაპიტნის საკითხზე ლიოვის ოფიციალური განცხადება ასეთია: *„ფილიპ ლამის განცხადებები აბსოლუტურად ლეგიტიმურია. მე ისიც ვიცი, რას ფიქრობს მიხაელ ბალაკი. საბოლოო ჯამში, ყველაფერი ჩემი გადასაწყვეტია. სიმართლე გითხრათ, ამ საკითხზე ჯერ არ მიფიქრია. უახლოეს მომავალში გადაწყვეტილების შესახებ ჯერ ლამს და ბალაკს ვამცნობ, მერე კი საჯაროდაც ყველაფერს გამოვაცხადებ."*

დაგვეთანხმებით, ეს სიტყვები ისე ჟღერს, რომ ლიოვი ბალაკსა და ლამს შორის ბრძოლის მხარდამჭერია. ის ფაქტი, რომ ლიოვი გადაწყვეტილების მიღებას აპირებს, ბალაკის წინააღმდეგ მეტყველებს. რატომ? იმიტომ, რომ მიხაელი ექვსი წლის განმავლობაში, გერმანიის ნაკრების შეუცვლელი კაპიტანი იყო და მუნდიალის წინ ტრავმა რომ არ მიეღო, სამხრეთ აფრიკაშიც ბუნდესკაპიტანი იქნებოდა. ანუ, რა საჭიროა გადაწყვეტილების მიღება? ხომ ყველაფერი ნათელია? საჭირო მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხოლმე, როცა ახალი კაპიტანია საჭირო და როგორც ჩანს, ბუნდესგუნდში ეს ასეა...

**გოტფრიდ ლენცი**



ანდრეა რანოკია

ტრანსფერი

# რანოკია ინტერის საკუთრებაა

## ...და ჯენოაში ითამაშებს

გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მილანის „ინტერმა" **ანდრეა რანოკიასთან** ხელშეკრულება გააფორმა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ 22 წლის პერსპექტიული უკანახაზელი ორი წლის განმავლობაში „ბარიში" ასპარეზობდა და თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. განსაკუთრებით წარმატებული მისთვის გასული სეზონი გამოდგა, როდესაც მწვრთნელმა დაცვის ცენტრში გაამწესა და **ლეონარდოს ბონუჩისთან** ტანდემი შექმნა. პირველ წრეში იმდენად კარგად წარმოჩინდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების კანდიდატი იყო, თუმცა შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო, რამდენიმე თვით ჩამოშორდა ფეხბურთს და ბუნებრივია, სამხრეთ აფრიკის მუნდიალზე მოხვედრის ყველა იმედი გადაეწურა. სანამ რანოკიასა და ბონუჩიზე უფრო დეტალურად ვიტყოდეთ, აღვნიშნოთ, რომ ანდრეამ „ინტერთან" ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, თუმცა მომდევნო სეზონში იჯარის წესით „ჯენოაში" იასპარეზებს.

იტალიურ ფეხბურთს არასდროს აკლდა მაღალი კლასის მცველები და საერთოდაც, „კალჩო" პირველ რიგში სწორედ ძლიერ უკანა ხაზთან ასოცირდება. გავიხსენოთ **ფრაკო ბარეზის, ალესანდრო კოსტაკურტასა** და **პაოლო მალდინის** ტრიო, შემდეგ **ფაბიო კანავარო** და **ალესანდრო ნესტა**, იგივე კანავარო და **მარკო მატერაცი**. დაგვეთანხმებით, ჩამოთვლილი ფეხბურთელები მსოფლიო მასშტაბის ვარსკვლავები არიან და რა გასაკვირია, რომ დიდი სიმაღლეებიც დაიპყრეს. დღეს ბევრი შიშობს, რომ ტრადიცია არ გაგრძელდება და იტალიის ეროვნულ ნაკრებს დაცვაში პრობლემები შეექმნება. განვლილმა მუნდიალმა ეჭვები კიდევ უფრო გააღრმავა, თუმცა არის იმედი და ეს იმედი იტალიას „ბარიმ" მისცა. ბოლო ორი სეზონია, ამ ნაკლებად ამბიციურ გუნდში ანდრეა რანოკია და ლეონარდო ბონუჩი ასპარეზობენ - მათ გასულ სეზონში ცენტრალურ მცველთა ტანდემი შექმნეს და საფეხბურთო იტალია ახალ ნესტა-კანავაროს წყვილზე აალაპარაკეს. რანოკია უფრო რბილად თამაშობს, ტექნიკურია და მოედნის შესანიშნავი ხედვით გამოირჩევა - ანუ, თამაშის მანერით ის ნესტას წააგავს, აი, ბონუჩი კი უფრო მებრძოლია და შეტევებში ჩართვა ეხერხება, ისევე როგორც ფაბიო კანავაროს. ცნობისთვის, ბონუჩიმ ახლახან გააფორმა ხელშეკრულება „იუვენტუსთან" და სწორედ ფაბიო კანავაროს შეცვლა მოუწევს. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ფეხბურთელი:

*„კანავარო ჩემი კერპია და ვერასდროს ვერ წარმოვიდგენდი, თუ მისი შეცვლა მომიწევდა. ცალკე ამბავია ის, რომ ისეთ დიდ გუნდში მომიწევს ასპარეზობა, როგორიც „იუვენტუსია". სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასე მალე თითქმის ყველა ოცნება ამიხდებოდა. რა ოცნება დამრჩა? - მსურს ეროვნულ ნაკრებში დავიმკვიდრო ადგილი და ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვიასპარეზო. სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საშუალება არ მომეცა, თუმცა ამაზე უკვე აღარ ვფიქრობ - მთავარია, რომ ჩეზარე პრანდელიმ მომაქციოს ყურადღება და ეროვნულ გუნდში სტაბილურად გამომიძახოს".*

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მომდევნო სეზონში რანოკია „ჯენოაში" იასპარეზებს. „ინტერის" მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ ამ ეტაპზე, მისი იჯარით სხვა გუნდში გაშვება აჯობებდა - ალბათ, სწორადაც მოიქცნენ. ასეთივე გადაწყვეტილება რომ მიეღოთ თავის დროზე **დავიდე სანტონთან** მიმართებაში, ახალგაზრდა ფეხბურთელი დღეს შესაძლოა გაცილებით უფრო წინ ყოფილიყო. აი, **პრანდელის** კი ალბათ ძალიან არ მოსწონს ის ფაქტი, რომ ანდრეასა და ლეონარდოს გზები გაიყო. „ბარიში" შეთამაშების მაღალი ხარისხი გამოავლინეს და ერთად რომ გაეგრძელებინათ კარიერა, ეროვნული ნაკრებისთვისაც გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

**ლაშა წიკლაური**

იუვენტუსი

# იუვეს პრიორიტეტები

## დიეგო და მელო შეიძლება, წავიდნენ...



იუვეს სპორტული დირექტორი ჯუზეპე მაროტა

„იუვენტუსის" სპორტული დირექტორი **ჯუზეპე მაროტა** საქმეს ენერგიულად უძღვება და არც ჟურნალისტებთან ურთიერთობა ავიწყდება. როგორც თვითონ აცხადებს, ნაკლებად აღელვებს კრიტიკა და თავის საქმეს მშვიდად აკეთებს. ეს სიტყვები უთუოდ **ლუჩანო მოჯის** ბოსტანში ნასროლი კენჭი იყო, რომელიც არა და არც ცხრება და „ბიანკონერის" ამჟამინდელ მესვეურებსაც მწარედ აკრიტიკებს. უმჯობესია, მოვრჩეთ შესავალს და სიტყვა პირდაპირ მაროტას გადავცეთ:

*„წავიკითხე, რომ თითქოს ვასრულებთ სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას, რაც სრული აბსურდია. კიდევ ოთხი პოზიცია გვაქვს გასამაგრებელი და შესაბამისად, ამდენივე ფეხბურთელის გადაბირებას შევეცდებით. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ მწვრთნელმა ისედაც ძლიერი რგოლის კიდევ უფრო გაძლიერება განიზრახა, ამაზე უარს ვიტყვით. რაც შეეხება პრიორიტეტებს, პირველ რიგში, მარცხენა მცველი და მარჯვენა გარემარბი უნდა შევიძინოთ. ამ პოზიციებზე გაძლიერება ჰაერივით გვესაჭიროება, რასაც ლუიჯი დელ ნერის სიტყვებზე დაყრდნობით ვაცხადებ".*

მაროტას **მილოშ კრასიჩსა და ედინ ჯეკოს** შესაძლო გადაბირებაზეც მოუხდა საუბარი: „კრასიჩი ძალიან კარგი ფეხბურთელია და ამიტომ დავადგით თვალი, თუმცა მოლაპარაკებების წარმოება არცთუ იოლი აღმოჩნდა. თანაც, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ევროკავშირის მოქალაქე არ გახლავთ და ამან შეიძლება პრობლემები შეგვიქმნას. მოკლედ, ჯერ არ ვართ ჩამოყალიბებული და წესით, უახლოეს დღეებში საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ. რაც შეეხება ჯეკოს ტრანსფერს, ეს ჩვენი ოცნებაა, რომელიც, იმედია, რეალობად იქცევა. მანამდე ვიბრძოლებთ ბოსნიელის გადასაბირებლად, სანამ ეს შეუძლებელი არ გახდება. იმედია, აქამდე არ მივა საქმე და ჯეკო ტურინში გააგრძელებს კარიერას. „ვოლფსბურგის" მესვეურები მასში ძალიან დიდ თანხას ითხოვენ, რასაც მობილიზება და საკითხის კარგად აწონდაწონა სჭირდება".

ბოლოს მაროტამ **დიეგო რიბასისა** და **ფელიპე მელოს** შესაძლო გასხვისებაზე გააკეთა მცირე კომენტარი: *„მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან და ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მათ სხვა გუნდში გააგრძელონ კარიერა. დღეს ასე ნამდვილად არ დგას საკითხი, რადგან მოლაპარაკებები არც ერთ კლუბთან არ მიმდინარეობს, მაგრამ თუ საინტერესო წინადადებით მოგვმართეს, აუცილებლად განვიხილავთ".*

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული

# ჯერარდი რჩება!



**სტივენ ჯერარდმა** „ლივერპულის" ქომაგთა მთავარ კითხვას პასუხი გასცა - ის „ენფილდ როუდზე" რჩება! ეს „ლივერპულში" **ჯო კოულის** გადასვლიდან სულ რაღაც 24 საათში მოხდა. ჯერარდმა განაცხადა:

*„მინდოდა როი ჰოჯსონს პირისპირ შევხვედროდი და სამომავლო გეგმებზე მელაპარაკა. რაც მოვისმინე იმით აღფრთოვანებული დავრჩი. ახლა ერთი სული მაქვს, როდის დაიწყება ახალი სეზონი".*

ახლა უკვე წერენ, რომ 30 წლის ჯერარდს, რომელიც 8 წლიდან „ლივერპულშია", არასდროს გამოუთქვამს მშობლიური გუნდიდან წასვლის სურვილი, თუმცა, გასული სეზონის შემდეგ, ანუ მას მერე, რაც „წითლებმა" პრემიერლიგაში მხოლოდ და მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავეს, ამბობდნენ, რომ ის „რეალში" გადავიდოდა. შეგახსენებთ, რომ მეშვიდე ადგილზე გასვლა მარტო იმით კი არ იყო ცუდი, რომ გუნდმა პრესტიჟული ადგილი ვერ დაიკავა და შესაბამისი ფულიც დააკლდა, არამედ იმითაც, რომ ჩემპიონთა ლიგის ახალ გათამაშებაში ვერ გამოვა. 30 წლის ფეხბურთელისთვის ეს, რასაკვირველია, წელიწადის და, ისევ და ისევ ფულის დაკარგვაა. ამბობდნენ, რომ ესპანური გუნდი „ლივერპულს" ჯერარდის სანაცვლოდ 30 მილიონ ფუნტს სთავაზობდა, 30 მილიონი ფუნტი კი 35,4 მილიონი ევროა.

როგორც ჩანს, მართალი იყო ის ხალხი, ვინც ვარაუდობდა, რომ „ლივერპულის" კაპიტანზე (და ესპანელ თავდამსხელ **ფერნანდო ტორესზე**) ჯო კოულის „ჩელსიდან" გადმოსვლაც ძალიან იმოქმედებდა. ჯერარდმა თქვა:

*„მე ჯოს ავუხსენი, თუ რა დიდი კლუბია „ლივერპული" და მჯერა, რომ თავის მხრივ ისიც იმ ფეხბურთელთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელთა თამაშიც ასე უყვართ ფანებს. დიდებულია, რომ მან ჩვენს კლუბთან კონტრაქტი გააფორმა. მე კოულს ინგლისის ნაკრებიდან ვიცნობ და კარგად ვიცი, რა ძალის ფეხბურთელზეც გვაქვს ლაპარაკი. მას თავისი უნარი პრემიერლიგაში წლების განმავლობაში აქვს დამტკიცებული. ხშირად ეს „ლივერპულის" წინააღმდეგაც გაუკეთებია. ამიტომაც, მწამს, მის მხარდამახარ თამაში დიდებული იქნება".*

ჯერარდის განცხადებას, რომ „ლივერპულიდან" წასვლას არ აპირებს, როი ჰოჯსონიც მიესალმა. მერსისაიდელთა ახალმა თავკაცმა თქვა:

*„დიდებული ამბებია. ძნელად წარმოსადგენია ვინმე „ლივერპულში", ვისაც კაპიტნის გადაწყვეტილების ამბავი არ გაახარებდა. პირადად მე, განსაკუთრებით მიხარია, რადგან ამ ფეხბურთელს უდიდეს პატივს ვცემ. რაც „ლივერპულის" მწვრთნელად დამნიშნეს, ერთ-ერთი საკითხი, რომლის მოგვარებაც ძალიან მინდოდა, სტივენ ჯერარდის გუნდში დატოვება გახლდათ. ჯერარდის ამ განცხადებამ მისი განწყობა და თავდადებაც თვალნათლივ გამოამჟღავნა. მისი დარჩენა თითოეული ჩვენგანისთვის დიდი იმედი და სტიმულია. წინ ხანგრძლივი და ძალიან რთული სეზონი გველის. რასაკვირველია, თავისი უარყოფითი კვალი გასული სეზონის წარუმატებლობასაც ექნება დატოვებული, მაგრამ ამ ყველაფრისთვის თავის გართმევა შეიძლება, რადგან ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელები, როგორც ხედავთ, რჩებიან. მერედა, გუნდი ჯო კოულის დამატებამაც გააძლიერა. იმედი მაქვს, ერთ-ორ ფეხბურთელს კიდევ დავიმატებთ. და იცით, სულაც არ არის გამორიცხული, რომ ახალი ჩემპიონატი „ლივერპულმა" თეორიულად შარშანდელზე ძლიერი შემადგენლობით დაიწყოს".*

### ტორესი სეზონის სტარტს სრულ მზადყოფნაში შეხვდება

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, „ლივერპულისთვის" კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ფერნანდო ტორესთან არის დაკავშირებული. ჯერ ერთი, გასარკვევია, მიდის მსოფლიოს ჩემპიონი გუნდიდან თუ რჩება და მეორე, თუ რჩება, იქნება პრემიერლიგის ჩემპიონატის დაწყებისთვის მზად თუ არა - გახსოვთ, მუნდიალის ფინალში, ჰოლანდიელებთან ფეხი რომ იტკინა? ჰოჯსონმა თქვა:

*„ვფიქრობ, ტორესის ჯანმრთელობის საქმე ცუდად არ არის. მე მას წინა ოთხშაბათს პირადად შევხვდი. საამისოდ იბისაზე ჩავედი. მან მითხრა, რომ საზარდულის ტრავმა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, ამაზე დიდხანს შეჩერება და ყურადღების გამახვილება რომ ღირდეს. მის მკურნალობას მხოლოდ და მხოლოდ დასვენება სჭირდება, რასაც ტორესი ახლა აკეთებს კიდეც. იმედი მაქვს, 2 აგვისტოს, როდესაც ის ლივერპულში ჩამოვა, ტრავმა სრულიად მოშუშებული ექნება".*

აი, ასე! ყოველგვარი ეჭვის გარეშე... როგორც ხედავთ, როი ჰოჯსონს ერთი წამითაც არ გამოუთქვამს შიში, რომ ფერნანდო ტორესი შესაძლოა სხვა გუნდში გადავიდეს. ბარემ, აქვე გავიხსენოთ, რომ იოჰანესბურგში, მსოფლიოს ჩემპიონი რომ გახდა ტორესმა გასახდელში სწორედ „ლივერპულის" შარფი მოიხვია და თასით ხელში ისე გადაიღო ფოტო. იქნებ, ეს მართლა ნიშნავდეს რამეს.

კიდევ ერთი ცნობა „ლივერპულის" ბანაკიდან: გუშინ მერსისაიდელებთან ურთიერთობა „რეინჯერსის" მცველ **დენი უილსონს** უნდა გაერკვია. უილსონი 18 წლის ყმაწვილია, რომელშიც „წითლები" 2,5 მილიონ ფუნტს (2,9 მილიონ ევროს) იხდიან. „ლივერპულსა" და „რეინჯერსს" შორის გარიგება ჯერ კიდევ მაისში შედგა, მაგრამ საქმე ისე განვითარდა, რომ უილსონი შოტლანდიის ჩემპიონს სეზონისწინა შეკრებაზე ავსტრალიაში მიჰყვებოდა, თუმცა ახალგაზრდამ გეზი იცვალა და ავსტრალიის ნაცვლად შვეიცარიაში ამოყო თავი, სადაც ჰოჯსონი „წითლებს" ავარჯიშებს. ლაპარაკია ხუთწლიან ხელშეკრულებაზე. უილსონი, რომელსაც ორთავა კუნთის მსუბუქი ტრავმა აწუხებს, ჰოჯსონს „ლივერპულის" ლეგენდგამ, თავადაც შოტლანდიელმა **კენი დალგლიშმა** ურჩია. სქოთთა 19 წლამდელი ნაკრების ცენტრალურმა მცველმა სამშობლოში სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა მოთამაშის პრიზი მიიღო როგორც სპორტულ ჟურნალისტთა ასევე პროფესიონალ ფეხბურთელთა გამოკითხვების შედეგების მიხედვით. დიდ ფეხბურთში მისი დებიუტი 2009 წლის ოქტომბერში შედგა.

***P.S.* *გუშინ საღამოს გავრცელებული ცნობების თანახმად, უილსონთან კონტრაქტი უკვე გაფორმებულია.***

პრემიერლიგის სტრუქტურა



სერ ალექს ფერგიუსონი

# ასეთია ბრიტანული ახირება

## ფერგიუსონი ნაკრების წარუმატებლობაში ასოციაციას ადანაშაულებს

**ალექს ფერგიუსონმა** ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ბრალი დასდო. მისი რწმენით, იმაში, რომ მსოფლიოს გასულ ჩემპიონატზე ამ ქვეყნის ნაკრებმა უსახური ფეხბურთი აჩვენა და შეჯიბრებას მერვედფინალიდან გამოაკლდა, დამნაშავე სწორედ ეს ორგანიზაციაა. კერძოდ, „მანჩესტერ იუნაიტედის" თავკაცი ამტკიცებს, რომ პრემიერლიგაში სხვა ქვეყნების ჩემპიონატების დარად ზამთრის არდადეგებია შემოსაღები. ზამთრის არდადეგების არქონა ინგლისში მოთამაშე ფეხბურთელებს ღლის და ეს, საბოლოოდ, ზაფხულის დიდ ტურნირებს ასვამს დაღს.

ფერგიუსონმა თქვა: *„ფეხბურთის ასოციაცია ვალდებულია, თავისი ქვეყნის ნაკრებს რაც შეიძლება კარგი პირობები შეუქმნას. საქმე ხომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლას ეხება. ზამთრის არდადეგების აუცილებლობაზე შოტლანდიაში ჯერ კიდევ 30 წლის წინ ვლაპარაკობდი, ინგლისში კი, რაც ამ ქვეყანაში გადმოვედი, მუდმივად ყველას ვუჩიჩინებ, მაგრამ შოტლანდიური და ინგლისური ფეხბურთის ბუნებიდან და სატელევიზიო მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, ამ მცდელობებს კაპიკის ფასიც არ აქვს. არადა, ასოციაციაში უნდა ესმოდეთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე მიმავალ გუნდს ხელშეწყობა სჭირდება".*

მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონატს ატარებს ორგანიზაცია სახელწოდებით პრემიერლიგა, რაც იმას ნიშნავს, რომ ზამთრის არდადეგებთან დაკავშირებით ყველაფერი მასსა და ფეხბურთის ასოციაციას შორის არის შესათანხმებელი - მარტო ასოციაცია ვერაფერს გახდება. გარდა ამისა, ფერგიუსონი ცამდე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ბრიტანეთში სეზონს თავისებური მოთხოვნები აქვს და სწორედ ამ მოთხოვნების გამო პრემიერლიგასა და ფეხბურთის ასოციაციას შორის არანაირი მოლაპარაკებები არ მიმდინარეობს - ზამთრის არდადეგების თემა საერთოდ არ განიხილება.

არადა ფაქტია: მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასული ოთხი გუნდიდან სამს ზამთრის არდადეგები აქვს. ლაპარაკია, მეოთხედფინალის ევროპელ მონაწილეებზე ესპანეთზე, ჰოლანდიასა და გერმანიაზე. ფერგიუსონი ამბობს, რომ თუკი არდადეგების არქონამ ვინმე დააზიანა, ეს უპირველეს ყოვლისა ინგლისელთა თავდამსხმელი და მთავარი ვარსკვლავი **უეინ რუნი** იყო.

„მანჩესტერ იუნაიტედის" იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მსოფლის ჩემპიონატში მონაწილეობდნენ, თავად ფერგიუსონი 28 ივლისამდე ასვენებს.

ჩელსი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არის, ნეიმარის საყოფი თანხა?

„ჩელსის" ბრაზილიური „სანტოსისგან" ვუნდერკინდ **ნეიმარის** ყიდვა უნდოდა და მასში 25,7 მილიონ დოლარს იხდიდა, მაგრამ გეგმა ჩაეშალა. მიზეზი: ბრაზილიელებს ფული ეცოტავათ. ეს 18 წლის ყმაწვილი 45 მილიონი დოლარი გვილირსო, შემოუთვალეს ლონდონელებს სანტოსელებმა (ეს ქალაქი სან პაულუს შტატში, ცენტრალურ ქალაქ სან პაულუდან 79 კილომეტრში მდებარეობს), მაგრამ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თუ „ჩელსი" ხელმეორედ გაგზავნილ იმავე შინაარსის ფაქსში ახალ თანხას, 30,5 მილიონ დოლარს ჩაწერს, ყველაფერი მოგვარდება. ცნობისათვის: „სანტოსი" თავდამსხმელ **ანდრეზეც** აცხადებდა 62 მილიონ დოლარზე ნაკლებად არავის მივყიდიო, მაგრამ აგერ, ივნისში კიევის „დინამოს" 10 მილიონად დაუთმო. სხვათა შორის, ნეიმარის ყიდვა ლონდონის მეორე გუნდს „ვესტ ჰემსაც" სურდა, მაგრამ ის კიდევ უფრო ცოტას, კერძოდ 18,2 მილიონ დოლარს იხდიდა და, რასაკვირველია არაფერი გამოუვიდა.

ცნობილი გახდა, რომ ფეხბურთელის „ჩელსიში" გადასვლას მიესალმება მისი მამა, რომელსაც ივლისის დასაწყისში „ვესტ ჰემის" ვარიანტიც იმიტომ გაეხარდა, რომ ასე მისი ვაჟი „სტემფორდ ბრიჯს" მიუახლოვდებოდა, თუმცა, როგორც ხედავთ, კლუბს თავისი ანგარიში აქვს. ასე და ამგვარად, იმისათვის, რომ ბრაზილიის პირველობაზე ფინტებით **რობინიოს** დამჩრდილავი მოთამაშე იყიდოს, „ლურჯებმა" ჯიბეში ერთხელაც უნდა ჩაიყონ ხელი. სხვათა შორის, ნეიმარს შედეგიანობაც გასაოცარი აქვს: 33 შეხვედრაში 32 გოლი. ასეთი სტატისტიკის მქონე კაცს ბრაზილიის ნაკრების თავკაცმა **დუნგამ** მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ყურადღება რომ არ მიაქცია, ხუთგზის ჩემპიონთა ქვეყანაში საკმაო ხმაური გამოიწვია.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



18 წლის ნეიმარს უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ

ინტერვიუ | ივიცა ოლიჩი

# ყველაფერს შრომით მივაღწიე!

## ...და ძალიან გამიმართლა, რომ მოვხვდი გუნდში, რომელსაც ვან გაალი წვრთნის, კაცი, რომელიც აფასებს მშრომელ ფეხბურთელებს

**ივიცა ოლიჩს** საოცნებო სეზონი ჰქონდა. ერთადერთი რამ, რის გამოც ფეხბურთელი 2009/2010 წლების სეზონს იდეალურს არ უწოდებს, არის ის, რომ ხორვატიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე არ იასპარეზა. ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში შესრულებულ ჰეთ-თრიკს რომ თავი დავანებოთ, ოლიჩისთვის სეზონის მთელი მეორე ნახევარი ისეთი წარმატებული იყო, რომ გულშემატკივრების უმრავლესობამ ეს ფეხბურთელი მხოლოდ წელს აღმოაჩინა. იმ დროს, როცა ივიცას თანაკლუბელებს შვებულება გაუხანგრძლივდათ, ხორვატი თავდამსხმელი უკვე დიდი ხანია, ახალი სეზონისთვის ემზადება. 30 წლის მუშა ფორვარდი ხვდება, რომ თუ ისევ თავდაუზოგავად არ იშრომებს, მარიო გომესი და მიროსლავ კლოზე მზად არიან, „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი წაართვან. ოლიჩს „შპორტ აინსის“ კორესპონდენტი გაესაუბრა.



**- ჰერ ოლიჩ, წინა სეზონი თქვენთვის არაჩვეულებრივი, გრანდიოზული გამოდგა. გახდით გერმანიის ჩემპიონი, მოიგეთ გერმანიის თასი და ითამაშეთ ჩემპიონთა ლიგის ფინალში. თანაც, „ბაიერნისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გაიტანეთ და განსაკუთრებით მეორე წრეში, შეუცვლელი ფიგურა იყავით. იყო თუ არა ეს თქვენი კარიერის საუკეთესო სეზონი?**

- რა თქმა უნდა! ამაზე უკეთესი სეზონი მანამდე არასდროს მქონია. თუმცა გასული სეზონი უკვე ისტორიაა და ახლა მხოლოდ მომავალზე ვფიქრობ. ჩემპიონთა ლიგის ფინალის ბურთი ვიტრინაში მიდევს და მასზე ყველა ფეხბურთელის ხელმოწერაა.

**- ვიტრინაში კიდევ ბევრი ადგილია?**

- დიახ, რადგან არც ისე ტიტულოვანი ფეხბურთელი ვარ. ბურთთან ერთად ის მედლები მიწყვია, გასულ სეზონში რომ გადმომცეს და ასევე ის მედლები, რომლებიც მოსკოვში მოვიპოვე. ასე რომ, შეგროვებას ვაგრძელებ. გასული სეზონი ჩემთვის მართლაც სენსაციური იყო. ყველა ჩემი ნაცნობი თუ მეგობარი აღფრთოვანებულია იმით, რაც „ბაიერნთან“ ერთად შევძელი.

**- რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?**

- რა თქმა უნდა, ჩემპიონთა ლიგის ფინალმა. რა სამწუხაროა, რომ წავაგეთ... „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფანტასტიკური, ენით აუწერელი ატმოსფერო იყო. მერე კი, მიუნხენის მარიენპლატცზე იმდენი ხალხი მოვიდა, ტერასაზე დგომისას, ვფიქრობდი, რომ ეს არ იყო ნორმალური მოვლენა. ზემოთ ვთქვი, რომ ეს სეზონი ჩემს კარიერაში საუკეთესო იყო. მინდა დავამატო, რომ თავს „ჰამბურგშიც“ ძალიან კარგად ვგრძნობდი, მაგრამ „ბაიერნი“ მაინც სულ სხვა განზომილებაა. აქ ხალხი სულ სხვანაირი თვალით მიყურებს.

**- თქვენმა წარმატებებმა ბევრი გააოცა...**

- საკუთარი წარმატებები მე არასდროს მიკვირს, რადგან ცხოვრებაში ყველაფერს შრომით მივაღწიე. როცა შრომობ, იღწვი და თავს არ ზოგავ, მაშინ მიღწეული შედეგი უკვე აღარ გაკვირვებს. ასეთ დროს, მაქსიმალური შედეგიც კი ჩვეულებრივ მოვლენად გეჩვენება და თითქოს დაუკმაყოფილებლობის გრძნობაც გრჩება. ასე იყო ჩემს შემთხვევაშიც. ასე რომ, გახარებული ნამდვილად ვარ, გაკვირვებული კი - არა!

**- რა როლი აქვს ლუის ვან გაალს თქვენს წარმატებაში?**

- ძალიან გამიმართლა, რომ მოვხვდი კლუბში, რომელსაც ლუის ვან გაალი წვრთნის. ეს არის სპეციალისტი, რომელიც არასდროს აქცევს ყურადღებას ფეხბურთელის წარმომავლობას ან ფასს, სამაგიეროდ, პირველ ადგილზე აყენებს იმას, თუ როგორ იქცევა მოთამაშე ვარჯიშზე, რამდენად მონდომებული და თავდაუზოგავია ის. გამიმართლა, რადგან მე ძალიან მშრომელი ფეხბურთელი ვარ. არადა, „ბაიერნის“ თავდასხმაში უდიდესი კონკურენციაა...

**- ვან გაალმა თქვა, ზაფხულში თითოეული ფეხბურთელი ყველაფერს ნულიდან იწყებს და ყველას აქვს იმის შანსი, რომ თავი მომაწონოს და მერე ძირითად შემადგენლობაში ვათამაშოო...**

- ასეც უნდა იყოს. ყოველი სეზონის დაწყების წინ, თითოეულ ფეხბურთელს თავის გამოჩენის შანსი უნდა მიეცეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ მოშვება არ შეიძლება. ვან გაალი მაქსიმალისტია და ჩვენც მაქსიმუმს გვთხოვს - მაშინაც კი, როცა ამხანაგური თამაში გვაქვს ხოლმე.

**- რა ისწავლეთ ლუისისგან?**

- პირადად მე თამაშის სტილი შევცვალე. თავიდან ვან გაალი ძალიან ბევრს მესაუბრებოდა და დიდხანს მიხსნიდა, სად რა დროს უნდა გავიქცე თამაშის დროს. ვან გაალი ტაქტიკური თვალსაზრისით არასდროს ცდება - მთავარია, ჩვენ, ფეხბურთელებმა მისი ყველა დავალება კარგად შევასრულოთ და გუნდი გაიმარჯვებს. მეორე წრეში ამდენი მნიშვნელოვანი გოლი რომ გავიტანე, ეს ვან გაალის დიდი დამსახურებაა. ვფიქრობ, ჩემი თამაშით ლუისიც კმაყოფილი დარჩა.

**- კონკრეტულად რა შეიცვალა ივიცა ოლიჩის თამაშის სტილში?**

- „ჰამბურგშიც“ ცენტრალური თავდამსხმელი ვიყავი, მაგრამ იქ ფლანგებზე გაცილებით ხშირად გადავდიოდი. „ბაიერნის“ თავდამსხმელისთვის კი სივრცე უფრო შეზღუდულია. ვან გაალმა ფლანგზე გადასვლა ამიკრძალა და მითხრა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გააკეთო, როცა რობენს ან რიბერის პოზიცია დაკარგული აქვთო. ასეა: „ბაიერნში“ ფლანგებს წინა ხაზში რიბერი და რობენი აკონტროლებენ. სამაგიეროდ, ვან გაალი მე საჯარიმოში და მის მისადგომებთან მარბენინებს.

**- სხვათა შორის, თქვენი თანაგუნდელები ამბობენ, რომ ვან გაალთან შეგუება ძალიან გაუჭირდათ.**

- ჰო, რადგან თავიდან კარგად არ გვესმოდა, რას გვთხოვდა ხოლმე ლუისი. საკუთარ თავს მეც ხშირად ვეკითხებოდი, ნეტავ რას მთხოვს ეს კაცი-მეთქი.

**- დღეს ყველაფერი გესმით?**

- კი, ახლა უკვე ყველაფერი კარგადაა. ვან გაალი გავიცანით, გავიგეთ, რა დროს რა უყვარს და რა არ უყვარს. შესაბამისად, მისი ახლა გაცილებით უკეთ გვესმის და ვხვდებით, რას მოითხოვს ჩვენგან. სწორედ ამიტომ განიცადა „ბაიერნმა“ გასული წლის პირველი წრის შემდეგ დიდი პროგრესი. სწორედ ამიტომ ჩავატარეთ სეზონის მეორე ნახევარი ასე კარგად.

**- ექსპერტების აზრით, თქვენ ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული გაქვთ.**

- არა! ვან გაალმა თქვა, რომ ახალ სეზონს ყველა ფეხბურთელი ნულიდან იწყებს. ასე რომ, წინა სეზონში ნაჩვენებ შედეგებს მნიშვნელობა აღარ აქვს. ცხადია, მე მცირე უპირატესობა მაქვს და კერძოდ იმ მხრივ, რომ მწვრთნელმა უკვე იცის, რა შემიძლია, მაგრამ მეორე მხრივ, მოსამზადებელ შეკრებაზე ისევ ბოლომდე თუ არ დავიხარჯე, ვიცი, სათადარიგოთა სკამზე დამსვამს.

**- ახლა მსოფლიოს ჩემპიონატზე ვისაუბროთ. თქვენმა თანაკლუბელებმა მუნდიალზე ძალიან კარგად იასპარეზეს. გაგიკვირდათ გერმანიის ნაკრების წარმატებები?**

- ბიჭები ძალიან მონდომებულები იყვნენ. მიხარია, რომ გერმანიამ სამხრეთ აფრიკაში ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშა. ვერ წარმოიდგენთ, რაოდენ გახარებული ვიყავი, როცა გერმანელებმა ჯერ ინგლისი დაამარცხეს, მერე კი არგენტინა.

**- თქვენი ხორვატია მსოფლიოს ჩემპიონატზე არ მონაწილეობდა და ეს ინგლისის ნაკრების ბრალი იყო. ალბათ ამიტომაც ქომაგობდით გერმანიას...**

- რა თქმა უნდა. არგენტინის ნაკრების საწინააღმდეგო კი ნამდვილად არაფერი მაქვს. უბრალოდ, გერმანიამ ინგლისთან იმდენად კარგად ითამაშა, რომ მერე არგენტინასთანაც ბუნდესგუნდს ვუქომაგე.

**- ფეხბურთელები, რომლებმაც მუნდიალზე იასპარეზეს, „ბაიერნს“ გვიან შეუერთდებიან და თქვენც ფიქრობთ, რომ ეს რეკორდმაისტერისთვის პრობლემაა? ან, ხომ არ მიიჩნევთ, რომ თომას მიულერს, ბასტიან შვაინშტაიგერს და სხვებს ბუნდესლიგასა თუ ჩემპიონთა ლიგაში მოტივაციის პრობლემა ექნებათ?**

- როდესაც ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატიდან ბრუნდება, კარგ ხასიათზეა, ანაც დეპრესიაშია - გააჩნია, როგორ ითამაშა მისმა ნაკრებმა. მაგრამ დამიჯერეთ, დეპრესია მხოლოდ რამდენიმე დღეს გასტანს ხოლმე. ზუსტად ვიცი, რომ „ბაიერნის“ ფეხბურთელებს მოტივაციის პრობლემა არ შეექმნებათ. პრობლემური შეიძლება იყოს ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება, ანუ, ფიტნესი. ფაქტია, რომ ბიჭებს ძალების აღსადგენად ძალიან ცოტა დრო ექნებათ.

**- როგორია თქვენი მიზნები მომავალი სეზონისთვის?**

- პირველ რიგში მინდა, რომ ჯანმრთელად ვიყო. თუ ტრავმას არ მივიღებ, დარწმუნებული ვარ, ისევ კარგ სეზონს ჩავატარებ. ამასთან, მინდა, რომ ისევ ჰეთ-თრიკისთვის ვიბრძოლოთ.

**- „ბაიერნთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაკავშირებთ. შეასრულებთ მას?**

- მიუნხენში ყველაფრით კმაყოფილი ვარ და მგონი, ჩემით „ბაიერნიც“ კმაყოფილია. ასე რომ, სხვაგან წასვლაზე არ ვფიქრობ.

ტრანსფერი

# ჰაიკო ვესტერმანი ჰამბურგში წავიდა!

## მაგათმა კაპიტანი 7.5 მილიონად გაყიდა

„შალკეს“ კაპიტანმა **ჰაიკო ვესტერმანმა**, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრავმის გამო ვერ იასპარეზა, გელზენკირხენული კლუბი დატოვა და კარიერას „ჰამბურგში“ გააგრძელებს. ჩრდილოგერმანულმა კლუბმა ტრანსფერი გუშინ ოფიციალურად დაადასტურა. ცენტრალურმა მცველმა, რომელსაც წარმატებით შეუძლია როგორც ფლანგის მცველის, ისე საყრდენი ნახევარმცველისა და გარემარბის ფუნქციების შესრულებაც, „ჰამბურგთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ახალ თანაგუნდელებს დღეს შეუერთდება.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ჰამბურგელები „შალკეს“ 7.5 მილიონ ევროს გადაურიცხავენ და ცნობილი გახდა ისიც, რომ ტრანსფერის განხორციელება „ჰამბურგის“ ახალი ინვესტორის, **კლაუს-მიხაელ კიუნეს** მიერ გამოყოფილი ფულით გახდა შესაძლებელი. კიუნე ვესტერმანის ფასის ერთ მესამედს იხდის და სანაცვლოდ, ფეხბურთელის შემდგომი გაყიდვის შემთხვევაში, მისი სატრანსფერო თანხის 33 პროცენტს მიიღებს. ვესტერმანმა „ჰამბურგში“ სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა, რის შემდეგაც კლუბის ხელმძღვანელებს შეხვდა და კონტრაქტს ხელი მოაწერა.

ჰაიკო ვესტერმანი გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ვარსკვლავია და რომ არა ტრავმა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ითამაშებდა. ამას გარდა, ვესტერმანი უნივერსალია და არაერთ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ამდენად, ორმაგად გასაკვირია, რომ „შალკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** ჰაიკო გაყიდა. როგორც ჩანს, „დესპოტ ფელიქსს“ ვესტერმანი რაღაცის გამო გულზე არ ეხატებოდა - სხვა მხრივ, გაუგებარია, რატომ შეელია ერთ-ერთ ლიდერს, რომელიც გასული სეზონის მიწურულს სულაც გუნდის კაპიტანი იყო. შესაძლოა, მაგათი ჰაიკოს ადგილს პირველ რიგში დაცვის ცენტრში ხედავდა და რაკი **კრისტოფ მეტცელდერი** გადაიბირა, იქ ვესტერმანის ადგილი აღარ იყო. ამთავითვე ცნობილია, რომ მომავალ სეზონში „შალკეს“ დაცვის ცენტრში მეტცელდერისა და **ბენედიქტ ჰიოვედესის** ტანდემი ითამაშებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ჰაიკო ვესტერმანი კარიერას ჰამბურგში გააგრძელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებული ადამიანი

# მოურინიოს ჩრდილში

**მსოფლიოს ისტორია ამტკიცებს, რომ მამაკაცები სიდიადეს იმ დროს აღწევენ, როცა მათ გვერდით ჭკვიანი ქალები არიან. ნაპოლეონი მხოლოდ ჟოზეფინასთან ერთად იმარჯვებდა, ჩერჩილი არაფერი იქნებოდა კლემენტინას გარეშე და რომ არა მიშელ ობამას მონდომება, მისი ქმარი თეთრ სახლში ვერ მოხვდებოდა. ჟოზე მოურინიოს ისტორიაც ამ სერიიდანაა: პორტუგალიელი, ალბათ, ვერ გახდებოდა წარმატებული მწვრთნელი, მის გვერდით მომთმენი მეუღლე მატილდა კოუტინიო რომ არ ყოფილიყო.**



## ოლიგარქის შვილიშვილი

მოურინიომ რამდენიც უნდა ილაპარაკოს ღვთისგან მოვლენილ საჩუქარზე („მსოფლიოში საუკეთესო მეუღლე“), ცოლი მას ჯერ კიდევ ბაბუამ - **ზე მარია ლედუმ** შეურჩია. სწორედ მას, თევზსაჭერი ფლოტისა და თევზის კონსერვების ქარხნების მფლობელს მოუვიდა აზრად უფროსი შვილიშვილის - **ჟოზესა** და სუპერმარკეტების ქსელის მფლობელის შვილიშვილის - **მატილდა კოუტინიოს** დანიშვნა. დონ ზე მარიას სულაც არ ეუხერხულებოდა ის ფაქტი, რომ „ნიშნობის“ მომენტში ჟოზე რვა წლის იყო, მატილდა - ექვსის. ბაბუა ოცნებობდა, პატარა ჟოზე პორტუგალიის ყველაზე მდიდარ მამაკაცად ექცია.

საერთოდ, მოურინიოს ბაბუა ცალკე ლაპარაკის თემაა, თუნდაც იმიტომ, რომ მის ყოველ ხსენებას წამში გამოჰყავს წონასწორობიდან „რეალის“ ახალი მწვრთნელი. ბაბუა უბრალოდ ოლიგარქი არ ყოფილა, ის დიქტატორ **სალასარის** საუკეთესო მეგობარი იყო. მშობლიურ სეტუბალში რასაც მოესურვებოდა, იმას აკეთებდა: დიქტატურის მოწინააღმდეგეებს კლავდა, იტაცებდა, აწამებდა, რითაც საყოველთაო ზიზღი დაიმსახურა. ტირანის ერთადერთ ღირსებად ფეხბურთისადმი სიყვარული მიიჩნეოდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ 1962 წელს ოლიგარქმა უფროს ქალიშვილ **მარიან ჟულიას** ნება დართო, ადგილობრივი „ვიტორიას“ მეკარე **ფელიქს მოურინიოს** გაჰყოლოდა ცოლად. მერე რა, რომ ფელიქსს არაკეთილშობილური გვარი ჰქონდა, სამაგიეროდ ფეხბურთს კარგად თამაშობდა. უკვე მომდევნო წლის იანვარში მათ ვაჟი გაუჩნდათ, რომელიც **ჟოზე ზე მარია ფელიქს სანტუშ ლედუ მოურინიოდ** მონათლეს. პირველი 10 წელი საყვარელ მემკვიდრეს ყველა პრინცად აღიქვამდა. ჟოზე სახლში სწავლობდა, მამულიდან მხოლოდ ბრონირებული ლიმუზინით გადიოდა, თვეში ერთხელ კი ბაბუის თვითმფრინავით ფლორიდულ დისნეილენდში გასართობად მიდიოდა. თუმცა ჟოზე ყველაზე ხშირად სტადიონს სტუმრობდა. ოთხი წლის ასაკიდან ბაბუა შვილიშვილს საკუთარი ლოჟიდან ფეხბურთს აყურებინებდა და ბავშვიც ამ სპორტით სამუდამოდ დაავადდა.

სენიორ ზე მარიას გაუმართლა - ის ფაშისტური რეჟიმის კრახამდე ნახევარი წლით ადრე გარდაიცვალა და მისი ცოდვების მონანიებამ ნათესავებს მოუწიათ. 1974 წლის 26 აპრილს, „მიხაკების რევოლუციის“ მეორე დღეს შურისძიებით ანთებულმა სეტუბალელებმა გააცამტვერეს ოლიგარქის ვილა, ლედუს კლანის წევრებს კი ქვეყნიდან გაქცევა აიძულეს. ფელიქს მოურინიომ გადაწყვიტა, რომ მას და მის ვაჟს ოლიგარქის დანაშაულებებთან კავშირი არ ჰქონიათ და ამიტომაც სამშობლოში დარჩენა გადაწყვიტა. ყოველი შემთხვევისთვის ყოფილმა მეკარემ თავი დაიზღვია და ვაჟის გრძელი სახელიდან ზე მარია და ლედუ ამოიღო. რთული პოსტრევოლუციური პერიოდი მამა-შვილმა დედაქალაქში გადაიტანა, სადაც მოურინიო ადგილობრივი „ბელენენსეშის“ მეკარეებს ავარჯიშებდა - ამისთვის კვირაში 300 დოლარს იღებდა, ჟოზეს კი უბრალო ბავშვივით ჩვეულებრივ სკოლაში მოუწია წასვლამ.

## მენავთობე ბოსის ქალიშვილი

მომავალი სენიორა მოურინიოს ბავშვობაც ისეთივე უპრობლემო იყო, როგორც მისი მეუღლის - მამამისი **კლაუდიო კოუტინიო** პორტუგალიის უმსხვილეს კოლონია ანგოლაში სანავთობო კომპანიის მმართველი იყო და მისი ოჯახი ლუანდის გარეუბანში ნამდვილ სასახლეში ცხოვრობდა. მატილდას პრინცესასავით ზრდიდნენ - მას უამრავი ძიძა და მასწავლებელი ეხვია თავს. მაგრამ ყველაფერი 1975 წლის შემოდგომაზე დასრულდა, როცა ყოფილ პორტუგალიურ კოლონიაში სამოქალაქო ომი დაიწყო და ქვეყანას კუბელთა მთელი არმია შეესია. მათ მეთაურს ისე მოეწონა კოუტინიოს სასახლე, რომ მისი მფლობელების ქუჩაში გაყრა ბრძანა. ოჯახს პორტუგალიაში დაბრუნება მოუხდა. მათდა საბედნიეროდ, მატილდას ბაბუა, სუპერმარკეტების მფლობელი, პოლიტიკაში არ ერეოდა და ქონება შეინარჩუნა. ასე რომ, სეტუბალში დაბრუნებული მატილდას ცხოვრება პრაქტიკულად არ შეცვლილა.

მატილდას ბაბუამ არა მარტო შეიკედლა ღარიბი ნათესავები, არამედ სეტუბალში დაბრუნებაში დაეხმარა მოურინიოს. მისი პროტექციით ფელიქსმა „ვიტორიაში“ მეორე მწვრთნელის თანამდებობა მიიღო.

სწორედ იმ დროს (1977) შედგა ჩვენი გმირების - 14 წლის ჟოზესა და 12 წლის მატილდას გაცნობა. თავიდან ერთმანეთი არ მოეწონათ. მატილდას ბიჭი თავხედი და თვითკმაყოფილი მოეჩვენა, ჟოზეს გოგო - სულელი და მახინჯი. ბოლო მოსაზრებაში უმცროსი მოურინიო ახლოს იყო სიმართლესთან - არც მაშინ და არც შემდეგ მისი რჩეული სილამაზით არ გამოირჩეოდა.

## საჩუქარი საყვარელი ბაბუისგან

მოურინიოები კოუტინიოს ვილასთან ახლოს დასახლდნენ და მატილდასა და ჟოზეს, უნდოდათ თუ არა, ხშირად უწევდათ შეხვედრა. თინეიჯერები თანდათან დამეგობრდნენ. ჟოზე მატილდას (უფრო სწორედ, **ტამის** - უკვე მაშინ ასე ეძახდნენ გოგონას) უცხოური ენების სწავლაში ეხმარებოდა, ის კი ბიჭს საკუთარ ოთახში დიდ ტელევიზორში საფეხურთო მატჩების ყურების უფლებას აძლევდა. ამ პერიოდმა კიდევ უფრო გააძლიერა მათი მეგობრობა. ულამაზო ტამი ხვდებოდა, რომ მომხიბვლელი ჟოზეს მოპოვების არანაირი შანსი არ ჰქონდა და მეგობრის სასიყვარულო საქმეებში მთავარ მრჩევლად იქცა. ის თავისი ტემპერამენტიანი მეგობრისთვის სკოლაში საუკეთესო გოგონებს არჩევდა. მაგრამ თვითმხილველნი იხსენებენ, რომ ტამის მონდომება, როგორც წესი, ფუჭი იყო. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა ჟოზე პაემნის დროდ და ადგილად სტადიონზე საფეხბურთო მატჩებს ირჩევდა და ორი საათის განმავლობაში მხოლოდ ტაქტიკურ სქემებსა და მოთამაშეებზე მსჯელობდა და თან მუდმივად გაიძახოდა: *„მის ადგილას მე უკეთ ვითამაშებდი!“* მატჩის შემდეგ ჟოზეს ახალი ნაცნობი სტადიონთან ახლოს იაფ ბისტროში შეჰყავდა, სადაც მას ჰამბურგერებზე 20-პროცენტიანი ფასდაკლება ჰქონდა. გასაკვირი არ არის, რომ გოგონებს მეორედ პაემანზე წასვლის სურვილი აღარ ჰქონდათ. საწყალ ტამის ყოველი ასეთი ფიასკოს შემდეგ ჟოზეს ნუგეში უწევდა - „შენ ყველაზე ლამაზი ხარ, ყველაზე ჭკვიანი და ის სულელი გოგონები შენი ღირსები არ არიან“.

დრომ და მანძილმა მათ მეგობრობას ვერაფერი დააკლო. ედინბურგში სწავლისას მოურინიო დღეში სამჯერ ურეკავდა მეგობარს და მასთან შოტლანდიელი ქალების ფრიგიდულობაზე წუწუნებდა. შინ დაბრუნებისას ტამის ერთ ბოთლ შოტლანდიურ ვისკის ჩუქნიდა, რომელიც პორტუგალიელს მისმა მასწავლებელმა - **ბობი რობსონმა** შეაყვარა. არავინ იცის, რამდენი ხანი გაგრძელდებოდა ეს უცნაური ურთიერთობა, 1987 წლის შემოდგომაზე მოურინიოს ადვოკატისგან ახალი ამბავი რომ არ შეეტყო: 25-ე დაბადების დღეზე ჟოზე ბაბუის მიერ ანდერძით დატოვებულ მილიონ დოლარს მიიღებდა, ოღონდ ერთი პირობით - მას მატილდა კოუტინიოზე უნდა ექორწინა. დიდხანს არ უფიქრია, ჟოზე ტამისთან წავიდა და ფიქტიური ქორწინება შესთავაზა, რაშიც მეგობარს ნაანდერძევი თანხის 20 პროცენტს დაჰპირდა. მაგრამ მატილდამ მალე გადააფიქრებინა - განუცხადა, რომ ეს დანაშაულია და შეიძლება ამის გამო ციხეში აღმოჩნდეს. სიმამაცისთვის სამი ჭიქა ვისკის მიღების შემდეგ, ტამი იმ საღამოს ჟოზეს სიყვარულში გამოუტყდა, რითაც უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო ბიჭი, რომელსაც წარმოდგენაც არ ჰქონდა გოგონას გრძნობებზე. მომდევნო ორი თვე მოურინიო ფიქრისგან იტანჯებოდა: რა უფრო უკეთესი იყო - სიღარიბე და თავისუფლება თუ მილიონი და ულამაზო ცოლი. ბოლოს მეორე ვარიანტი აირჩია - ვადის გასვლამდე სამი დღით ადრე, 1988 წლის იანვარში ადგილობრივ მერიაში დააკანონა მატილდასთან ურთიერთობა, ერთი წლის შემდეგ კი ტაძარში ჯვარიც დაიწერა.

## იდეალური ცოლი

როგორც მოსალოდნელი იყო, ტამი იდეალური მეუღლე აღმოჩნდა. არასდროს და არაფერში საყვედურობდა ქმარს და რა დროც უნდა ყოფილიყო, შინ მუდმივად გაღიმებული ხვდებოდა. ხანგრძლივი მეგობრობის პერიოდში მან ისე კარგად შეისწავლა საყვარელი ადამიანის ხასიათი, რომ მაშინვე ხვდებოდა მის განწყობას. თუ ჟოზე სამუშაოდან გაღიზიანებული ბრუნდებოდა, ცოლი მას თავისა და ფეხების მასაჟს უკეთებდა, თუ მოურინიო მხიარულ ხასითზე იყო, ვისკის ჭიქით ეგებებოდა. მატილდამ ჟოზესთვის ბავშვობის საყვარელი კერძების მომზადებაც ისწავლა. რაც მთავარია, ქმრის გადამკიდე ბრწყინვალედ ერკვეოდა ფეხბურთში და მეუღლეს მეტოქეებზე დოსიეს შედგენაში ეხმარებოდა. იმ დროისთვის, დამქირავებლები ჟოზეს უცხოური პრესიდან საჭირო ინფორმაციის მოძიებას ავალებდნენ. მოკლედ, ასეთ ცოლზე ნებისმიერი ქმარი იოცნებებდა, მაგრამ ამის სანაცვლოდ, ჟოზემ თანაცხოვრების პირველივე წელს დაიწყო მატილდას ღალატი.

იმის გამო, რომ ჟოზე თითქმის მთელ დროს სტადიონსა ან ბაზაზე ატარებდა, ღალატიც სწორედ აქ ხდებოდა. როგორც კი კლუბში რომელიმე სიმპათიური მდივანი, მზარეული ან საკლუბო მუზეუმის თანამშრომელი გამოჩნდებოდა, მის გვერდით მაშინვე მოურინიო ჩნდებოდა. თავის თავგადასავლებს ის არავის უმალავდა. ამის გამო კარიერაში პირველი მეტსახელი მიიღო - mulherengo („მექალთანე“).

1994 წელს მოურინიოს კარიერაში ნანატრი გარღვევა მოხდა - მისმა მასწავლებელმა, ინგლისელმა ბობი რობსონმა, რომელიც „პორტუს“ ედგა სათავეში, ჟოზე პირველ ასისტენტად მიიწვია. აწ უკვე გარდაცვლილი სერ ბობი მხიარული და სიცოცხლის მოყვარული კაცი იყო. ამიტომაც სამსახურებრივი მოვალეობების გარდა, მოურინიოს მასთან ჭიქის აწევაც უწევდა, გარდა ამისა, ჟოზე შეფისთვის ღამის გასატარებლად გოგონებს ეძებდა. სამაგიეროდ, მაშინ, როცა ინგლისელი თვრებოდა და გიჟური ღამის შემდეგ უგონოდ იყო, მოურინიოს გუნდის პირადად გაწვრთნის საშუალება ეძლეოდა.

მთელი ეს წლები ტამი დაფეხმძიმებას ცდილობდა. მას მიაჩნდა, რომ მხოლოდ ბავშვი თუ მოარჯულებდა მის მექალთანე მეუღლეს. ბოლოს და ბოლოს, რვა წლის თანაცხოვრების შემდეგ მათ სიმპათიური გოგონა გაუჩნდათ, რომელსაც დედის პატივსაცემად მატილდა-უმცროსი დაარქვეს. გოგონას დაბადებამ იმოქმედა ჟოზეს ხასიათზე, ოღონდ ისე არა, როგორც ტამი ფიქრობდა. მან თავი დაანება მრავალრიცხოვან საყვარელს და ერთი მუდმივი გაიჩინა.

წარმოშობით ბრაზილიელი, მომხიბვლელი, ქერათმიანი გამყიდველი **ელზა სოუზა** ჟოზემ პატარა ქალაქ ლეირიას სუპერმარკეტში გაიცნო. ამ ქალაქში მორინიო ადგილობრივ კლუბს ავარჯიშებდა. როცა მომდევნო წელს „პორტუში“ მუშაობა შესთავაზეს, მოურინიომ ელზა თან წაიყვანა. თანაც არა მარტო წაიყვანა, არამედ მასთან ერთად დასახლდა მისთვის გამოყოფილ სახლში. უფრო მეტიც, ჟოზემ საყვარელი მეუღლედ გააცნო „პორტუს“ ხელმძღვანელობასა და მოთამაშეებს. მატილდასთვის კი შეთხზა ისტორია მეტად საქმიან და მოხერხებულ ასისტენტზე, რომლის დახმარების გარეშე ვერაფერს გააკეთებდა. ტამიმ დაიჯერა ან უბრალოდ თავი მოიტყუა.

## იდეალური ქმარი

აქ უნდა გავიხსენოთ, რომ მოურინიო რელიგიური ადამიანია. მისთვის ეკლესიაში დაკანონებული ქორწინება წმინდაა, ამიტომაც ტამის არასოდეს გაეყრება. თანაც 22 წლის განმავლობაში ცოლი მხოლოდ ერთხელ გამოვიდა წონასწორობიდან, როცა ელზასთან ისტორია გაზეთ „სანის“ ფურცლებზე გაჩნდა. მაშინ მან მეუღლე სეტუბალის სახლიდან გააგდო და განქორწინებისთვის მზადებაც კი დაიწყო. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ დამშვიდდა და ისევ შეუშვა მოურინიო სახლში. მაგრამ ოჯახური იდილიის მისაღწევად მოურინიოს ელზა სოუზაზე უარის თქმამ მოუწია. ეს არ იყო გონიერი ნაბიჯი, რადგან მიტოვებულმა საყვარელმა მემუარები დაწერა, რომელიც მომავალი წლის დასაწყისში გამოვა გაყიდვაში. მანამდე კი მოურინიო ძველ ცხოვრებას დაუბრუნდა - ვინც ხელთ მოხვდება, იმასთან ატარებს დროს. თუ იტალიურ ტაბლოიდები დავუჯერებთ, მილანში ორი წელი მუშაობისას პორტუგალიელმა ორ მდივანთან და უნგრელ დამლაგებელთან „დამეგობრება“ მოასწრო. ყველაზე გასაოცარი ის არის, რომ ეს ტრიო მან მადრიდში იახლა, თითქოს იქ ლამაზი ქალების დეფიციტი იყოს. და ტამი? ის ეტყობა საბოლოოდ შეეგუა ღალატს. მან იცის, რომ სადაც არ უნდა წავიდეს ჟოზე, ბოლოს თავის ოჯახს - ცოლსა და ორ შვილს უბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# არსენამ გვიხსნა




ჩვენმა ბერძენ-რომაელთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა ერთი ბრინჯაო მოიპოვა ბუდაპეშტში, თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე. მედალი ასევე ახალგაზრდებში ევროპის მესამე პრიზიორმა **არსენ კახაბრიშვილმა** (84) მოიგო. თავის პირველ წარმატებას მან 2008 წელს სლოვაკურ კოშიცეში მიაღწია, როცა ახალგაზრდებში ევროპის პირველობაზე ბრინჯაოს გამოჰკრა ხელი. მისგან შარშანაც დიდ წარმატებას ელოდნენ იმავე რანგის შეჯიბრებაში, რომელიც თბილისში ტარდებოდა. კახაბრიშვილმაც წარმატებით დაიწყო, მაგრამ მალევე მხრის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და გავარდა. არსებითად, ამან შეუშალა ხელი მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატშიც და ის სეზონიც ჩაუვარდა. გუნდის თავკაცი **ვლადიმერ ადეიშვილი** მას თანატოლთა ევროპის წლევანდელ პირველობაზეც ენდო, კახაბრიშვილი ნახევარფინალშიც გავიდა, მაგრამ მერე ორივე შეხვედრა წააგო და უმედლოდ დარჩა. ცოტა დააკლდა, ახლაც იგივე სცენარი რომ არ განვითარდა - კვლავაც ნახევარფინალში გავიდა და იქ ისევ დამარცხდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ამჯერად ეყო ძალა და ბრინჯაოსთვის შეხვედრა დიდი ალმავლობით ჩაატარა. წლეულს მან კიდევ ერთი დიდი გამოცდა ჩააბარა - ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ევროპის ჩემპიონატშიც იჭიდავა.

კახაბრიშვილმა ბუდაპეშტის ტურნირი ისე გაიარა, მაინცდამაინც ბევრი ქულა არც ერთ შეხვედრაში არ დაუგროვებია, თუმცა მიზანს – შედეგს მიაღწია. ამასთან, საყურადღებოა, რომ თვითონაც იშვიათად კარგავდა ქულებს - კორეელ **სე-იოლ ლეესთან** ნაგებულ შეხვედრას თუ არ მივიღებთ მხედველობაში, დანარჩენ ოთხ ბრძოლაში მხოლოდ 2 ქულა დაკარგა. თანაც ყველა შეხვედრა ძირითად დროში მოიგო - თურქმენ **ილიას ესენოვთან**, ამერიკელ **ბენჯამინ ეროლ პროვისორთან**, თურქ **ასლან ატემთან** და ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბერძენ **გეორგიოს დალარასთან**. ბერძენი განსაკუთრებით ცუდ დღეში ჩააგდო - ორი პერიოდი ჯამში 9:0-ით მოუგო. ამხელა სხვაობით არც ერთი მეტოქე არ დაუმარცხებია.

ჩვენებურმა ერთადერთი შეხვედრა წააგო - აზიის ორგზის ჩემპიონ კორეელთან. ლეე მართლაც მშვენიერ ფორმაში ჩავიდა ბუდაპეშტში - შეხვედრათა უმეტესობა დიდი ანგარიშით და ძალზე იოლად მოიგო. მას ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კახაბრიშვილმა გაუწია, რომელმაც მოუგო მეორე პერიოდი და ანგარიში გაუთანაბრა. სამწუხაროდ, დამატებით დროში ჩვენებურმა ვერაფერი გააწყო და ის პერიოდი ქულებით წმინდად წააგო.

ევროპის შარშანდელი ჩემპიონი (ოღონდ ქვედა წონაში) **მინდია წულუკიძე** (55) ტურნირში წარუმატებლად ჩაება - პირველივე ბრძოლაში დამარცხდა მომავალ ჩემპიონთან, რუს **სტეფან მარიანიანთან**. სომხური წარმოშობის ფალავანი ევროპის ზედიზედ ორგზის ჩემპიონია ჭაბუკებში - 2007-08 წლებში, ახლა კი თანდათან ახალგაზრდებშიც ლიდერად ყალიბდება. მას ჩვენებურმა მეტ-ნაკლებად ჯეროვანი წინააღმდეგობა მხოლოდ პირველ პერიოდში გაუწია, რომელიც 0:2 დათმო, მეორე კი 0:5 წააგო. მოგვიანებით რუსის წარმატებამ ჩვენებურს სანუგეშო ტურნირისკენ გაუხსნა გზა, თუმცა შანსი ვერც იქ გამოიყენა - ისევ პირველივე წრეში და ისევ ორ პერიოდში მარცხი საერთო ანგარიშით 2:9 ლიტველ **რამუნას დაგუსთან.**

რუსთან დამარცხდა ევროპის წლევანდელი პირველობის ფინალისტი **საჩინო დავითაიაც** (66), რომელიც თითქოს უკეთ ჩაება ჩემპიონატში. ჩვენებურმა სერბი **ნენად სოლარი** ორ პერიოდში დამაჯერებლად დაამარცხა - 5:0; 7:0 და ჭაბუკებში ევროპის ჩემპიონ რუს **ჩინგიზ ლაბაზანოვსაც** მედგრად დაუდგა. აქ პირველი პერიოდი 3:3 დამთავრდა, თუმცა სეტი მაინც რუსმა მოიგო, რადგან ბოლო ქულა მან მიითვალა. აი, მეორე პერიოდი ჩვენებურმა 0:2 დათმო და საბოლოოდაც დამარცხდა, ნუგეშად კი დამამშვიდებელი წრე დარჩა. იქაც მაგრად იბრძოლა ამერიკელ **ელის კოლემანთან,** მაგრამ დრამატული შერკინების დამატებით დროში მაინც დამარცხდა. აქ პირველი ორი პერიოდი ფრედ - 1:1; 2:2 დამთავრდა. ბოლო ქულის დამსახურებით მეტოქეებმა თითო სეტი მოიგეს და დამატებითი დრო დაინიშნა. აქ ამერიკელმა ივარგა და 2:0 გაიმარჯვა.

ჩემპიონატი გამარჯვებით დაიწყო მძიმეწონოსანმა **სერგო გოგისვანიძემაც** - ჩინელი **დონგ ჰანი** დამატებით დროში დაამარცხა, მაგრამ იქვე მომავალ ჩემპიონთან, ჭაბუკებში ევროპის უკრაინელ პრიზიორ **იგორ დიდუკთან** წააგო ისევ დამატებით დროში. სანუგეშოში ჩვენებურმა ერთხელაც გაიბრძოლა - ლიტველი **მარიუს გრიგელისი** დაამარცხა, თუმცა აქაც სამი პერიოდი დასჭირდა, სანუგეშოს ფინალში გასვლა კი ირანელმა **პარსა ჰამდალაჰ ნაზარიმ** არ დაანება – სერგომ ძირითად დროში წააგო. აღსანიშნავია, რომ გოგისვანიძემ ყველა პერიოდი 1:0 მოიგო, ანუ მეტი ქულა არ გაუკეთებია. მართალია, არც თავად დაუთმია ამაზე მეტი, მაგრამ ვფიქრობთ, მაინც მეტი ილეთი მოეთხოვება.

დღეს და ხვალ ბუდაპეშტში გოგოები იჭიდავებენ, 24-25 ივლისი კი თავისუფალი სტილით მოჭიდავეებს დაეთმობათ. ჩვენი ნაკრები იქ იმავე შემადგენლობით იჭიდავებს, რომლითაც ევროპის პირველობაზე იასპარეზა: **ლაშა ტალახაძე** (50), **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი** (55), **თენგიზ ჩოჩიშვილი** (60), **დავით ტლაშაძე** (66), **დავით ხუციშვილი** (74), **დავით მარსაგიშვილი** (84), **თორნიკე ხიდეშელი** (96), **გიორგი საკანდელიძე** (120).

**ირაკლი თავაძე**

პლაჟბურთი

მსოფლიო ტური

# მარსელში მოგებით დავიწყეთ

პლაჟბურთის მსოფლიო ტურის გათამაშება ორკვირიანი შესვენების შემდეგ საფრანგეთში, მარსელის ეტაპით განახლდა. პირველები შეჯიბრებაში ქალები ჩაებნენ. ქართულმა წყვილმა **საქა-რთველომ,** რომელიც მე-16 ნომრადაა განთესილი, ტურნირის პირველ დღეს ორი მატჩიდან ერთი მოიგო და ასპარეზობას განაგრძობს.

პირველ მატჩში ჩვენმა ფრენბურთელებმა მე-17 ნომრად განთესილ იტალიურ დუეტ **ჩიკოლარი-მენეგატის** მოუგეს ორ სეტში - 21:12, 22:20. მერე კი ტურნირის უმთავრეს ფავორიტებთან, ბრაზილიურ წყვილ **ტალიტა-ანტონელისთან** დამარცხდნენ - 2:0 (21:17, 21:18). საქა-რთველო დღეს დამამშვიდებელ ტურნირში ჩაებმება. ჩვენს ფრენბურთელებს წაგების უფლება აღარ აქვთ. დღესვე დაიწყებს ასპარეზობას ვაჟთა ტურნირში **გეორ-გია.**

**ბესიკ ჯანგავაძე**

# სპორტის აკადემია ისევ იყიდება

გუშინ სპორტის აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც გაპროტესტებულია სპორტის აკადემიის კვლავ საპრივატიზაციო ნუსხაში ჩართვის ფაქტი. აუქციონი 30 ივლისსაა დანიშნული, საწყის ფასად კი 14 მილიონია გამოცხადებული.

დღემდე აკადემია სასამართლო დავის საგანს წარმოადგენს. ორგკომიტეტს იმედი აქვს, რომ აკადემიის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში მხარში დაუდგება ყველა, ვინც ქართული სპორტის ბედითაა დაინტერესებული.

სუმო

# მაკეკოში: ტიტული დაკარგულია

მორჩა მარჩიელობა - რამდენი ბრძოლა უნდა მოიგოს **ტოჩინოშინმა**, რომ კომუსუბის ტიტული შეინარჩუნოს. ვეღარ შეინარჩუნებს... ნაგოიას ბაშოს მე-11 დღეს ძალზე ცუდად მოასპარეზე **ლევან გორგაძემ** საბედისწერო, მე-8 მარცხი იწვნია და აგვისტოში სუმოს იერარქიაში მეოთხე ტიტულს დაკარგავს. ტოჩინოშინისთვის გადამწყვეტი ოს **არანთან** ბრძოლა აღმოჩნდა. ვლადიკავკაზელი მე-2 მაეგაშირა ზედიზედ მეექვსედ გამოვიდა გამარჯვებული ივლისის ბაშოზე. დაჯახებისთანავე ორივე ევროპელმა რიკიშიმ სცადა შეტევა, მაგრამ ეს უფრო დაბალ დგომში მოჭიდავე ოსს გამოუვიდა, არანმა უვატენაგეს ილეთით დააკარგვინა ტოჩინოშინს წონასწორობა. 3-8 ბალანსი კი მაკეკოშის ნიშნავს, ანუ, რაც უნდა გააკეთოს ბოლო ბრძოლებში ქართველმა კომუსუბიმ, ის უარყოფით ბალანსს ვეღარ გაექცევა. სექტემბრის ბაშოზე ტოჩინოშინი ისევ რიგითი მაეგაშირა იქნება. 2006 წელს **კოკაიმ (ლევან ცაგურია)** 2 ბაშოს განმავლობაში ატარა კომუსუბის ტიტული, ტოჩინოშინმა კი მხოლოდ ერთი ბაშო გაძლო სენიაკუს წოდებით. ქართველისგან გამოთავისუფლებულ ტიტულს კი, ალბათ, ოსი რიკიში დაიკავებს. ლევანი 22 წლისაა და მას კიდევ ბევრჯერ მიეცემა დაწინაურების შანსი. დღეს მისი მეტოქე „მატადორი" **ამინიშიკი** (5-6) იქნება.

კოკაიმ წააგო და კვლავ უარყოფითი ბალანსი (5-6) გაუხდა. თანაც ჩვენებურმა მის ტრადიციულ მეტოქესთან, „რობოტ პოლიციელ" **ტაკამისაკარისთან** დათმო იორიკირის ილეთით. ახლა ურთიერთშეხვედრებში „შავი ზღვა" 12:11-ს უგებს იაპონელს. ლევანის დღევანდელი მეტოქე მე-9 მაეგაშირა **კაკიძოეა** (2-9). ურთიერთშეხვედრებში კოკაი 8:12-ს აგებს კაკიძოესთან.

ნაგოიას სუპერტურნირი ელიტაში პირველი ბაშოა **გაგამარუსთვის (თეიმურაზ ჯუღელი)**, რომელიც მეტ-ნაკლები წარმატებით მიმდინარეობს ყველაზე მძიმე სუმოისტისთვის. გუშინ გაგამარუმ „პატარა ტანკ" **ტაკეკაძეს** შეტევა მოიგერია და კონტრშეტევით აჯობა კიდეც. გაგამარუს 5-6 ბალანსი აქვს და დღეს **ტამავაშის** გაეჯიბრება.

42 მოგება - ასეთია დიდ ჩემპიონ **ჰაკუჰოს** ახალი რეკორდი, მონღოლმა ზედიზედ 42 ორთაბრძოლა მოიგო და კვლავ ყოჩაღობს. დღეიდან ის პირველად ჩაუდგა ბაშოს სათავეში ერთპიროვნულად, რადგან მე-13 მაეგაშირა **ჰომაშომ,** როგორც იქნა, წააგო. ჰაკუჰომ გუშინ სუკუინაგეს ილეთი იხმარა სეკივაკე **კოტოშოგიკუს** დასამარცხებლად.

ივლისის ბაშო. 11-25 ივლისი.
ნაგოია (იაპონია)

**XI დღე:** ჰაკუჰო-კოტოშოგიკუ (სუკუინაგე), ტოკიტენკუ-კოტოოშუ (ჰატაკიკომი), ჰარუმაფუჯი-კაიო (უბრძოლველად), ბარუტო-კისენოსატო (ოშიტაოში), კიტატაიკი-ჰაკუბა (იორიკირი), არანი-**ტოჩინოშინი** (უვატენაგე), ტოჩიოძანი-ამინიშიკი (ოშიდაში), იოშიკაძე-ასასეკირიუ (იორიკირი), კიოკუტენჰოშიმოტორი (ცურიდაში), კაკურიუ-ჰომაშო (სუკუინაგე), ვაკანოსატო-ტოკუსეგავა (იორიკირი), ტამავაში-კაკიძოე (იორიკირი), მოკონამი-კიმურაიამა (იორიკირი), ტოსაიუტაკა-ტამაასუკა (ოშიდაში), **გაგამარუ**-ტაკეკაძე (იორიტაოში), ტაკამისაკარი-**კოკაი** (იორიკირი), ბუშუიამა-ჰოკუტორიკი (იორიტაოში), სოკოკურაი-შოტენრო (ჰიკიოტოში).

**სატურნირო მდგომარეობა: 11-0: ჰაკუჰო** (იოკოძუნა). **10-1: ჰომაშო** (მაეგაშირა 13). **9-2: კაკურიუ** (მ 6). **8-3: ბარუტო** (ოძეკი), **კოტოოშუ** (ოძეკი)... 5-6: **გაგამარუ** (მ 12), **კოკაი** (მ 12)... 3-8: **ტოჩინოშინი** (კომუსუბი).

**XII დღე:** ტოჩინოშინი-ამინიშიკი, გაგამარუ-ტამავაში, კოკაი-კაკიძოე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**


ტოჩინოშინი

ჭადრაკი

# სამოსანი სამეული

ესპანურ ბალაგერში მოჭადრაკეთა მე-15 საერთაშორისო ტურნირზე მთავარი პრიზისთვის ბრძოლაში 90 ქალ-ვაჟი ჩაება. მათგან ოცდაერთი დიდოსტატია. შვეიცარიული სისტემით ცხრა ტური გათამაშდება. უკვე გაიმართა სამი ტურის შეხვედრები. თბილისელმა დიდოსტატმა **ლევან აროშიძემ** სტარტზე დომინიკელ **პედრო ბელტრეს** სძლია, მეორე ტურში შავი ფიგურებით ლატვიელ საერთაშორისო ოსტატ **ვიტალის სამოლინსს** დაუზავდა, გუშინ კი უკრაინის ქალთა ოლიმპიური გუნდის წევრი დიდოსტატი **ნატალია ზდებსკაია** დაამარცხა და 2,5 ქულით მეოთხე-მეთოთხმეტე ადგილებს იყოფს. პირველ სამეულს 3-3 ქულა აქვს. აროშიძე დღეს ბულგარელ **კიპრიან ბერბატოვს** დაუპირისპირდება.

# მდგომარეობა გაიუმჯობესა

ბილის საჭადრაკო ფესტივალზე სხვადასხვა ქვეყნის 114-მა ქალ-ვაჟმა მოიყარა თავი. მოასპარეზეთა შორისაა ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატი **ნაზი პაიკიძე.** პირველ ტურში იგი მოულოდნელად 83-ე ნომრად განთესილ **კლეიბაუმჰუთერთან** დამარცხდა. სამაგიეროდ, მეორეში **რობინ ანგსტს** სძლია. გუშინ ჩვენებური **ფარვის ნაბავის** დაუპირისპირდა შავი ფიგურებით და აქტიური თამაშით აიძულა მეტოქე, საათი გაეჩერებინა. ნაზიმ ორი ქულა მოაგროვა და სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა. დღეს იგი თეთრებით საერთაშორისო ოსტატ **ნებოისა ლიჯინს** შეხვდება. ტურნირზე 3-3 ქულით შვიდი დიდოსტატი და ერთი საერთაშორისო ოსტატი მეწინავეობენ.

**ვაჟა დანელია**

ლაზიერების ენდშპილი

ლ. პროკეში, 1947 წელი




| | |
|---|---|
| 1. ლc6+ მფa5 | 2. მფb7 ლd3 |
| 3. ლb6+ მფa4 | 4. ლa7+ მფb5 |
| 5. ლa6+ მფc5 | 6. ლxd3 1:0 |

ძიუდო

# ფონს ლეგიონერთა გარეშე გავდივართ

**ამ დღეებში გორის გურამ პაპიტაშვილის სახელობის ძიუდოს დარბაზში ფალავანთა ჩვეული სიმრავლეა, თუმცა ამჯერად აქ მხოლოდ ადგილობრივი სპორტსმენები როდი ვარჯიშობენ. რამდენიმე დღეა, მათთან ერთობლივ შეკრებას გადიან აზერბაიჯანის, საბერძნეთის და თურქმენეთის ახალგაზრდა ძიუდოისტები. თურქმენები გორში პირველად ჩამოვიდნენ, აზერბაიჯანელებისა და ბერძნებისთვის კი ეს უკვე ტრადიციაა. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გორელებს აზერბაიჯანელებთან ჩამოუყალიბდათ. ისინი ტურნირებზეც ხშირად სტუმრობენ ერთმანეთს. რამდენიმე კითხვით მივმართეთ ამჟამად გორში მყოფ ბაქოს მე-16 სპორტული სკოლისა და ამავე ქალაქის ძიუდოს კლუბ „იესაულის" მწვრთნელებს ზაურ ბაბაევს და ვუგარ ალიევს.**

— **ზაურ ბაბაევი:** ამ პატარა ქალაქში ძიუდო ძალიან მაღალ დონეზეა. გასულ წლებში კმაყოფილნი დავრჩით ვარჯიშების ხარისხით და, ბუნებრივია, კიდევ ჩამოვედით. ჩვენი კლუბი ხუთიოდე წლისაა, უმეტესობა კადეტები გვყავს და მიგვაჩნია, რომ პირველ ნაბიჯებს გორელებთან ერთად უფრო უკეთ გადავდგამთ. გვჯერა, რომ ამ საწვრთნელ პროცესსაც ის ეფექტი ექნება, რომელსაც ველით.

**ვუგარ ალიევი:** კლუბი „იესაული", რომელსაც მე წარმოვადგენ, ათი წლისაა, აზერბაიჯანის ასაკობრივ ნაკრებებშიც გვყავს წარმომადგენლები და უფროსთა გუნდშიც. ჩვენი შეგირდი ელმან ნასიმოვი ევროპის ჩემპიონია, გვყავს კონტინენტის პრიზიორებიც. გორში შეკრებებთან ერთად შეჯიბრებებშიც ვმონაწილეობთ და აქაურებსაც ხშირად ვეპატიჟებით აზერბაიჯანში ტურნირებზე.

— **ამ ეტაპზე რომელი შეჯიბრებებისთვის ემზადებით?**

— **ვ. ალიევი:** ერთ თვეში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატია კადეტებსა და ახალგაზრდებს შორის. ოქტომბერში მსოფლიოს თასია დიდებში, წლის მიწურულს კი უფროსებს, ახალგაზრდებსა და კადეტებს შორის ბაქოს ღია საერთაშორისო ტურნირები გველის. ერთობლივი წვრთნები ორივე მხარეს აუცილებლად სასიკეთოდ წაგვადგება.

**ზ. ბაბაევი:** თქვენმა ძიუდოისტებმა აზერბაიჯანში გამართულ რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი და შინ მედლებით დაბრუნდნენ. მათი მიღწევები ცნობილია კავკასიის ფარგლებს გარეთაც.

— **აზერბაიჯანის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ნაკრები დიდწილად ჩრდილოკავკასიელი ფალავნებითაა დაკომპლექტებული. ძიუდოს გაძლიერებაზეც ხომ არ ფიქრობენ?**

— **ვ. ალიევი:** გეთანხმებით, თავისუფალ ჭიდაობაში ლეგიონერი ბევრია, თუმცა ძიუდოში ასეთ მიდგომას საჭიროდ არ მიიჩნევენ. ჩვენთან ყველა ადგილობრივი სპორტსმენია და მხოლოდ ამ გზით გავდივართ ფონს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალ ჭიდაობაში ლეგიონერების დახმარებით ადგილობრივი ბავშვებიც მოძლიერდნენ და ვფიქრობ, მომავალში აღარ იქნება აუცილებელი უცხოელთა ნაკრებში მოწვევა.

— **ფინანსური თვალსაზრისითაც თავისუფალი ჭიდაობა ალბათ ძიუდოზე უკეთაა უზრუნველყოფილი...**

— **ზ. ბაბაევი:** არც ჩვენ გვაქვს ამ მხრივ ცუდად საქმე, მაგრამ თუ შევადარებთ, თავისუფალი ჭიდაობა აზერბაიჯანში არა მხოლოდ ძიუდოზე, ყველა სპორტის სახეობაზე პრიორიტეტულად მიიჩნევა, კარგად ფინანსდება და იმიტომაც დაუდგათ მათ წარმატებების ხანა.

**ვასილ ბალახაძე**
**გორიდან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

საქართველოს ნაკრები.
ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# მთავარია, აგვისტოს შევხვდეთ ოპტიმალურ ფორმაში



საქართველოს ნაკრები ავსტრიიდან 20 ივლისს, გამთენიისას დაბრუნდა, ერთი დღე დაისვენა და 21 ივლისიდან მზადებას სპორტის სასახლეში შეუდგა. 23-25 ივლისს ქართველები თბილისში საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებენ. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის უკრაინა, ბელარუსი და რუმინეთი ჩამოვლენ. 25 ივლისს ტურნირის ბოლო მატჩია, რის შემდეგაც იგორ კოკოშკოვის შეგირდები ვარჯიშს სპორტის სასახლეში განაგრძობენ, ხოლო 2 აგვისტოს პოლონეთის ნაკრებს დაუხვდებიან.

ეროვნულ გუნდს ავსტრიაშივე შეუერთდა **თორნიკე შენგელია**, რომელსაც ორ საკონტროლო შეხვედრაში არ უთამაშია, თუმცა თორმეტეულის წევრად მოიაზრება. კოჭის ტრავმას იშუშებს **გიორგი ცინცაძე**, ხოლო **ვლადიმერ ბოისა...** სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ სლავების მთავარი მწვრთნელის, **რონ ფრანტიშეკის** ვიდეოინტერვიუ ვნახე. მისი ნაუბარი არ მესმოდა, თუმცა უფრო საინტერესო უკანა პლანის სურათი იყო - საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი **ჯეისონ სტაუდტი** სამოქალაქო სამოსში გამოწყობილ ტანმაღალ კალათბურთელს ელაპარაკებოდა. იგი ვლადიმერ ბოისას მივამსგავსე... თუმცა საქართველოში დაბრუნებულმა ნაკრების წევრებმა მითხრეს, რომ ვოვა სლოვაკეთში არ ჩასულა. არადა, ის ახალგაზრდა ვლადიმერ ბოისას ძალიან ჰგავდა. როგორც შევიტყვეთ, იგი მუხლს ჯერაც მკურნალობს.

**ქუინტონ ჰოსლიმ** და **ტორინ გრინმა** თბილისში ჩამოსვლისთანავე საქართველოს პასპორტები რომ მიიღეს, ჩვენს მკითხველს კარგად მოეხსენება. ნაკრების შესახებ ვრცლად ხვალინდელ ნომერში მოგითხრობთ - დღეს ეროვნული გუნდი ღია ვარჯიშს გამართავს...

მანამდე სანაკრებო ამბებზე სალაპარაკოდ შარშანდელ სეზონში ეროვნული გუნდის ბომბარდირს **ვიქტორ სანიკიძეს** დავუკავშირდით.

**- ტრავმის გამო მოსამზადებელი ციკლის რამდენიმე დღე გაგიცდა...**

- მუხლსზემოთა კუნთი გაჭიმული მეგონა. ერთი-ორი დღე დავისვენე და ვარჯიში განვაგრძე, მაგრამ ისევ ამტკივდა და სურათის გადაღება გადავწყვიტეთ. კუნთის მცირე ნაწილი განწყვეტილი აღმოჩნდა, თუმცა ტრავმა სერიოზული არ იყო, კიდევ ორი დღე დავისვენე და ტკივილმაც გამიარა.

**- ახლა მწყობრში ხარ?**

- დასვენებამ უნგრეთთან მატჩამდე მომიწია. მას მერე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ, ფეხიც აღარ მაწუხებს. სასურველ ფორმაში არ ვარ, თუმცა ვიმედოვნებ, კონდიციების აღდგენას აგვისტომდე მოვასწრებ.

**- უნგრეთის ნაკრებთან მოედანზე მაინც გახვედი...**

- სხვათა შორის, ტრავმის შემდეგ სრული დატვირთვით პირველად სწორედ უნგრეთში ვირბინე. მწვრთნელმაც ცოტა მათამაშა.

**- სლოვაკეთ-უნგრეთთან დაპირისპირებებზე რისი თქმა შეგიძლია?**

- იმ შეხვედრების მიხედვით თამამი დასკვნების გამოტანა ძნელია. სლოვაკეთთან და უნგრეთთან მატჩებს საცდელი ხასიათი ჰქონდა - მწვრთნელებმა ყველა კალათბურთელს მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. სლოვაკებთან გუნდში 16 კალათბურთელი ვიყავით, მწვრთნელმა მხოლოდ ორი კალათბურთელი დაასვენა, დანარჩენებმა ითამაშეს.

**- კარს მოგადგათ თბილისის საერთაშორისო ტურნირი...**

- ვფიქრობ, ამ შეჯიბრებასაც იგივე დატვირთვა ექნება, რაც წინა ორ საკონტროლო მატჩს - ტურნირი ფორმაში შესასვლელად უნდა გამოვიყენოთ. გიორგი ცინცაძესაც ტრავმა ჰქონდა, კოჭი აწუხებდა. სლოვაკეთთან ამიტომ არ ითამაშა. გიორგიც მომჯობინდა და თბილისურ ტურნირში მონაწილეობასაც მიიღებს. ვეცდებით, ყველა მატჩი მოვიგოთ. რა გამოგვივა, მალე ვნახავთ.

**- შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეების ამხანაგურ მატჩებს თუ ადევნებთ თვალს?**

- რა თქმა უნდა. ბელგია, ბულგარეთი და პოლონეთი თამაშს-თამაშზე იგებენ. პორტუგალია ფინეთთან ორჯერ დამარცხდა, თუმცა ბოლო შეხვედრაში ისრაელს აჯობა. ასე რომ, აგვისტოში ურთულესი შეხვედრები გველის, რისთვისაც ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ.

**- ფინელებმა თქვეს, პორტუგალიელებმა ძალიან უხეშად ითამაშესო. იოლი წარმოსადგენია, ოფიციალურ მატჩებში რას იზამენ...**

- მთავარია, ჩვენი თამაში ვუჩვენოთ და მეტოქეებზე დამოკიდებულები არ ვიყოთ.

**- ბოლოს საკლუბო თემაზე გკითხავ...**

- შარშან გაფორმებული კონტრაქტის მიხედვით ბოლონიის „ვირტუსთან" კიდევ ერთი წელი მაკავშირებს. მომავალ სეზონსაც ამ გუნდში გავატარებ.

**- „სან ანტონიოდან" ამ ზაფხულს არ შეგხმიანებიან?**

- დამიკავშირდნენ და ამერიკის საზაფხულო ლიგებზე თამაში შემომთავაზეს. არ წავედი, რადგან საქართველოს ნაკრებთან ერთად შესარჩევი ტურნირისთვის ვემზადები.

ვაჟა სიმონიშვილი

## არის თუ არა ეს ბილეთი?!

23 ივლისიდან თბილისი საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომლის კალენდარს ამავე გვერდზე იხილავთ. ბილეთების გაყიდვა სპორტის სასახლის ჯიხურებში გუშინ 11 საათიდან დაიწყო. ფასი 5-10 ლარი იქნება.

გულშემატკივარს, ცხადია, ოფიციალური მატჩების ბილეთების საკითხიც აინტერესებს: აგვისტოში თბილისში გასამართი ოთხი შეხვედრის ბილეთების გაყიდვა 29 ივლისიდან დაიწყება. შეგახსენებთ, რომ 2 აგვისტოს პოლონეთს ვუმასპინძლებთ, 11 აგვისტოს - პორტუგალიას, 20 აგვისტოს — ბელგიას, ხოლო 29 აგვისტოს - ბულგარეთს.

შესარჩევი ტურნირის ბილეთები 10-15 ლარი ეღირება. მსურველებს ერთდროულად ოთხივე შეხვედრის ბილეთების შეძენაც შეეძლებათ.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები.
B დივიზიონი. მეცამეტე-მეჩვიდმეტე ადგილები

# ბელარუსი მოვხსენით

G ჯგუფი. 21 ივლისი

საქართველო-ბელარუსი 72:62

18:20, 18:17, 18:16, 18:9

საქართველო: ბაქრაძე (26 წთ, 4ქ, 3მ, 3პ, 2ფ, 5შ), ჩიკვილაძე (30 წთ, 10ქ, 5მ, 3პ, 2ჩ, 3ფ, 3შ), ხმელიძე (10 წთ, 4ქ, 1მ, 2ფ), კვეტენაძე (18 წთ, 4ქ, 1მ, 1ჩ, 2ფ, 3შ), შარაბიძე (36 წთ, 13ქ, 11მ, 2ჩ, 2დ, 4ფ, 3შ); ლომოური (15 წთ, 6ქ, 2მ, 2ჩ, 2ფ, 1შ), ნანიტაშვილი (13 წთ, 3ქ, 2მ, 1ჩ, 1შ), დვალიშვილი (26 წთ, 18ქ, 12მ, 4ჩ, 4დ, 4შ), ჩაჩანიძე (9 წთ, 7ქ, 1მ, 2ფ, 1შ), მაჭავარიანი (16 წთ, 3ქ, 1მ, 1პ, 1ჩ, 1შ), ბექაური (2 წთ, 1ფ).

ბელარუსი: ცივინსკი (2ქ), სალაუოუ (9ქ), კრისევიჩი (4ქ, 8მ), პანჩარონაკი (6ქ), დაბრავოლსკი (6ქ), იპნატჩიკი (12ქ, 8მ), რუმიენცევი (9ქ), კურაპაუ (2ქ), კაჩანი (2ქ), აუსეპიანი (10ქ).

მსაჯები: ი. სარეკოსკი (ფინეთი), ჩ. ზიფრა (უნგრეთი), ჯ. პამერვოლი (ნორვეგია).

20 ივლისი: შვეიცარია-რუმინეთი 62:88, ბელარუსი-დანია 70:71

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ბელარუსი | 3 | 1 | 2 | 4 |
| 2. რუმინეთი | 2 | 1 | 1 | 3 |
| 3. საქართველო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 4. დანია | 1 | 1 | 0 | 2 |
| 5. შვეიცარია | 1 | 0 | 1 | 1 |

** ბელარუსი და რუმინეთი პირველ ეტაპზე ერთ ჯგუფში იყვნენ. მათ შორის გამართული შეხვედრის შედეგი (66:60 ბელარუსის სასარგებლოდ) ავტომატურად გადავიდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე.*

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა საკლასიფიკაციო ტურნირის პირველ მატჩშიც დაამტკიცა, რომ ურიგო გუნდი არ არის. კალათბურთელები დანანებით იხსენებენ უნგრეთთან შეხვედრას, რომელშიც ბოლო წუთებზე დამარცხდნენ, უნგრელებს ერთი-ორი მატჩის შემდეგ რომ შევხვედროდით, უთუოდ ვაჯობებდითო. საქმე ისაა, რომ ჯგუფის ერთ-ერთ ყველაზე სუსტ გუნდს, უნგრეთს საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები გახსნის მატჩში შეხვდა. მეტოქეს ქართველებზე მეტი საკონტროლო შეხვედრა ჰქონდა ჩატარებული და სათამაშო პრაქტიკის ხარჯზე გაიმარჯვა. მეორე შეხვედრაში ქართველები უკეთესად გაისარჯნენ, ნელ-ნელა სათამაშო პრაქტიკაც შეიძინეს და, როგორც შეკრულ-ათამაშებულ გუნდებს ახასიათებთ, ბოლო წუთებზე მოწინააღმდეგეებს აშკარად სჯობნიან. ასე მოხდა შვედეთთანაც და გუშინ, ბელარუსთანაც. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 19 ივლისს ახალგაზრდებს **თორნიკე შენგელია** გამოაკლდათ, რომელიც ეროვნულ ნაკრებთან ერთად ემზადება.

ბელარუსთან მატჩი საინტერესო სცენარით წარიმართა: თავიდან „თეთრი რუსები" დაწინაურდნენ - 10:4. თუმცა სათადარიგოთა სკამიდან მატჩში ჩართულმა **აკაკი დვალიშვილმა** პირველი მეოთხედის ბოლოს ანგარიში გაათანაბრა (18:18)... ათწუთეული მაინც ბელარუსმა მოიგო - 20:18.

მეორე მეოთხედის საწყისი 4 წუთი **ლომოური-ჩიკვილაძის** ბენეფისად იქცა. მათი წყალობით ქართველებმა 11:0 სპურტი მოაწყვეს... თუმცა მალევე მოდუნდნენ და ბელარუსების პასუხმაც არ დააყოვნა - 0:10.

მესამე პერიოდში ანგარიში აიწონადაიწონას პრინციპით მერყეობდა, თუმცა ბოლო წუთზე **გივი ბაქრაძის** პასით აკაკი დვალიშვილმა ჯარიმიანი ორქულიანი ჩააგდო და ბოლო რაუნდის წინ თანაგუნდელები წინ გაიყვანა - 54:53. პირველი ტაიმის ორ მეოთხედში ბოლო შეტევას ბელარუსები აგვირგვინებდნენ და მეოთხედებსაც ისინი იგებდნენ. მესამე ათწუთეულის ბოლოს ქართველთა წინ გაჭრა კარგის მანიშნებელი აღმოჩნდა.

მეოთხე პერიოდის საწყის წუთებზე **რევაზ ჩაჩანიძის** ორქულიანს **გიგა კვეტენაძემ** ასევე ორიანი მიაყოლა, ამას მოჰყვა **გიორგი ნანიტაშვილის** სამქულიანი და - 61:53.

დარჩენილ 7 წუთში ბელარუსმა კი გაიბრძოლა, მაგრამ, როგორც გითხარით, ათამაშებულ ქართველებს შეტევაშიც ყველაფერი გამოსდიოდათ და დაცვაშიც. **მიხეილ ბერუაშვილის** შეგირდებმა მეტოქეს არც ფარი დაუთმეს და არც პერიმეტრი.

- ბელარუსის ნაკრებში კარგი, ტანმაღალი ბიჭები თამაშობენ, მაგრამ მათ *ფარქვეშ აშკარად ვაჯობეთ*, - გვითხრა ნამატჩევს გიგა კვეტენაძემ და იქვე დასძინა - *დასანანია, რომ პირველ ჯგუფურ ეტაპზე ბოლო ადგილზე გავედით. დღევანდელი გადასახედიდან ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაც შეიძლებოდა... სისწრაფე უკვე ავკრიფეთ და შეჯიბრების ბოლომდე ნაგებას არ ვაპირებთ.*

ფარქვეშ ბელარუსები აკაკი დვალიშვილმა და **გიორგი შარაბიძემ** დაჩაგრეს. პირველმა 18 ქულა (8-დან 6 ორქულიანი, 6-დან 6 საჯარიმო), 12 მოხსნა და 4-4 ჩაჭრა-დაფარება მიითვალა, ხოლო შარაბიძემ - 13 ქულა, 11 მოხსნა და 2-2 ჩაჭრა-დაფარება.

საბოლოოდ, ქართველებმა მოხსნებში 45:29 იმარჯვეს.

ჩვენი ნაკრები მომდევნო მატჩს დღეს, 20 საათზე ჩაატარებს, შვეიცარიელ თანატოლებს დაუპირისპირდება.

ვაჟა სიმონიშვილი

U16. ამხანაგური მატჩი

# უკრაინას კადეტებიც ვერ შეწვდნენ

20 ივლისი. კიევი

უკრაინა-საქართველო 72:60

22:15, 13:14, 21:14, 16:17

საქართველო: ბურჯანაძე (23ქ, 8მ), მიქელაძე (15ქ, 10პ), ცირეკიძე (5ქ, 6მ), კვანტალიანი (5ქ), რამიშვილი (5ქ), ნადირაძე (2ქ), ლოლიშვილი (2ქ), გრძელიძე (2ქ), ანანიაშვილი

არ უთამაშიათ: გოგბაიძე, ცხაკაია

ქართულ კალათბურთში უკრაინის კვირეულია, უფრო სწორად, ორკვირეული: 16-18 ივლისს უკრაინელებს 18-წლამდელებმა უმასპინძლეს, 20 ივლისს კიევში კადეტთა ნაკრებმა ითამაშა, ხოლო 25-ში თბილისში საქართველოსა და უკრაინის ეროვნული ნაკრებები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

18-წლამდელებმა სამივე საკონტროლო მატჩი წააგეს. შედარებით უკეთ ითამაშეს კადეტებმა, თუმცა კიევში მარცხს მაინც ვერ გადაურჩნენ. მატჩის ბედი ბოლო წუთებზე გადაწყდა: სირენამდე 3 წუთით ადრე უკრაინელი 16-წლამდელები 3 ქულით იგებდნენ და ამ სამწუთეულში ქართველებმა თამაშის შემოტრიალება ვერ მოახერხეს.

შეხვედრის მსვლელობაზე უფრო დეტალურად მთავარი მწვრთნელი, **გია კაზანჯიანი** მოგვითხრობს:

- შეხვედრა დაძაბული იყო და გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თავიდან ჩამოვრჩით, თუმცა მეორე მეოთხედში უკრაინელებს წამოვეწიეთ. ბოლო პერიოდში თანაბარი თამაში გაჩაღდა, თუმცა ბოლოს საბოლოო გამარჯვება მეტოქეს დარჩა. ამის ერთ-ერთი მიზეზი საჯარიმოების რეალიზების დაბალი პროცენტული მაჩვენებელი იყო: 28 ცდიდან მხოლოდ 15 ჩავაგდეთ. ამასთან, **ნიკა რამიშვილს** და **ლევან ლოლიშვილს** არაერთი შორეული ტყორცნა გაუცუდდათ. პირველმა 6-დან 1 ჩააგდო, ხოლო მეორემ ხუთივე სამქულიანი ააცილა. უკრაინა ჩვენი დონის გუნდია. ისინი A დივიზიონიდან შარშან გავარდნენ. ჩვენი ნაკრები ნამგზავრი, გადაღლილი იყო და დარწმუნებული ვარ, მომდევნო მატჩში უკეთ ვითამაშებთ.

ვაჟა სიმონიშვილი




ჩოგბურთი

# დოლიძემ მეორე ბარიერიც გადალახა

ჩეხურ პლზენსა და მოსკოვში გრძელდება 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა ევროპის პირველობები. როგორც გაუწყეთ, პირველი წრის შემდეგ ჩვენებურები მედლებისთვის მებრძოლთა რიგებს მხოლოდ 16-წლიანებში შემორჩნენ. გუშინ **ნიკა დოლიძემ** ვაჟთა ტურნირის დაძაბულ პაექრობაში **ივან დივკოვიჩს** (ბოსნია-ჰერცეგოვინა) სძლია 6:4, 4:6, 7:6 და დღეს მე-4 წრეში მე-4 ნომრად განთესილ პორტუგალიელს — **ფრედერიკო ფერეირა სილვას** დაუპირისპირდება.

ამ ასაკში **ბარბარე ერისთავისა** და **ანი გოგვაძის** წყვილმა, სამწუხაროდ, მეორე ბარიერი ვერ გადალახა. თბილისელთა დუეტი ლატვიელებთან - **მადარა სტრაუმესა** და **ქსენია ტიხომიროვასთან** 3:6, 0:6 დამარცხდა.

ასპარეზობის პირველი დღე უიღბლო გამოდგა ვაჟებში მე-12 ნომრად განთესილ **მიხეილ ხმიადაშვილისთვის**, რომელმაც რუს მეტოქესთან წააგო. გუშინ იგი დამამშვიდებელ ჯგუფში (კონსოლეიშენი) ჩაერთო და ლატვიელ **ლაპინს კრისტაპსთან** არკვევდა ურთიერთობას. ორთაბრძოლა ქართველი ჩოგბურთელის გამარჯვებით დამთავრდა — 7:6, 6:3.

ერთეულთა თანრიგში მთავარ ტურნირზე განცდილი მარცხის შემდეგ **ანი გოგვაძე** და **ბარბარე ერისთავი** დამამშვიდებელში, შესაბამისად, ჩეხ **ტერეზა სმიტკოვასა** და ხორვატ **ნედა კოპრჩინას** შეხვდებიან.

ჩეხეთში ასპარეზობის მეორე დღეც წარუმატებელი გამოდგა თოთხმეტწლიანებისთვის. დამამშვიდებელში **ლიზა ნადიბაიძემ** სამ სეტში წააგო **ულრიკე ჰოეიერთან** (დანია) — 1:6, 6:1, 7:10, **ირინე ყარანგოზიშვილი** კი ბერძენ **ანგელიკი კაირისთან** დამარცხდა — 4:6, 3:6, შედარებით უკეთ ითამაშეს ბიჭებმა. მათ ერთი წრის გავლა მაინც მოახერხეს. **ალექსანდრე ბაკშიმ** **მირჩა რესულოვიჩს** (ბოსნია-ჰერცეგოვინა) აჯობა — 6:2, 3:6, 10:4, თუმცა, მერე სლოვენიელ **მაქს თეკავიჩს**, ფაქტობრივად, უბრძოლველად დანებდა — 1:6, 0:6. **შოთა მეფარიძემ** ამავე ჯგუფში დაძაბული პაექრობის შემდეგ ჩამოიცილა გზიდან ნორვეგიელი **ფრედერიკ შეფერი** — 7:6, 6:3. მეორე წრეში კი ბოსნია-ჰერცეგოვინელ **აზიზ კიჯამეტოვიჩთან** ორ სეტში ისე დატოვა კორტი, რომ მხოლოდ ერთი გეიმის მოგება შეძლო - 1:6, 0:6.

ვაჟა დანელია

# არც თამაში, აღარც ქცევა?

უკრაინის ქალაქ ხარკოვის თიხნარის კორტებზე დაიწყო 25-ათასიანი ტურნირი, სადაც სამი ქართველი ჩოგბურთელია ძირითად ბადეში. **სოფიო შაფათავა** მე-3 ნომრად განთესეს, მაგრამ მისი თამაში ფავორიტის გარჯას არაფრით ჰგავდა - შაფათავამ ორ სეტში წააგო რუს **კარინა პიმკინასთან** - 3:6, 1:6. შემდეგ ტურნირში მე-8 ნომრად განთესილი **თათია მიქაძე** ჩაება. თათიამ რუს **ტატიანა კოტელნიკოვას** სამ სეტში მოუგო - 6:4, 3:6, 6:1. **ეკა გორგოძის** მეტოქე კი პირველ ნომრად განთესილი სლოვაკი **კრისტინა კუჩოვა** იყო. თამაშმა გამოაჩინა, რომ გორგოძეს გამარჯვების შანსი არ ჰქონდა - 1:6, 2:6. მაგრამ თქვენი ყურადღება გვინდა გავამახვილოთ სხვა დეტალზე. ინებეთ უკრაინული საიტის რეცენზია ამ მატჩზე: *„ტურნირის რეიტინგულმა ფავორიტმა სლოვაკმა კრისტინა კუჩოვამ იოლად მოუგო ქართველ ეკა გორგოძეს. გორგოძე კორტზე საშინელი ქცევით გამოირჩა. იმედია, მისი გამოცდილი დამრიგებელი ირაკლი ლაბაძე აქედან სწორ დასკვნას გამოიტანს. გორგოძე ხშირად უმიზეზოდ ესვრდა ბურთის კვალს თიხნარზე, აპროტესტებდა ყველაფერს, ჰქონდა ნერვული შეტევები. ამან ძალზე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, მით უფრო, რომ გორგოძეს არც თამაშით გამოუჩენია თავი".*

თათია მიქაძემ კი მეორე რაუნდშიც გაგვახარა და უკრაინელ **ანასტასია ლიტოვჩენკოს** ძალზე იოლად აჯობა - 6:1, 6:0. მეოთხედფინალში მიქაძე ფრანგ **ალიზ ლიმს** შეხვდება, რომელმაც მოულოდნელად მერვედფინალში კუჩოვას აჯობა - 6:4, 7:6 (4). თათია მიქაძისა და სოფიო შაფათავას წყვილი ბადეში პირველ ნომრად არის განთესილი.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ლელო წარმოგიდგენთ
# ქართული სპორტის ქრონიკები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოკუმენტი არქივიდან

# თამაზ კვაჭანტირაძის სიტყვა სეოკ-ის დამფუძნებელ კრილობაზე



*საგამომცემლო სახლ „კვირის პალიტრასთან" გაერთიანების შემდეგ, „ლელოს" მრავალწლიანი არქივის მოწესრიგების შესაძლებლობაც მოგვეცა. სწორედ ამ პროცესში მივაკვლიეთ მეტად მნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომელიც ძვირფასია არა მხოლოდ ჩვენი გაზეთის, არამედ საერთოდ საქართველოს ოლიმპიური მოძრაობისთვის. შეგახსენებთ, რომ 1989 წელს სსრ კავშირის სპორტული სტრუქტურიდან გამოყოფისა და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის პირველი ნაბიჯები „ლელოს" თაოსნობით გადაიდგა. რედაქციაში ტარდებოდა ჯერ საინიციატივო ჯგუფის, მერე საორგანიზაციო კომიტეტის სხდომები, დაფუძნების შემდეგაც ერთხანს სეოკ-მა „ლელოს" კედლებში იმუშავა.*

*სწორედ პირველი ნაბიჯებიდან სეოკ-ის დაფუძნების ჩათვლით გაწეული ყოველდღიური საქმიანობაა ასახული ზემოხსენებულ მიკვლეულ დოკუმენტებში. ამიერიდან „ქრონიკებში" რამდენიმე მნიშვნელოვან ასეთ საბუთზე გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.*

*დღეს გთავაზობთ 1989 წლის 6 ოქტომბერს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართულ სეოკ-ის დამფუძნებელ ყრილობაზე ცნობილი ფილოლოგის, პროფესორ **თამაზ კვაჭანტირაძის** გამოსვლის სტენოგრაფიულ ჩანაწერს.*

„**თ. კვაჭანტირაძე:** ქალბატონებო და ბატონებო! სიჯანსაღე ალბათ თვისებაც არის, ისე როგორც პირუკუ - თვისება სიჯანსაღეცაა. ეს ორი ცნება გადანასკვულია მხოლოდ ამ გზით და არა იმ აზრით, რითაც ცდილობენ რასპუტინი და კომპანია ჩვენს დაავადებას. ჩვენს ერს აკლდა თავისუფლება და სიჯანსალე, თუმცა ვფიქრობ, ჩვენ ერთ-ერთი უჯანმრთელესი ერი ვართ. ისე, ერთს კი ვიტყვი, მე არ მინდა დისონანსის შეტანა, ამის მიღმა პრობლემებიც ბევრია, ზოგჯერ ისეთ პოზიციაში ვიყავით, რომ ერთ სულ მოსახლეზე ბევრი რამ ჭირდა, ექიმს ვერ ვიტყვი, ეს სხვა სფეროა. დღეს რომ სპორტული საზოგადოება მძიმე დღეშია, ესეც სათქმელია, მაგრამ ახალმა იმპულსმა ახალი რწმენა მოგვცა – იქმნება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. სპორტი არის მოდელი გამარჯვებისა, ის, რომ, რაც კი მსოფლიოში უსამართლობაა, უნდა დაიძლიოს და მისგან არათანაბარი დამოკიდებულებაც უნდა გასწორდეს. თქვენ იცით, „ვეფხისტყაოსანში" თამამი ყმა თავის პატრონს რასეუბნება, აი, ბურთი და მოედანი და შევეჯიბროთო. ეს არის სპორტის თანასწორობა, რომელიც დაირღვა. როცა დემოკრატიზმი არსად ჭაჭანებდა, სპორტი იყო ის მოედანი, სადაც ადამიანს შეეძლო თავისი შესაძლებლობა გამოეჩინა.

ეს მომენტი იძლევა იმის მიზეზს, რომ ოლიმპიური თავისუფლება, რომელიც შემადგენელი ნაწილია ჩვენი საერთო თავისუფლებისა, ერთმანეთს განაპირობებენ. ჩვენ რომ ასე დავსვათ საკითხი, ჯერ გავთავისუფლდეთ და შემდეგ გავჯანსაღდეთ, არ იქნება სწორი. გაჯანსაღება გვჭირდება თავისუფლებისთვის, ისინი ერთიანობაში უნდა წარმოვადგინოთ და ვერაფერს დავუცდით. უკვე ჩამოყალიბებულია საფუძველი ოლიმპიური სუვერენიტეტისთვის და ამ გზაზე ეროვნულ, პოლიტიკურ სუვერენიტეტს ხელს შეუწყობს ოლიმპიური კომიტეტი. ცრემლი და კურცხალი მარტო უბედურების დროს არ გვდის, ბედნიერებამაც იცის ცრემლი და კურცხალი. მინახავს ბედნიერების ცრემლი და ღმერთმა გვანახვოს ბედნიერების ცრემლი ოლიმპიური სტადიონის ცის თაღზე საქართველოს ეროვნული დროშის აზიდვის დროს, რათა იხაროს ჩვენმა სრულიად ერთიანმა საქართველომ (ტაში)."

## თარიღი 22-28 ივლისი

**23.07. 1956 წ.** დაიბადა **თენგიზ სულაქველიძე** — ფეხბურთი.
**23.07. 1954 წ.** დაიბადა **ვახტანგ ბლაგიძე** — ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.
**24.07. 1984 წ.** ვილნიუსის „ჟალგირისთან" მატჩში რამაზ შენგელიამ გაიტანა დინამოელთა მე-2000 გოლი სსრ კავშირის ჩემპიონატებში.
**24.07. 1937 წ.** თბილისის დინამოელთა პირველი საერთაშორისო მატჩი ბასკების ნაკრებთან და პირველი რეპორტაჟი საქართველოს რადიოთი.
**25.07. 1992 წ.** ბარსელონაში გაიხსნა ზაფხულის XXV ოლიმპიური თამაშები.
**26.07. 1936 წ.** თბილისის „დინამოს" პირველი მატჩი სსრ კავშირის თასზე.
**27.07. 1970 წ.** დაიბადა **ლევან აბრამიშვილი** — სამთო თხილამურები.
**27.07. 1991 წ.** დაფუძნდა საქართველოს ნიჩბოსნობის და კანოეს ეროვნული ფედერაცია.
**27.07. 1964 წ.** დაიბადა **ავთანდილ გოგოლიშვილი** — თავისუფალი ჭიდაობა.
**27.097. 1947 წ.** დაიბადა **გივი ონაშვილი** — ძიუდო.
**28.07. 1984 წ.** ლოს-ანჯელესში გაიხსნა ზაფხულის XXIII ოლიმპიური თამაშები. სსრ კავშირი არ მონაწილეობდა.
**28.07. 1954 წ.** დაიბადა **თამაზ იმნაიშვილი** — სასტენდო სროლა.

## შეხვედრა წარსულთან






## პირველი, პირველმა, პირველად...

**პირველი** პრიზიორები მსოფლიო ფესტივალების ისტორიაში იყვნენ თბილისელი მოფარიკავეები **გიორგი გოგელია** და **იური ოსიპოვი**. 1957 წელს მოსკოვში გამართულ მსოფლიო ფესტივალზე გოგი გოგელიამ ხმალში, იური ოსიპოვმა კი რაპირაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში.

**პირველმა** საქართველოში მარათონული დისტანცია გაცურა მეზღვაურმა **მემედ ბედიამ**. 1890-იან წლებში მან მარტომ, ყოველგვარი დახმარების გარეშე ცურვით დაფარა დაახლოებით 60 კმ ბათუმიდან ფოთამდე.

**პირველად** თხილამურებით რბენასა და მთიდან სწრაფდაშვებაში საქართველოში შეჯიბრება ჩატარდა 1934 წლის თებერვალში ბაკურიანში.

## იყო ასეთი შემთხვევა...

# ძალოსნის ბოტასი

რუბრიკაში „იყო ასეთი შემთხვევა", ჩვეულებრივ, ძველ ამბებს ვიხსენებთ, დღეს კი ერთ ახალ ფაქტზე გიამბობთ, რომელიც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველ ვიცე-პრეზიდენტ **რამაზ გოგლიძისგან** შევიტყვეთ.

ჩვენმა სპორტულმა სამყარომ უკვე გაიცნო ნიჭიერი ახალგაზრდა ძალოსანი **ლაშა ტალახაძე**. იგი წარმატებით გამოდის საერთაშორისო ფიცარნაგზეც, მაგრამ თურმე პრობლემა გახდა მისი ზომის სპორტული ფეხსაცმელი. არც 48, არც 49 ნომერიც არ მოერგო. უფრო დიდი ზომის ვერ იშოვეს. ამ პრობლემაზე საუბარს ამას წინათ ჩვენს ოლიმპიურ კომიტეტში სტუმრად მყოფი სან-მარინოს ეოკ-ის პრეზიდენტი შესწრებია. რამდენიმე დღეში სეოკ-ში ამანათი მიიღეს, რომელშიც საოცნებო, ტალახაძისთვის საგანგებოდ შეკერილი 50 ნომერი ბოტასი იყო. სან-მარინოს ეოკ-ი თურმე „ადიდასთან" თანამშრომლობს და პრობლემაც საგანგებო დაკვეთით ადვილად მოგვარებულა.

დავძენთ, რომ საქართველოსა და სან-მარინოს ეოკ-ები მალე ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებას გააფორმებენ სან-მარინოში.




რამაზ გოგლიძე და ლაშა ტალახაძე

## თქვენთვის, ერუდიტებო — ვიქტორინა

1. თბილისის „დინამომ" 1989 წლის 11 ნოემბერს ბოლო მატჩი ჩაატარა საბჭოურ საფეხბურთო სივრცეში. ვისთან?
ა – მოსკოვის „დინამოსთან"
ბ – კიევის „დინამოსთან"
გ – ერევნის „არარატთან".

2. ქართველი ალპინისტებიდან ვინ ავიდა პირველი მწვერვალ ჯომოლუნგმაზე?
ა – მიხეილ ხერგიანი
ბ – გია თორთლაძე
გ – რომან გიუტაშვილი

3. საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა 2002 წელს მსოფლიო თასის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ვისთან მოიგო საგზურის გადამწყვეტი მატჩი?
ა – რუმინეთთან
ბ – რუსეთთან
გ – სამხრეთ აფრიკასთან

4. გიორგი კანდელაკი საქართველოდან მსოფლიოს პირველი ჩემპიონია სამოყვარულო კრივში. რომელ წელს მოიპოვა ეს ტიტული?
ა – 1997 წელს
ბ – 1998 წელს
გ – 1999 წელს

5. ვინ იყო სამხტომში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის ვიქტორ სანეევის მწვრთნელი?
ა – ბორის დიაჩკოვი
ბ – დიმიტრი იოსელიანი
გ – აკოფ კერსელიანი

პასუხები: 1-ბ, 2-გ, 3-ბ, 4-ა, 5-გ.

## ფოტომატიანე



1934 წელი. თბილისის კალათბურთელთა გუნდი. მარცხნიდან: ვ. მდივანი, გ. ავალიშვილი, შ. ყიასაშვილი, ა. წერეთელი, ლ. ფალავანდიშვილი, რ. მდივანი, ვ. ციციშვილი, ხ. ოგანეზოვი

# ველომრბოლი, მოჭიდავე და პოპულარული მომღერალი

ველოტრეკი თბილისში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 90-იან წლებში არსებობდა ყოფილი დიდი მთავრის, ამჟამად უზნაძის ქუჩაზე. პირველი შეჯიბრება აქ 1893 წელს გამართულა. მეორე დღეს გაზეთები წერდნენ: *„ტრეკზე ერთმანეთს შეხვდნენ მოყვარულთა წრის წევრები. ყველას აჯობა სამხედრო ინჟინერმა თავადმა ჯორჯაძემ, რომელსაც თავის დროზე საკმაოდ დიდი თანხა გაუღია სტადიონის მშენებლობისთვის".*

1908 წელს ჩვენს ქალაქს ეწვია ოდესელი ველოსიპედისტი, მსოფლიოს ჩემპიონი **სერგეი უტოჩკინი**, ცნობილი რუსი მწერლის **ალექსანდრ კუპრინის** უახლოესი მეგობარი, კარგი მოკრივე, მოციგურავე და ავტომობილისტი, რუსული ავიაციის პიონერი, პირველი მფრინავი და გამომცდელი. თბილისში იმ დროს ბევრი მაღალი კლასის ველოსიპედისტი ყოფილა, მაგრამ მათში ყველაზე ტიტულიან და გამორჩეულ სპორტსმენად მიჩნეული იყო **ლადო კავსაძე** — „დაუმარცხებელი ჩემპიონი", კარგი მოჭიდავე და შემდგომში პოპულარული მომღერალი.

კავსაძისა და უდოჩკინის შეხვედრა ქართველმა ველოსიპედისტმა მოიგო. მანვე დაიმსახურა ჟიურის მთავარი პრიზი — 300 მანეთი. უტოჩკინი ამ დამარცხებით არ ჯანაწყენებულია. პირიქით, გულწრფელად დააფასა მეტოქის მაღალი ოსტატობა და საგასტროლო ტურნეში მიიწვია იგი. კავსაძემ და უტოჩკინმა ერთად იმოგზაურეს ოდესაში, ტულაში, ხარკოვში, მოსკოვსა და პეტერბურგში. კავსაძემ ამ ქალაქებში მოჭიდავეთა ტურნირებშიც სცადა ძალა და ალაფრთოვანა მაყურებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლევან მაისაშვილთან

# თასი ჩვენია, მიზანი ისევ დუბლია

თბილისის „ლელომ" შარშანდელი დუბლის შემდეგ წლეულს კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია - საქართველოს თასს ზედიზედ მესამედ დაეუფლა. შედარებით უარესად აქვთ საქმე ლელოელებს ეროვნულ ჩემპიონატში. 28-მატჩიანი წაუგებელი სერიის შემდეგ ლევან მაისაშვილის ბიჭებმა ზედიზედ ორჯერ უშუალო კონკურენტებთან, ქუთაისის „აიასთან" და თბილისის „ვისოლი\ყოჩებთან" წააგეს.

**აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო კლუბის მოთამაშეები თითქმის ყველა ნაკრებში (ეროვნული, A ნაკრები, შვიდკაცა რაგბისა და ასაკობრივი ნაკრებები) უხვად არიან წარმოდგენილნი. დღესდღეობით საქართველოს მოქმედი ჩემპიონი და თასის მფლობელი ეროვნული ჩემპიონატის, პირველი წრის შემდეგ მესამე ადგილზე იმყოფება და ლიდერ „აიას" ორი ქულით ჩამორჩება. მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის შეფასება და სამომავლო გეგმებზე საუბარი „ლელოს" მთავარ მწვრთნელს ლევან მაისაშვილს ვთხოვეთ.**



ლევან მაისაშვილი
ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

**- რაც უნდა იყოს, „ლელოსთვის" მესამე ადგილზე ყოფნა უკვე წარუმატებლობად ითვლება. მდგომარეობის გამოსასწორებლად, ალბათ, რამეს ილონებდით...**

- ჩემპიონატში განცდილი ორი მარცხი, გარკვეულწილად, ალბათ, სასარგებლოც იყო მორაგბეებისთვის. ისინი გამოფხიზლდნენ და დაინახეს, რომ იოლად არავინ არაფერს დაუთმობს. შესაბამისად, საქმისადმი დამოკიდებულება თვითონვე შეცვალეს. თან არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ რამდენიმე თამაში სრულიად გადახალისებული შემადგენლობით ვითამაშეთ, რის გამოც ტაქტიკის, თამაშის მანერის შეცვლამ მოგვიწია. ეს კი ძალიან ბევრ სირთულესთანაა დაკავშირებული, რასაც, ვფიქრობ, ბიჭებმა მეტ-ნაკლებად თავი გაართვეს.

პროგრამა-მინიმუმი შევასრულეთ, მესამე ადგილზე ვართ და ლიდერს ორი ქულით ჩამოვრჩებით. წინ კიდევ მთელი მეორე წრეა.

**- „ლელომ" საქართველოს თასი**

**- „ლელომ" საქართველოს ჩემპიონატის პირველ წრეში ორი მატჩი წააგო და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. გუნდი პოზიციებს ხომ არ თმობს?**

- ძალიან ძნელია, ლიდერობა დიდხანს შეინარჩუნო. არადა, ისედაც საკმაო ხანს ვლიდერობდით. ზედიზედ 28 მატჩი გვქონდა მოგებული. როდესმე ხომ უნდა წაგვეგო. ცხადია, მარცხი არ გვინდოდა, მაგრამ ობიექტურად დგება მომენტი, როცა ეს გარდაუვალია. გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა. წლეულს ტრავმებმა, როგორც არასდროს, ისე გვაზარალა.

ამას ისიც დაერთო, რომ მოსამზადებელი პერიოდი გუნდს ერთად თითქმის არ გაუვლია. ზოგი ეროვნულ ნაკრებში იყო გამოძახებული, ზოგიც A და შვიდკაცა ნაკრებებს ეხმარებოდა. მერე ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა გაათკეცე-

**წლეულს ზედიზედ მესამედ მოიპოვა...**

- თასის გათამაშებას ძალზედ სერიოზულად მივუდექით. ის ორი წელიწადი ჩვენს მფლობელობაში იყო და ახლა მესამედაც მოვიპოვეთ. თან წლეულს ახალი თასი თამაშდებოდა და ძალიან გვინდოდა, პირველად ჩვენ აღგვემართა.

საინტერესო შეჯიბრება გამოდგა. სხვებისგან განსხვავებით, ძალიან რთულ ბადეში მოვხვდით. პირველი მატჩი პირველი ლიგის ლიდერ გორის „თსუ\ლომებთან" გვქონდა, რომელიც ბევრ უმაღლესლიგელსაც სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. კარგი გუნდია და მათი დამარცხება ძალიან გაგვიჭირდა.

შემდეგი მეტოქე უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი, თბილისის „არმაზი" იყო, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფში მოხვედრის პრეტენზია აქვს. მესამე მეტოქე, ნახევარფინალში ქუთაისის „აიასა" და თბილისის „ვისოლი\ყოჩებს" შორის მეოთხედფინალურ მატჩს უნდა გამოევლინა. ჩემპიონატში ორივე მათგანთან წაგებული გვქონდა და რომელსაც არ უნდა შევხვედროდით, რევანშის ასაღებად ყველაფერს ვილონებდით.

ნახევარფინალში მეტოქედ „აია" გვერგო. ორივე მატჩი შინაც და გარეთაც მოვუგეთ. ფინალშიც, უამრავი პრობლემის მიუხედავად, ვფიქრობ, ღირსეულად ვითამაშეთ და თასი მესამედ დავისაკუთრეთ. ერთი ეგ არის, რომ მისი მოპოვებით, ჩემპიონატისგან განსხვავებით, გუნდი ფინანსურად ვერ ხეირობს. არადა, მესამე წელიწადია, საპრიზო ფონდის დაწესებას გვპირდებიან. იმედია, მომავალ წელს ეს საკითხიც დადებითად გადაწყდება. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ მორაგბეებს ამის გამო ჟინი არ უნელდებათ და საკმაოდ მოტივირებულნი არიან.

ასე რომ, თასი უკვე ჩვენია. მიზანი კი, ისევ დუბლის გახერხებაა.

**- გუნდი რამდენიმე მოთამაშემ დატოვა. სატრანსფერო ფანჯარა საქართველოში გახსნილია და ვის დამატებას აპირებს „ლელო" ჩემპიონატის მეორე წრისთვის?**

- გუნდიდან სამნი წავიდნენ - ლექსო იორდანიშვილი, ირაკლი მირცხულავა და გიორგი მენაბდიშვილი საფრანგეთში გადაბარგდნენ. საფრანგეთშივე, ელიტური, პირველი დივიზიონის „კლერმონში" მიდის ვიქტორ კოლელიშვილი. ტრავმირებულნი არიან და წლეულს გუნდს ვერ დაეხმარებიან ლაშა ხმალაძე და ალექსანდრე თოდუა. საკმაოდ დიდი დანაკლისია. სრულფასოვანი შემცვლელების მოძებნა გაგვიჭირდება.

ჯერჯერობით გადაწყვეტილია, რომ კიევიდან დაგვიბრუნდება მესამეხაზელი დავით დაუშვილი. სხვა დანარჩენ მორაგბეებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს და ჯერ რამის გადაჭრით თქმა არ შეიძლება.

**- „ლელო" ერთ თვეში შავი ზღვის თასის გათამაშებაში ჩაებმება, სადაც მეტოქედ რუმინული და უკრაინული კლუბები ეყოლება. როგორ ემზადებით ამ შეჯიბრებისთვის?**

- ტურნირისთვის მზადებას 7 აგვისტოდან დავიწყებთ. ათდღიან შეკრებას ახალდაბაში გავმართავთ. აქ ძირითადად ფიზიკური კონდიციების ამაღლებაზე ვიმუშავებთ. 17 აგვისტოდან მცხეთაში გადავინაცვლებთ და იქ მზადების ბოლო ეტაპს გავივლით იმ მორაგბეებთან ერთად, ვისაც სხვა კლუბებიდან დავიმატებთ. ესენი არიან: ირაკლი ჩხიკვაძე, გელა შალამბერიძე, ზურა ჟვანია (სამივე-აია), ზვიად მაისურაძე (ლოკომოტივი), კარლენ ასეიშვილი (ვისოლი\ყოჩები), მიხეილ გაჩეჩილაძე (აკადემია). მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ჩვენი კლუბის აღზრდილ ოთარ ბარკალაიასთანაც, რომელიც ამჟამად ანდორაში თამაშობს, გვსურს იგი იჯარით დავიმატოთ. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ, ალბათ, გორის „თსუ\ლომების" მგეზავ ლაშა ბაირამაშვილს ვუხმობთ.

**- რა ინფორმაცია გაქვთ მოწინააღმდეგეების შესახებ?**

- ინფორმაცია ძალიან მწირი გვაქვს. დავით დაუშვილი უკრაინიდან ვიდეოფირებს ჩამოგვიტანს და იქაურ გუნდებზე გარკვეული წარმოდგენის შექმნის საშუალება გვექნება. რუმინულ გუნდებთან დაკავშირებით კი საქმე ბევრად რთულადაა. ვიდეოფირები ვერ მოვიძიეთ. მათზე მხოლოდ სტატისტიკური მონაცემები გვაქვს. ის კი ვიცით, რომ პროფესიული თვალსაზრისით რუმინელები ჩვენზე წინ არიან. თუმცა ვეცდებით, შეჯიბრებისთვის კარგად მოვემზადოთ და გარწმუნებთ, იოლად არაფერს დავთმობთ.

სამი ერი



ბურთით მეთ გიტო

# ავსტრალიას სამი მებრძოლი დაუბრუნდა

ავსტრალიის ნაკრებს, რომელიც შაბათს შინ სამი ერის წლევანდელ გათამაშებაში პირველ შეხვედრას გამართავს „ბოკესთან", რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა. **ბენ რობინსონი, ნათან შარფი** და **ვილი გენია** ავსტრალიელთა ბანაკში ირლანდიის ნაკრებთან ბოლო ტესტის შემდეგ არ გამოჩენილან. სამივე ტრავმირებული იყო, ახლა კი ჯანმრთელად არიან და სამხრეთაფრიკელებთან სათამაშოდ ემზადებიან.

„ვოლაბების" თავკაცმა **რობი დინსმა** საკმაოდ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო. მან **ადამ ეშლი-კუპერი** ფულბეკად გაამწესა, **ჯეიმზ ოკონორი** კი გარემარბად გადაიყვანა.

*„რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, რამდენიმე ძლიერი მოთამაშე რომ დაგვემატა. მით უფრო, რომ „ბოკემ", რომელიც სამი ერის ჩემპიონია, ზედიზედ ორი მატჩი წააგო და შაბათ საღამოს გაშმაგებული შეგვებრძოლება. სამხრეთაფრიკელები ყველაფერს ილონებენ, შინ კარგ გუნებაზე რომ დაბრუნდნენ.*

*ცხადია, „ოლ ბლექსისა" და „ბოკეს" ორივე შეხვედრას თვალს ყურადღებით ვადევნებდით. ნანახით ჩვენი მოთამაშეები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ, რომ უძნელესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ. კარგად გვესმის, რომ ზედიზედ ორი მარცხის მიუხედავად, ჩვენი მეტოქე მსოფლიოს საუკეთესო გუნდია"* - თქვა „ვოლაბების" თავკაცმა რობი დინსმა.

ავსტრალიის ნაკრები: **15. ადამ ეშლი-კუპერი, 14. ჯიმი ოკონორი, 13. რობ ჰორნი, 12. მეთ გიტო, 11. დრიუ მიტჩელი, 10. ქუადე კუპერი, 9. ვილი გენია. 1. ბენ რობინსონი, 2. საია ფაინგაა, 3. სალესი მააფუ, 4. დენ მამი, 5. ნათან შარპი, 6. როკი ელსომი, 7. დევიდ პოკოქი, 8. რიჩარდ ბრაუნი**

*16. სტივენ მური, 17. ჯეიმზ სლიპერი, 18. რობ საიმონსი, 19. მეთ ჰოჯსონი, 20. ლაკ ბარჯესი, 21. ბერიკ ბარნსი, 22. ქართლი ბეილი.*

# დე ფილიერსმა ბოკე გადაახალისა

სამხრეთ აფრიკის ნაკრები შაბათს ბრისბენში სამი ერის გთამაშების მორიგ მატჩში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბოკეს" მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** ახალი ზელანდიის ნაკრებთან ზედიზედ ორი მარცხის შემდეგ რამდენიმე ცვლილება განახორციელა.

ავსტრალიის ნაკრებთან არ ითამაშებენ ცხრა ნომერი **რიკი იანუარი** და მესამეხაზელი **ფრანსუა ლავი**. იანუარის ნაცვლად დე ფილიერსმა ძირითად შემადგენლობაში რუან პინარი დააყენა, რომელიც „ოლ ბლექსთან" ორივე მატჩში სათადარიგოთა შორის იყო. ფრანსუა ლავს კი მესამე ხაზში **რაიან კანკოვსკი** შეცვლის.

ძირითად შემადგენლობაში იქნება გარემარბი **ხიო ეპლონი,** რომელმაც ტრავმირებული **იან დე ფილიერსი** შეცვალა. სათადარიგოთა შორის გამოჩნდნენ პირველხაზელები **ჩილიბოი რელეპელე** და **სი ჯეი ფან დერ ლინდე.**

*„სტატისტიკური მონაცემები გვიჩვენებს, რომ ბრისბენის „სანკორპ სთედიუმის" ბალახის საფარი ზედგამოჭრილია სწრაფი თამაშის მიმდევარი გუნდებისთვის. ამიტომ სწორედ ასეთი თამაშისთვის უნდა მოვემზადოთ. ორი უძნელესი მატჩი ახალი ზელანდიის ნაკრებთან უკვე ისტორიის საკუთრებაა და ახლა ყველანაირად ვცდილობთ, ჩვენი პოტენციალის სრული გამოყენებით წარმატებას მივაღწიოთ"* - თქვა პრესკონფერენციაზე სამხრეთ აფრიკის ნაკრების მწვრთნელმა პიტერ დე ფილიერსმა

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეიცვალა მატჩის არბიტრი, რაც „ბოკეს" თავკაცს არაფრით ესიამოვნებოდა. ახალზელანდიელი **ბრიუს ლოურენსი** ავადმყოფობის გამო მატჩის განსჯას ვერ ახერხებს. მის ნაცვლად ირლანდიელი **ჯორჯ კლანსი** იმსაჯებს. დე ფილიერსი „ოლ ბლექსთან" მეორე მარცხის შემდეგ წარუმატებლობას ჩრდილონახევარსფეროელ არბიტრებს აბრალებდა. მისი აზრით, ისინი თავისებურად, უცნაურად მსაჯობენ, რასაც ალლო ვერაფრით აუღო.

სამხრეთ აფრიკა: **15. ზან კირშნერი, 14. ხიო ეპლონი, 13. ჟაკ ფური, 12. ვინანდ ულიფიე, 11. ბრაიან ჰაბანა, 10. მორნი სტეინი, 9. რუან პინარი 1. ხუთრო სტენკამპი, 2. ჯონ სმიტი, 3. ბი ჯეი ბოთა, 4. დენი როსუ, 5. ვიქტორ მეტფილდი, 6. სხალკ ბურხერი, 7. რაიან კანკოვსკი, 8. პიერ სპისი.**

*16. ჩილიბოი რელეპელე, 17. სი ჯეი ფან დერ ლინდე, 18. ფილიპ ფან დერ მერვე, 19. დიუვალ პოტხიტერი, 20. ფრანსუა ჰუგარი, 21. ბუჩ ჯეიმზი, 22. იან დე იონგი*

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**

www.sport.gov.ge

კალათბურთი — მსოფლიოს ჩემპიონატი 2010

# ამერიკამ ოცამდე შეამცირა




გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებმა ლას ვეგასში მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადება დაიწყო. უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ამერიკელებს თურქეთში მთლიანად განახლებული შემადგენლობა მიჰყავთ, რადგან წლევანდელ გუნდში პეკინის ოლიმპიადის არც ერთი ჩემპიონი არ ითამაშებს. გარდა ამისა, „დრიმ თიმს" გამოაკლდა მძიმე ფორვარდი **ამარე სტაუდმაიერი**, რომელსაც ცოტა ხნის წინ „ნიუ იორკ ნიქსთან" გაფორმებული კონტრაქტის იურიდიული დეტალები აქვს მოსაგვარებელი. თანაც, ამარემ ერთი წლის განმავლობაში მუხლსა და თვალზე ოპერაცია გადაიტანა და ახალ კლუბს მისი მსოფლიოს ჩემპიონატზე გაშვება არ სურს.

ასევე არ ითამაშებს ამერიკელთა რიგებში „ფინიქს სანზის" ცენტრი **რობინ ლოპესი**, რომელმაც ჯერ ვერ მოირჩინა გასული რეგულარული ჩემპიონატის ბოლოს მიღებული ზურგის ტრავმა.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ კრჟიჟევსკიმ** საწვრთნელი შეკრებიდან რამდენიმე კალათბურთელი დაითხოვა და ახლა მის განკარგულებაში 20 კალათბურთელია:

**ჩონსი ბილაპსი** („დენვერი"), **ლამარ ოდომი** („ლეიკერსი"), **რაჟონ რონდო** („ბოსტონი"), **დერიკ როუზი** („ჩიკაგო"), **ტაისონ ჩენდლერი** („დალასი"), **სტივენ კარი** („გოლდენ სტეიტი"), **ტაირიკ ევანსი** („საკრამენტო"), **რუდი გეი** („მემფისი"), **ო ჯეი მაიო** („მემფისი"), **ერიკ გორდონი** („კლიპერსი"), **დენი გრეინჯერი** („ინდიანა"), **რასელ უესტბრუკი** („ოკლაჰომა"), **ჯეფ გრინი** („ოკლაჰომა"), **კევინ დურანტი** („ოკლაჰომა"), **ანდრე იგუოდალა** („ფილადელფია"), **დევიდ ლი** („გოლდენ სტეიტი"), **ბრუკ ლოპესი** („ნიუ ჯერსი"), **კევინ ლავი** („მინესოტა"), **ჯერალდ უოლასი** („შარლოტი"), **ჯაველ მაკგი** („ვაშინგტონი").

■ ■ ■

საბოლოოდ დაადასტურა თავისი უარი გერმანიის ნაკრების ლიდერმა **დირკ ნოვიცკიმ**, რომელმაც ორი დღის წინ ოფიციალურად გააგრძელა თანამშრომლობა „დალას მავერიქსთან".

გერმანიის კალათბურთის ფედერაციის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში წერია, რომ ნოვიცკი არ გაემგზავრება თურქეთში მსოფლიოს ჩემპიონატზე სათამაშოდ. ამასთან, „მავერიქსის" ლიდერი აუცილებლად დაუბრუნდება ნაკრები ევროპის 2011 წლის ჩემპიონატზე, რომელიც პარალელურად ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი გახლავთ.

■ ■ ■

ძლიერი შემადგენლობა მიჰყავს პლანეტის პირველობაზე ბრაზილიის ნაკრებს. ამჟამად ამ გუნდის შეკრებაზე 13 კალათბურთელი იმყოფება და აქედან ოთხი მათგანი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ლეგიონერია. ეროვნულ გუნდში თამაშის სურვილი გამოთქვეს ფორვარდმა **ნენე ილარიომ** („დენვერ ნაგეტსი"), მცველმა **ლეანდრო ბარბოზამ** („ტორონტო რეპტორზი") და ცენტრებმა - **ანდერსონ ვარეჟაომ** („კლივლენდ კავალიერზი") და **ტიაგო სპლიტერმა** („სან ანტონიო სპურსი").

ბრაზილიელები სამშობლოში 4 აგვისტომდე ივარჯიშებენ, ევროპაში გამგზავრებამდე კი საერთაშორისო ტურნირში მიიღებენ მონაწილეობას, რომელშიც მისი მეტოქეები ანგოლის, ურუგვაისა და ვენესუელის ნაკრებები იქნებიან.

ფორმულა 1

# მე-13 გუნდი არ იქნება?

როგორც ცნობილია, 2011 წლისთვის ფორმულა 1-ის პელოტონს მე-13 გუნდი უნდა დაემატოს. ჯერჯერობით, ვაკანტურ ადგილზე ოფიციალურად ოთხი გუნდი აცხადებს პრეტენზიას: Villeneuve Racing/Durango, Epsilon Euskadi, Stefan GP და ამერიკული Cypher Group.

საერთაშორისო ფედერაცია შექმნილ სიტუაციაზე კომენტარს არ აკეთებს, თუმცა ავტოსპორტის სამყაროში აქტიური განხილვა მიდის იმაზე, თუ რომელ გუნდს ანდობს ფედერაცია მე-13 ადგილს.

ისიც არ არის გამორიცხული, რომ მომავალი წლის ჩემპიონატში მონაწილეთა რაოდენობა არ შეიცვალოს. წელს ფედერაცია უფრო მკაცრად შეაფასებს კანდიდატების ფინანსურ მდგომარეობას, რათა არ განმეორდეს ამერიკული გუნდის - US F1-ის პრეცედენტი. ეს საჯინიბო 2010 წლის ჩემპიონატში დაუშვეს, მაგრამ მან დროულად ვერ მოამზადა ბოლიდი და ბოლოს გაკოტრდა.

ამ სიტუაციაში დიდ როლს თამაშობს ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერის **ბერნი ექლსტოუნის** პოზიცია. როგორც ევროპული პრესა წერს, ბერნი უკმაყოფილოა ამ სეზონში დებიუტანტების გამოსვლით და პელოტონში კიდევ ერთი აუტსაიდერის დამატება არ სჭირდება.

თუ ყველაფერი ასეთი სცენარით განვითარდა, სავსებით შესაძლებელია, რომ პელოტონში 12 გუნდი დარჩეს. ამ ვარიანტის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ფედერაცია არ ჩქარობს გადაწყვეტილების მიღებას, არადა მომავალ სეზონამდე არც ისე დიდი დრო რჩება და სერიოზული რისკი არსებობს იმისა, რომ პოტენციურმა ახალბედამ ვერ მოასწროს ახალი სეზონისთვის მომზადება.

ჭორების მიხედვით, ფედერაცია თავის ვერდიქტს აგვისტოს ბოლოს გამოიტანს.

ამასობაში, მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონმა **ჟაკ ვილნევმა** დაადასტურა იტალიურ საჯინიბო Durango-სთან თანამშრომლობა და განაცხადა, რომ სწორედ ამ გუნდთან ერთად აპირებს ფორმულა 1-ში დაბრუნებას.

*„ამ ამბავთან დაკავშირებით უამრავი ჭორი გავრცელდა და იქამდე მინდა განვმარტო რამდენიმე მომენტი, სანამ სიტუაცია კონტროლიდან გამოვა. ახალი გუნდი - ეს არის Durango-თან ერთად შექმნილი პროექტი. გუნდის ბაზა იტალიაში იქნება, მისი დაფინანსება კი არა კერძო ინვესტორების, არამედ კორპორატიული სპონსორების ხარჯზე მოხდება"*, - ამბობს კანადელი ავტომრბოლი.

■ ■ ■

მოახლოვდა გერმანიის გრან-პრი და როგორც მეტეოროლოგები ვარაუდობენ, პილოტებს მომავალ უქმეებზე, შესაძლოა, წვიმიან ამინდში მოუწიოთ გამოსვლამ. უფრო ზუსტად, დიდია იმის ალბათობა, რომ პარასკევის ვარჯიშები და შაბათის კვალიფიკაცია წვიმის თანხლებით ჩაივლის, კვირას კი მშრალი ამინდის მეტი შანსი არსებობს.

გერმანიის გრან-პრის წინ საინტერესო ამბავი გავრცელდა „უილაიმსის" ბანაკიდან. თითქმის გადაწყვეტილია ამ გუნდში ვეტერანი ბრაზილიელის **რუბენს ბარიკელოს** დარჩენა. ბრიტანული საჯინიბოს ტექნიკური დირექტორის **სემ მიტჩელის** თქმით, ბარიკელოსთან ახალი კონტრაქტის გაფორმება დროის საკითხია, თავად პილოტი კი 2011 წელს „უილიამსში" დარჩენის სურვილს გამოთქვამს და ამბობს, რომ გუნდის შეცვლა მისი მხრიდან უპატიებელი შეცდომა იქნებოდა.

მძლეოსნობა

# ბოლტის ჩაცმას შეიძლება

სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **უსაინ ბოლტმა** ახალ ამპლუაში სცადა ბედი. იამაიკელმა სპრინტერმა სპორტული ტანსაცმლის საკუთარი ხაზი შექმნა და რეალიზაციაში ჩაუშვა.

როგორც სააგენტო „როიტერი" წერს, პლანეტის უსწრაფესმა ადამიანმა და მისმა პარტნიორმა კომპანია „პუმამ" დაიწყეს ტანსაცმლის სერიის გამოშვება, რომელსაც The Bolt Collection ჰქვია. ბოლტმა პირადად მიიღო მონაწილეობა ფერთა შერჩევასა და ნახატის ფაქტურის შექმნაში, შემდეგ კი სარეკლამო კამპანიისთვის ფოტოსესიაც გამართა. ტანსაცმელი სპორტული ვარჯიშებისთვის იქნება განკუთვნილი, თუმცა არის ისეთი მოდელებიც, რომელთა გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაშიც იქნება შესაძლებელი.




გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ფეხბურთი — ჩემპიონთა ლიგა

| II საკვ. რაუნდი. II მატჩები | |
|---|---|
| ჟონესი (ლუქსემბურგი)-აიკ (შვედეთი) | 0:0 (0:1) |
| პიუნიკი (სომხეთი)-პარტიზანი (სერბეთი) | 0:1 (1:3) |
| ჰიკ (ფინეთი)-ეკრანასი (ლიტვა) | 1:0 დ.დ. 2:0 (0:1) |
| ჟილინა (სლოვაკეთი)-ბირკირკარა (მალტა) | 3:0 (0:1) |
| დებრეცენი (უნგრეთი)-ლევადია (ესტონეთი) | 3:2 (1:1) |
| ლეხი (პოლონეთი)-ინტერი (აზერბაიჯანი) | 0:1 პენ. 9:8 (1:0) |
| სპარტა (ჩეხეთი)-მეტალურგსი (ლატვია) | 2:0 (3:0) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია)-ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი) | 0:1 (0:5) |
| რუსენბორგი (ნორვეგია)-ლინფილდი (ჩრ. ირლანდია) | 2:0 (0:0) |
| ჰაფნარი (ისლანდია)-ბატე (ბელარუსი) | 0:1 (1:5) |

**III საკვალიფიკაციო რაუნდი**

სპარტა (ჩეხეთი)-ლეხი (პოლონეთი)
შერიფი (მოლდოვა)-დინამო (ხორვატია)
ლიტექსი (ბულგარეთი)-ჟილინა (სლოვაკეთი)
აქტობე (ყაზახეთი)-ჰაპოელი (თ-ა, ისრაელი)
დებრეცენი (უნგრეთი)-ბაზელი (შვეიცარია)
აიკ (შვედეთი)-რუსენბორგი (ნორვეგია)
პარტიზანი (სერბეთი)-ჰიკ (ფინეთი)
ბატე (ბელარუსი)-კოპენჰაგენი (დანია)
ტნს (უელსი)-ანდერლეხტი (ბელგია)
ომონია (კვიპროსი)-ზალცბურგი (ავსტრია)
გენტი (ბელგია)-დინამო (უკრაინა)
ზენიტი (რუსეთი)-უნირეა (რუმინეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი)-იანგ ბოიზი (შვეიცარია)
პაოკ (საბერძნეთი)-აიაქსი (ჰოლანდია)
სელტიკი (შოტლანდია)-ბრაგა (პორტუგალია)

*პირველი მატჩები 27-28 ივლისს გაიმართება, საპასუხო - 3 აგვისტოს*

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2010** | |
| **UNDER 19** | |
| საფრანგეთი-ავსტრია | 5:0 |
| ჰოლანდია-ინგლისი | 1:0 |
| ესპანეთი-პორტუგალია | 2:1 |
| ხორვატია-იტალია | 0:0 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| გენკი-ლიერსი | 3:3 |
| ფრაიბურგი-სოშო | 3:0 |
| ცრვენა ზვეზდა-ჰანოვერი | 3:2 |
| ანჟერსი-ლილი | 1:1 |
| ბურსა-დორტმუნდი | 1:1 |
| აინტრახტი-სტრასბური | 3:2 |
| კაიზერი-მეცი | 0:0 |
| ლინცი-შალკე | 0:2 |
| მონაკო-სტ. ეტიენი | 0:2 |
| ნიცა-გრენობლი | 0:1 |
| სტანდარდი-ტრაბზონი | 1:0 |
| შტურმი-არსენალი | 0:3 |
| დენ ჰააგი-ჰიბერნიანი | 2:1 |
| გრასჰოპერსი-ლივერპული | 0:0 |
| ფენერბაჰჩე-გალათასარაი | 1:0 |
| მარსელი-ტულუზა | 2:4 |
| ჰადერსფილდი-ბლექბერნი | 1:0 |
| შტუტგარტი-ტვენტე | 2:1 |

| შვედეთის თასი | |
|---|---|
| ჰამარბიუ-ბრომაპიოკ. | 2:2 პენ. 5:4 |
| **რუსეთი** | |
| სპარტაკი-სიბირი | 5:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ჰამბურგი** | |
| მონტანიესი-**რიბა** | 4:6, 7:5, 6:7 |
| **სეპი**-ბერერი | 6:2, 7:6 |
| **მელცერი**-შვანკი | 6:4, 6:1 |
| ალმაგრო-**ისტომინი** | 6:7, 6:7 |
| ჰანესკუ-**რაისტერი** | 6:7, 4:6 |
| **ბელუჩი**-ბოლელი | 6:1, 3:6, 6:3 |
| პეტცშნერი-**შარდი** | 3:6, 3:6 |
| **კოლშრაიბერი**-ჩელა | 2:6, 6:2, 6:4 |
| **WTA. ბად გაშტეინი** | |
| **სევასტოვა**-ჰალეპი | 5:7, 6:1, 6:0 |
| ცურენკო-**ს. ზახვალოვა** | 2:6, 4:6 |
| **ბაშჩინსკი**-ძეჰალევიჩი | 4:6, 6:3, 6:3 |
| ოლარუ-**პივოვაროვა** | 1:6, 6:2, 4:6 |
| **WTA. პორტოროჟი** | |
| **ფოგელი**-პაჩეკი | 7:5, 6:4 |
| **ჰერცოგი**-სრებოტნიკი | 6:4, 6:7, 6:3 |
| **დუშევინა**-რაზანო | 4:6, 7:5, 6:2 |
| ერანი-**ჩაკვეტაძე** | 1:6, 2:6 |

TV პროგრამა

**22 ივლისი. ხუთშაბათი**

**I არხი**

**20:45** ფეხბურთი. ევროპის ლიგა. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. დინამო-გეფლე (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:15** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. არსენალი-პორტუ.
**09:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:10** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. ვერდერი-ტვენტე.
**12:00** ახალი ამბები.
**12:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-რომა.
**14:05** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ჩელსი.
**16:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-ლიონი.
**18:15** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. გალათასარაი-ატლეტიკო.
**20:15** უიქ ენდის მატჩების ანონსი.
**20:25** სასტვენი.
**21:10** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**21:15** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. დორტმუნდი-ვერდერი.
**23:00** რუსეთის ჩემპიონატი. ტურის წინ.
**23:05** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-ლიონი.
**00:55** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მანჩესტერ იუნ-მილანი.
**02:50** გასული სეზონის ქრონიკა. ევროპის ლიგა. შახტარი-ფულჰემი.
**04:40** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-ვალენსია.

**EUROSPORT**

**10:30** ცხენოსნობა. ერთა თასი. აახენი. გერმანია.
**11:30** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პორტუგალია. საფრანგეთი.
**12:15** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ჰოლანდია-ინგლისი. საფრანგეთი.
**13:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVI ეტაპი. ბანიერე დე ლუშონი-პო.
**14:10** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**14:15** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. პო-ეოლ დე ტურმალე (LIVE).
**19:45** ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატი (19-წლამდელები). ჯგუფური ეტაპი. ესპანეთი-პორტუგალია. საფრანგეთი.
**21:00** ევროგოლი- საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. XVII ეტაპი. პო-ეოლ დე ტურმალე.
**22:00** ბრძოლა წესების გარეშე.
**00:00** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**00:55** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.
**01:00** პრო-რესტლინგი.
**02:30** ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. მიმოხილვა.
**03:25** ველოსპორტი. პლანეტა არმსტრონგი. ტელეჟურნალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველოსპორტი

# ტურ დე ფრანსის ბუღალტერია



სპორტის სხვა პროფესიული სახეობებისგან განსხვავებით, ველოსპორტში მიღებული არ არის გუნდების ბიუჯეტისა და მრბოლელთა ხელფასების გამომზეურება. თუმცა გამონაკლისიც არსებობს. „ტურ დე ფრანსის“ წინ გუნდები ვალდებულნი არიან, ფრანგული გრანდ-ტურის საორგანიზაციო კომიტეტს საკუთარი მონაცემები წარუდგინონ, მათ შორის, ველოჯგუფის ბიუჯეტი. ამის შემდეგ ინფორმაცია ტურის ოფიციალურ ჟურნალში ქვეყნდება. ამ მონაცემების მიხედვით, გასულ სეზონში ყველაზე მდიდარი გუნდი რუსული „კატიუშა“ იყო - მისი ბიუჯეტი 18 მილიონი ევრო იყო. 15 მილიონი ევროთი მეორე ადგილზე აღმოჩნდა ამერიკული „კოლამბია“, მესამეზე - ყაზახური „ასტანა“, რომლის რიგებს შარშან ლეგენდარული **ლენს არმსტრონგი** და ტურის მოქმედი ჩემპიონი **ალბერტო კონტადორი** იცავდნენ. ესპანელი ახლაც „ასტანას“ წევრი გახლავთ.

პლანეტის საუკეთესო მრბოლელების ხელფასი მილიონ ევროს აჭარბებს, ამიტომაც მათ გუნდებს შესაბამისი ბიუჯეტი უნდა ჰქონდეთ. 2009 წელს ტურში მონაწილე 22 გუნდიდან ყველაზე ღარიბი იყო ფრანგული „აგრიტუბელი“ (ბიუჯეტი 3.7 მილიონი ევრო). შესაბამისად, 6.5 და 6 მილიონით „იწონებდნენ“ თავს ასევე ფრანგული გუნდები - „ბუიგ ტელეკომი“ და „ფრასეზ დე ჟე“. თუმცა ეს მოკრძალებული რიცხვები ორი მიზეზით აიხსნება. ჯერ ერთი, ფინანსურად ყველაზე მძლავრი ფრანგული გუნდები აქცენტს ტურ დე ფრანსზე აკეთებენ და სხვა სტარტები ნაკლებად აინტერესებთ. ამიტომაც ამ საჯინიბოების ხელმძღვანელებს გუნდის შემადგენლობის დაკომპლექტებისა და რბოლების კალენდრის შედგენის მხრივ ეკონომიის საშუალება აქვთ. მაგრამ მთავარი მიზეზი სხვაა - გუნდები ტურ დე ფრანსის საორგანიზაციო კომიტეტში იმ ბიუჯეტს წარადგენენ, რომელიც მათ აწყობთ, სინამდვილეში კი ის შეიძლება გაცილებით მაღალი იყოს. მაგალითად, ბელგიურმა „საილენს-ლოტომ“ გასულ წელს 6 მილიონი ევრო აჩვენა, სინამდვილეში კი ბიუჯეტი 4-5 მილიონით მეტი იყო.

■ ■ ■

თუმცა, როგორც პრაქტიკა აჩვენებს, დიდი ბიუჯეტი ყოველთვის არ არის წარმატების გარანტია. ფაქტი ისაა, რომ ტურ დე ფრანსი - ყველაზე სარფიანი სტარტია მრბოლელებისა და საჯინიბოებისთვის. ბევრი მსხვილი კომპანია სპონსორობას გუნდების ტურში მონაწილეობის გამო თანხმდება. მრბოლელებისთვის საფრანგეთის გზებზე წარმატებული გამოსვლა - მომავალი წლისთვის კარგი კონტრაქტის გაფორმების დამატებითი გარანტიაა. ველომრბოლელებს თავიანთი შრომის ბაზარი აქვთ. ცნობილია, რომ ტურის გამარჯვებულს მომდევნო სეზონისთვის გარანტირებული აქვს 2.5-მილიონიანი კონტრაქტი. სხვა ორი გრანდ-ტურის - ჯირო დ'იტალიასა და ვუელტას გამარჯვებულებისთვის ეს თანხა დაახლოებით მილიონს უდრის. ასეთივე კონტრაქტის იმედი უნდა ჰქონდეთ იმ მრბოლელებს, რომლებიც ტურ დე ფრანსის საერთო ჩათვლის პირველ ხუთეულში მოხვდებიან ან მოიგებენ საუკეთესო სპრინტერისა და „მთის მეფის“ მაისურებს.

ტურის წინ ყოველ მრბოლელს ურიგდება ლამაზად გაფორმებული ბროშურა. იქ მითითებულია რბოლის დეტალური მარშრუტი, სასტუმროები, სადაც მონაწილეები გაჩერდებიან და რაც მთავარია, ზუსტად არის გაწერილი გრანდ-ტურის ჰონორარები. შარშანდელი ბროშურა ხელში ჩაუვარდა ფრანგულ გაზეთ „ეკიპს“. აი რა წერია მასში:

ტურის საერთო ფონდი 3 177 200 ევროს შეადგენს. აქედან ჰონორარებსა და ბონუსებზე 2 033 500 ევროა გათვალისწინებული. ერთი ეტაპის საპრიზო ფონდია - 472 500 ევრო: პირველი ადგილი 8000, მეორე - 4000, მესამე - 2000. გენერალური კლასიფიკაციის საპრიზო ფონდია - 1 005 000 ევრო: პირველი ადგილი - 450 000, მეორე - 200 000, მესამე - 100 000, მეოთხე - 70 000, მეხუთე - 50 000. ლიდერის ყვითელი მაისურის მფლობელი ყოველ ეტაპზე 350 ევროს გამოიმუშავებს. საუკეთესო სპრინტერს (ნომინაცია „მწვანე მაისურა“) ეტაპზე გამარჯვებისთვის 800 ევრო ერიცხება, მეორე ადგილი 400 ევროთი ფასდება, მესამე - 300-ით. ტურის ბოლოს „მწვანე მაისურის“ მფლობელს 25 ათასი ევრო ეკუთვნის, მეორეადგილოსანს - 15 000, მესამეს - 10 000. ამ ნომინაციის საერთო ფონდი 65 ათასი ევროა. გენერალურ კლასიფიკაციაში თანხა რვა საუკეთესო სპრინტერისთვის არის გათვალისწინებული. ანალოგიური ჰონორარები ეკუთვნით „სამთო მეფის“ კლასიფიკაციის ლაურეატებს.

რაც შეეხება გუნდურ ჰონორარებს, ეტაპზე თანხას მხოლოდ გამარჯვებული საჯინიბო იღებს - 2800 ევრო. გენერალურ კლასიფიკაციაში ტრიუმფატორი გუნდი 50 ათას ევროს მიითვლის, მეორე ადგილი 30 ათასი ევროთი ფასდება, მესამე - 20 ათასით. საპრიზო თანხას მხოლოდ ხუთი საუკეთესო გუნდი იღებს. ამ ნომინაციაში საერთო საპრიზო ფონდია - 120 000 ევრო.

ტურში მონაწილე ყოველ გუნდს ეკუთვნის ჰონორარი - 42 350 ევრო. ამ მხრივ საერთო ფონდი 931 700 ევროს შეადგენს. ასევე ორგანიზატორები გუნდს თითო მრბოლელისთვის 1600 ევროს უხდიან, ოღონდ აქ ერთი პირობა არსებობს - საჯინიბო თანხას იმ შემთხვევაში მიიღებს, თუ პარიზში ჩასვლამდე ორზე მეტ მრბოლელს არ დაკარგავს. კომპენსაციის საერთო თანხა 212 ათასი ევროა.

არსებობს კიდევ ერთი ნომინაცია - „თეთრი მაისურა“, რომელიც საუკეთესო ახალგაზრდა ველომრბოლს გადაეცემა. ამ მაისურის მფლობელი პოდიუმზე ყოველი ასვლისთვის 300 ევროს იღებს, გენერალურ კლასიფიკაციაში პირველობა კი 20 ათასს უდრის, მეორე ადგილი - 15 ათასს, მესამე - 10 ათასს.

■ ■ ■

ალსანიშნავია, რომ ჰონორარები არა მრბოლელების, არამედ გუნდების ანგარიშზე ირიცხება. თავიდან ამ საპრიზო თანხებიდან გადასახადებს იხდიან, თუმცა არსებობს გამონაკლისებიც. მაგალითად, აწ უკვე არარსებულმა ამერიკულმა გუნდმა „დისკავერი ჩენელმა“, რომელშიც არმსტრონგი გამოდიოდა, 2005 წელს თავის წევრებს ფული საერთოდ არ გადაუხადა. საქმე ისაა, რომ წინა ექვს ტურზე, რომელიც არმსტრონგმა მოიგო, ჰონორარები ველომრბოლის მოთხოვნით გუნდის ანგარიშზე ჩაირიცხა. იქიდან გადასახადები არ გადაიხადეს და 2005 წელს, „დისკავერი ჩენელის“ მიერ გამომუშავებული სრული თანხა სწორედ ამ გადასახადების დაფარვაზე წავიდა.

როგორც წესი, მოპოვებული ჰონორარი მთელ გუნდზე ნაწილდება - ყველა ველომრბოლს საერთო წარმატებაში შეტანილი წვლილის მიხედვით უხდიან ფულს. არ ავიწყდებათ მასაჟისტები და ტექნიკური პერსონალი - საერთო თანხიდან მათაც ეკუთვნით წილი.

შედარებისთვის: ბოლო ასი წლის განმავლობაში ტურ დე ფრანსის საპრიზო ფონდი ასჯერ გაიზარდა. ტურის პირველმა გამარჯვებულმა (სადებიუტო რბოლა 1903 წელს გაიმართა) - მილების მწმენდავმა **მორი გარენმა** 3000 ფრანკი გამოიმუშავა. ამისთვის მას 19 დღის განმავლობაში 2428 კილომეტრის გავლამ მოუწია. 1903 წლის რბოლის საპრიზო ფონდი 20 ათას ფრანკს შეადგენდა, ახლა კი ეს მაჩვენებელი 3 მილიონ ევროს აჭარბებს.

რამდენიმე ათწლეულის წინ ტურ დე ფრანსზე ერთი არაოფიციალური ნომინაცია არსებობდა - Lanterne rouge. მისი გამარჯვებული ხვდებოდა მრბოლელს, რომელიც ბოლო ადგილს იკავებდა გენერალურ კლასიფიკაციაში. Lanterne rouge ფულად პრემიას იღებდა - ეს იყო ერთგვარი პრიზი მაყურებელთა სიმპათიისთვის. აუტსაიდერებმა ეშმაკობას მიმართეს - ხელოვნურად ცდილობდნენ ბოლო ადგილის დაკავებას. საბოლოოდ, რბოლის საორგანიზაციო კომიტეტმა დროის ლიმიტი შემოიღო - ვინც მას ვერ გადალახავდა, უბრალოდ, მოიხსნებოდა გრანდ-ტურიდან.




9 ივლისიდან

არსენალი

რუსეთის დაზვერვის მთავარი მარცხი

...სრულად იხილეთ ჟურნალში

მილიონერების მფრინავი სათამაშოები

ნიშნიჭერები, რომლებსაც შეცვალეს მსოფლიო...

როგორ ესროლა ხრუშჩოვმა ატომური რაკეტა... საბჭოთა კავშირს

ირანი საზღვაო ომისთვის ემზადება

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის


ამბები

გოლფი

## საქულეელი, მაგრამ ყველაზე მდიდარი

ლეგენდარული გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** აღარ მიიჩნევა ამერიკის ყველაზე საყვარელ სპორტსმენად. ის ამ ტიტულს 2006 წლიდან ინარჩუნებდა, მაგრამ ბოლო გამოკითხვამ აჩვენა, რომ ახლა ამერიკაში ყველაზე პოპულარული სპორტსმენია - „ლეიკერსის“ კალათბურთელი **კობი ბრაიანტი**. ვუდსი მეორეა, მესამე ადგილი კი ბეისბოლისტმა **დერეკ ჯეტერმა** დაიკავა. ქალებს შორის ერის კერპები არიან - დები **უილიამსები**, რომლებიც პირველ ორ ადგილს იკავებენ.

სამაგიეროდ, ვუდსი პირველ ადგილს ინარჩუნებს ამერიკის ყველაზე მდიდარი სპორტსმენების სიაში. და ეს იმის მიუხედავად, რომ Sports Illustrated-ის შეფასებით, გასულ წელთან შედარებით მისი შემოსავალი 22 მილიონით შემცირდა და ახლა 90 მილიონს უტოლდება.

სიაში მეორეა კიდევ ერთი გოლფისტი - **ფილ მიკელსონი**. მისი შემოსავალი 61 მილიონს აჭარბებს. ათეულში შედიან: მოკრივე **ფლოიდ მეივეზერი**, კალათბურთელები - **შაკილ ო'ნილი**, კობი ბრაიანტი, **დუეინ უეიდი**, ბეისბოლისტები - **ალექს როდრიგესი** და დერეკ ჯეტერი, აგრეთვე ამერიკის ფეხბურთის მოთამაშე **პეიტონ მენინგი**.

ალსანიშნავია, რომ ვუდსი მეშვიდე წელია ინარჩუნებს ამერიკის ყველაზე მდიდარი სპორტსმენის ტიტულს.

კალათბურთი

## მაიამის მეექვსე ახალბედა

„მაიამი ჰიტმა“ 37 წლის ვეტერანი **ჯუვან ჰოვარდი** გაიფორმა. ის გახდა 2010-11 წლების სეზონში ფლორიდული კლუბის მე-12 მოთამაშე და მეექვსე დებიუტანტი.

ჰოვარდს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 16 სეზონი აქვს გატარებული და „მაიამი“ მერვე კლუბია მის კარიერაში. გასულ სეზონში ჯუვანმა 73 მატჩი (27 სასტარტოში) ჩაატარა „პორტლენდის“ შემადგენლობაში და საშუალოდ ექვსი ქულა დააგროვა.

## ამერიკელი სნაიპერი რეალში

უახლოეს დღეებში მადრიდის „რეალის“ ახალწვეული გახდება ამერიკელი მცველი **კლეი ტაკერი**. 30 წლის კალათბურთელი მადრიდელებთან ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

გასულ სეზონში ტაკერი „ხუვენტუდში“ თამაშობდა და 16.2 ქულით ესპანური ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. გარდა ამისა, საშუალოდ მატჩში 2.7 მოხსნასა და 3.4 შედეგიან გადაცემას აგროვებდა.

ჰოკეი

## კოვალჩუკის კონტრაქტი არ დაამტკიცეს

ჰოკეის ეროვნული ლიგის წარმომადგენელმა **ბილ დელიმ** NHL-ის ოფიციალური პოზიცია გაახმოვანა „ნიუ ჯერსისა“ და რუსი **ილია კოვალჩუკის** ხელშეკრულებაზე.

*„ამ კონტრაქტს ლიგა არ დაამტკიცებს, რადგან ეს არის კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევა. შესაბამისად, ჰოკეისტს არ აქვს ასეთი კონტრაქტის მიხედვით თამაშის უფლება. ლიგა მოვლენათა შემდგომ განვითარებას დაელოდება, მანამდე კი ამ საკითხზე კომენტარს არ გააკეთებს“*, - წერია დელის განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ კოვალჩუკმა „ნიუ ჯერსისთან“ 17-წლიანი და 102-მილიონიანი კონტრაქტი გააფორმა. ლიგაში მიაჩნიათ, რომ ამ ხელშეკრულების მეშვეობით კლუბი ხელოვნურად აუვლის გვერდს სახელფასო ბიუჯეტის მაქსიმალურ ზღვარს, რომელიც ლიგის მიერ არის დაწესებული.

ჩოგბურთი

## საფრანგეთმა ლიონი აირჩია

საფრანგეთის ჩოგბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ დევისის თასის ნახევარფინალი ფრანგებსა და არგენტინელებს შორის ლიონში, Palais des Sports de Gerland-ის სპორტის დარბაზში გაიმართება. ეს არენა 6 ათას მაყურებელს იტევს, კორტის საფარი ჰარდი იქნება.

ბოლოს ამ დარბაზში დევისის თასის მატჩი 1991 წელს ჩატარდა. ეს იყო ისტორიული ფინალი, რომელშიც საფრანგეთის ნაკრების ამჟამინდელმა კაპიტანმა **გი ფორჟემ** და **ანრი ლეკონტმა ანდრე აგასითა** და **პიტ სამპრასით** დაკომპლექტებული ამერიკის ნაკრები დაამარცხეს.

აქამდე საფრანგეთი და არგენტინა ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხივეჯერ გამარჯვება ევროპელებს დარჩათ, თუმცა მათი ბოლო მატჩი 1982 წლით თარიღდება.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა